



კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი

მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში: იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ხედვა

ივლისი, 2021

მოკლე მიმოხილვა

იურიდიული სფეროს პროფესიონალების ეს კვლევა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველომ) ჩაატარა 2021 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში პროექტისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). ეს არის მესამე ტალღა კვლევისა, რომელიც 2016 და 2019 წლებში ჩატარდა. იგი მოიცავს სასამართლო პროცესში მონაწილე იურისტების სამ ტიპს და მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ როგორ ხედავენ და აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები მართლმსაჯულების სისტემის ცალკეულ ნაწილებს. კვლევა ასევე ცდილობს იმის დადგენას, რამდენად შეიცვალა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა შეხედულებები ბოლო ხუთი წლის მანძილზე.

კვლევაში გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები შემდეგი საკითხების შესაფასებლად: (1) რამდენად არის სასამართლოში ეფექტური ბალანსი მხარეებს შორის, (2) რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს (მათ შორის უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებს) მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობა, (3) როგორია იურიდიული განათლების დონე საქართველოში, (4) როგორ ფუნქციონირებენ მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ინსტიტუტები და (5) როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები სასამართლო მედიაციას.

კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოიკითხა 199 ადვოკატი (118 კერძო ადვოკატი, 30 არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატი და 51 სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი), 68 მოსამართლე და 87 პროკურორი. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში CRRC-საქართველომ ჩაატარა 16 სიღრმისეული ინტერვიუ 8 მოსამართლესა და 8 პროკურორთან. ასევე, 4 ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან (საშუალოდ 6 ადვოკატის მონაწილეობით თითო ჯგუფში), რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც კერძო, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები.

კვლევის წინა ტალღებში გამოვლენილი მიგნებების მსგავსად, 2021 წლის კვლევაშიც არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები ყველაზე კრიტიკული შეფასებებით გამოირჩეოდნენ. მოსამართლეები და პროკურორები კი ყველაზე დადებითად აფასებდნენ იმ ინსტიტუტებს, რომლებსაც თავად წარმოადგენდნენ, და ასევე მთლიანად მართლმსაჯულების სისტემას.

2021 წელს, კვლევის წინა ტალღებთან მეტ-ნაკლები მსგავსებით, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების აზრით, **მხარეთა თანასწორობის პრინციპი¹** უმეტესად დაცულია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში. მათი თქმით, უმრავლეს შემთხვევაში მხარეთა თანასწორობა კანონმდებლობითაცაა უზრუნველყოფილი და

¹ მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სასამართლო პროცესზე მხარეთათვის თანაბარი პროცედურული უფლებების მინიჭებას იმისთვის, რომ ისინი ერთსა და იმავე „წონით კატეგორიაში“ იყვნენ. (აქუბარდია, ი. „მხარეთა თანასწორობის ქართული მოდელის გარკვეული ასპექტები“. 2016)

პრაქტიკაშიც ხორციელდება. ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა, რომ საქმეებში, სადაც მაღალი სახელმწიფო ინტერესი იკვეთება, ასევე პოლიტიკურ საქმეებში მხარეთა თანასწორობა ირღვევა.

კვლევის წინა ტალღების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა უმეტესობის თქმით, მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაცულია. სამოქალაქო სამართალი მიიჩნევა სამართლის იმ სფეროდ, რომელიც გარე გავლენისგან ყველაზე თავისუფალია. შესაბამისად, აქ მეტია ბალანსი და თანასწორობა დავის მონაწილე მხარეებს შორის. მიუხედავად ამისა, კვლევის წინა ტალღების მსგავსად, ადვოკატებმა თბილისში, რუსთავსა და ბათუმში აღნიშნეს, რომ როცა საქმეში ფულისა და კავშირების მქონე ძლიერი იურიდიული პირი მონაწილეობდა, თანასწორობა ირღვეოდა და მოსამართლეები მიკერძოებულობას ამჟღავნებდნენ. ერთადერთ გამონაკლისად შრომითი დავები დასახელდა, სადაც ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, მსხვილი კომპანიები თითქმის ყოველთვის აგებდნენ საქმეს მოქალაქეთა სასარგებლოდ.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა უმრავლესობის თქმით, მხარეთა თანასწორობის პრინციპი უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითა და პრაქტიკით. ადვოკატებთან შედარებით მოსამართლეთა მეტმა წილმა აღნიშნა ეს. ზოგადად, ადვოკატთა ნაწილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ადმინისტრაციულ სამართალში მოსამართლეები ზოგჯერ სახელმწიფო ორგანოების მხარეს იჭერდნენ და მათ მიმართ ნაკლებად მომთხოვნები იყვნენ. მოსამართლეებმა კი, თავის მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ყოველგვარი მიკერძოება გამორიცხეს.

სისხლის სამართალი ის სფეროა, რომელშიც რესპონდენტების შეხედულებები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესახებ ყველაზე მეტად განსხვავდებოდა. გამოკითხული პროკურორების, მოსამართლეებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართალი დავის მონაწილე მხარეებს სასამართლო პროცესზე თანაბარ პირობებს უქმნის. თუმცა, ამას კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები დაეთანხმა. რაც შეეხება ბრალდებისა და დაცვის მხარეების წვდომას ერთმანეთის მტკიცებულებებზე, პროკურორების, მოსამართლეებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობის თქმით, ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდება ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე. თუმცა, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარეს მეტად მიუწვდება ხელი დაცვის მხარის მტკიცებულებებზე.

ადვოკატებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ხშირად შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს ორ პროკურორს ან ორ მოსამართლეს ეპაექრებოდნენ. გარდა ამისა, მათი მტკიცებით, გამოძიება ობიექტური არ იყო და მეტ მტკიცებულებას ბრალდების მხარის სასარგებლოდ მოიპოვებდა. კვლევის წინა ტალღებში ფართოდ განხილული საკითხი, ვიდეო ჩანაწერები, რომელიც ახლა ორივე მხარისთვის მეტად ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო, ადვოკატების აზრით, პროკურორებისთვის ბევრად ადვილად მოსაპოვებელი იყო. პროკურორებს დროის უპირატესობაც ჰქონდათ. მათ შეეძლოთ, ეწარმოებინათ გამოძიება,

თუნდაც ამისთვის ერთი წელი დასჭირებოდათ და მხოლოდ შემდეგ წაეყენებინათ პირისთვის ბრალი მაშინ, როცა დაცვის მხარეს მტკიცებულებების მოსაპოვებლად მხოლოდ 60 დღე ჰქონდა. რამდენიმე მოსამართლემ გაიზიარა ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ ადვოკატებს ბევრად დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ვიდრე პროკურორებს, რომლებსაც მეტი რესურსი ჰქონდათ. ზოგადად, მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ მხარეთა თანასწორობა კანონითაც სრულად იყო უზრუნველყოფილი და პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. ყველა გამოკითხულმა პროკურორმაც იგივე დაადასტურა.

იმ შემთხვევებში, როცა მხარე ადვოკატით წარმოდგენილი არ იყო, იურიდიული პროფესიის ზოგი წარმომადგენლის თქმით, მხარეებს შორის ბუნებრივი უთანასწორობა არსებობდა. ადვოკატებმა და ზოგმა პროკურორმა ცალკე გამოყვეს პატიმრების შემთხვევა, რადგან მათ მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. თითქმის ყველა გამოკითხულმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში (როცა პირს ადვოკატი არ ჰყავდა) მეტ დროს უთმობდნენ პროცესს, რომ მხარისათვის არაიურიდიული ტერმინოლოგიით აეხსნათ პროცესი. პროკურორებმაც იგივე დაადასტურეს.

საერთო ჯამში, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობის აზრით, მართლმსაჯულების ინსტიტუტები (სასამართლოები, პროკურატურა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური და პოლიცია) **სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფებს სამართლიანად/თანასწორად ეპყრობიან** ისევე, როგორც უმრავლესობის ჯგუფებს. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობის თქმით, სასამართლო უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებს დისკრიმინაციულად არ ეპყრობა. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები გამორჩეულად კრიტიკულები იყვნენ და უთანასწორო მოპყრობის მხრივ ლგბტ თემი გამოყვეს. ზოგმა ადვოკატმა გაიხსენა შემთხვევები, როცა მოსამართლეებმა ცინიკური ჩაცინებითა და გამოხედვით ლგბტ პირების მიმართ პირადი არაკეთილგანწყობა გამოხატეს. ადვოკატებმა ასევე გააკრიტიკეს მოსამართლეები სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების საქმეებში ქალთა მიმართ არასაკმარისი მგრძობელობის გამო.

გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობას, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების გამოკლებით, მიაჩნია, რომ პროკურატურა საქართველოში მცხოვრებ ყველა უმცირესობისა და უმრავლესობის ჯგუფს თანასწორად ეპყრობა. რესპონდენტთა უმეტესობამ იგივე განაცხადა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების შესახებ. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობამ, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების გამოკლებით, აღნიშნა, რომ პოლიცია ეფექტურად განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს, როცა მას სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები მიმართავენ. თუმცა, 2019 წელთან შედარებით, მცირედით შემცირდა რესპონდენტების წილი, ვინც პოლიციის ეფექტურობას დადებითად აფასებდა. ფოკუს ჯგუფებში ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებში პროკურატურისა და პოლიციის წარმომადგენლებს ქალი მსხვერპლების მიმართ მგრძობელობა აკლდათ. ერთადერთი პრობლემა, რაც თანასწორი მოპყრობის მხრივ მოსამართლემ აღნიშნა, უცხოელებისთვის თარჯიმნების მოძებნის სირთულე იყო ისეთ შემთხვევებში, როცა მხარემ ქართული ენა არ იცოდა.

საერთო ჯამში, რესპონდენტების უმეტესობამ განაცხადა, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები პირთა უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს. 2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მსგავსად, სასამართლოებსა და სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებზე უფრო მეტმა რესპონდენტმა თქვა, რომ ისინი უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავენ, ვიდრე პროკურატურასა და პოლიციაზე. აღსანიშნავია, რომ ახლა რესპონდენტების ნაკლები წილი მიიჩნევს, რომ პოლიცია პირთა უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობამ, მოსამართლეებისა და პროკურორების გარდა, აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სისტემის ფინანსური ხელმისაწვდომობა მოქალაქეებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების სისტემა მოქალაქეებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია მაშინ, როცა ადვოკატების მხოლოდ დაახლოებით მესამედი ამბობს იმავეს. მიუხედავად ამისა, 2021 წელს კვლევის წინა ტალღებთან შედარებით ადვოკატების მეტ წილს მიაჩნია, რომ მართლმსაჯულების სისტემა მოქალაქეებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების გარდა, დადებითად აფასებს საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების მიერ კურსდამთავრებულებისთვის მიცემულ **თეორიულ ცოდნას**. ამავდროულად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს საკმარის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს აძლევს. 2019 წელთან შედარებით შემცირებულია მოსამართლეების წილი, ვინც პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებით უნივერსიტეტებს დადებითად აფასებს, თუმცა, 2016 წელთან შედარებით მოსამართლეთა ეს წილი მაინც მაღალია. ასევე, გაზრდილია იურიდიული განათლების დადებითი შეფასებები პროკურორების მხრიდან.

სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს დიდ განსხვავებაზე უნივერსიტეტებს შორის და ხაზი გაუსვეს საუნივერსიტეტო სწავლებაში პრაქტიკული კომპონენტების შეტანის აუცილებლობას, ასევე პრაქტიკოსი იურისტების მოწვევას ლექტორებად და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობას სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობების შესაქმნელად.

რესპონდენტთა დიდი ნაწილის აზრით, უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული (ადვოკატის, მოსამართლის და პროკურორის) საკვალიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად საშუალოდ ამზადებს. თუმცა, 2016 წელთან შედარებით, ახლა ნაკლებია რესპონდენტების მხრიდან საშუალო შეფასების წილი. მოსამართლეებისა და პროკურორების შეფასებები ოდნავ უფრო დადებითისკენ იხრება, ხოლო ადვოკატების შეფასებები - ოდნავ უფრო უარყოფითისკენ.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების პროფესიონალიზმისა და განათლების დონის შეფასებისას, კვლევის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ იურიდიული პროფესიის

ზოგი წარმომადგენელი (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი) ძალიან კვალიფიციურია, თუმცა, ეს უმეტესად მათი საკუთარი აქტიურობისა და თვით-განვითარებაზე მიმართული ძალისხმევის შედეგია. ადვოკატების ნაწილმა ნოტარიუსები გამოარჩია, როგორც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც განვითარებაზე უარს ამბობენ.

რაც შეეხება **განგრძობით იურიდიულ განათლებას**, მოსამართლეები კმაყოფილი იყვნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მათთვის ჩატარებული ტრენინგებით, თემებითა და ტრენინგის ხარისხით ისევე, როგორც ტრენინგების კომპეტენციით. ადვოკატებმა განგრძობითი განათლების კონტექსტში უმეტესად ადვოკატთა ასოციაციაზე ისაუბრეს. გამოკითხული ადვოკატების ნაწილი კმაყოფილი იყო ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგებით. ნაწილი კი ამბობდა, რომ კრედიტების წლიური მოთხოვნა მინიმალური და არასაკმარისი იყო იმისთვის, რომ ადვოკატები სრულად ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ საკანონმდებლო სიახლეების შესახებ. ზოგი ადვოკატი ლექტორებით იყო უკმაყოფილო და მიიჩნევდა, რომ ისინი ლექციას მხოლოდ ჩატარების გულისთვის ატარებდნენ და არ ადარდებდათ, ტრენინგის მონაწილეებს რეალურად ესმოდათ საკითხი თუ არა.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობა იცნობდა **მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ინსტიტუტის** საქმიანობას და მათ უმეტესად გამჭვირვალედ მიიჩნევდა, განსაკუთრებით მოსამართლეები და პროკურორები. რესპოდენტების უმრავლესობის თქმით, მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობა კარგად იყო ორგანიზებული. თუმცა, რესპოდენტების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო ამ მხრივ დამოუკიდებელი ინსპექტორის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მუშაობის შეფასება.

რესპოდენტების უმეტესობამ დადებითად შეაფასა შემდეგი ინსტიტუტების მუშაობა: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, სასამართლოები, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება და პროკურატურა. 2016 და 2019 წლების მსგავსად, მოსამართლეთა უმეტესობამ დადებითად შეაფასა მართლმსაჯულების ინსტიტუტები, ხოლო ადვოკატებმა ძირითადად კრიტიკული შეფასებები გააკეთეს გარდა უშუალოდ მათთან დაკავშირებული ინსტიტუტებისა.

ადვოკატებმა ფოკუს ჯგუფებში **ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაც** შეაფასეს. საერთო ჯამში, მათი შეფასებები დადებითი იყო. ადვოკატები ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს უმეტესად აქებდნენ, განსაკუთრებით კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და ამბობდნენ, რომ ზოგჯერ მათ გადაწყვეტილებებში უკეთესი მსჯელობა იკითხებოდა, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებებში. ეთიკის კომისიის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ადვოკატების შემოთავაზება იყო, რომ კომისიას გადაეხედა სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით საკუთარი მიდგომისთვის, რადგან ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატები „ფეისბუქზე“ საჯარო შეურაცხყოფის მიყენებას არ ერიდებოდნენ.

რაც შეეხება **სასამართლო სისტემის გამოწვევებს**, კვლევის წინა ტალღების მსგავსად, იურიდიული პროფესიის სამივე ტიპის წარმომადგენლებმა სასამართლოს წინაშე მდგომ

ძირითად გამოწვევებად გაჭიანურებული პროცესები და ვადების დარღვევა დასახელებს. გარდა ამისა, ზოგმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადატვირთულობა უარყოფით გავლენას ახდენდა მართლმსაჯულების ხარისხზე.

ადვოკატთა მიერ დასახელებული სხვა გამოწვევები კვლევის წინა ტალღების შედეგებთან თანხვედრაშია. ეს გამოწვევებია: სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი, მოსამართლეთა კვალიფიკაცია, დამოუკიდებელი გამოძიების ნაკლებობა, ერთიანი პრაქტიკის არარსებობა და მსგავს საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების განჭვრეტის შეუძლებლობა. ზოგი ადვოკატის აზრით, ეს პრობლემები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შერჩევას, მოსამართლეთა დანიშვნას, სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნასა და სასამართლოში საქმეთა განაწილებას უკავშირდებოდა. გარდა ამისა, ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს კორუფციის რისკს საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში.

მოსამართლეებმა სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელებს საზოგადოების დაბალი ნდობა. მათ ასევე ისაუბრეს მოსამართლეთათვის უკეთესი სოციალური გარანტიების საჭიროებაზე და იმაზე, რომ „პოლიტიკური კომპონენტის გამოსარიცხად“ მნიშვნელოვანი იყო, რომ მოსამართლეები მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაენიშნა.

პროკურორებს ბევრი არ უსაუბრიათ სასამართლო სისტემის გამოწვევებზე. თუმცა, ზოგმა მათგანმა სირთულედ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ ჩვენებების შეცვლა დაასახელა, რაც ასეთი საქმეების გადაწყვეტას ართულებდა. მათი თქმით, კარგი იქნებოდა, მსხვერპლთა დაკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშე მომხდარიყო, რის შედეგადაც ჩვენებას საქმეში დასაშვებად ცნობდნენ.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს უმეტესად დადებითი შეხედულებები ჰქონდათ **სასამართლო მედიაციის** მიმართ.² მათი აზრით, ეს იყო დავების ალტერნატიული გადაწყვეტის პერსპექტიული მექანიზმი, რომელსაც შეეძლო სასამართლოების განტვირთვა და უკეთესი გადაწყვეტილებების მიღწევა, სადაც ორივე მხარის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული, უფრო მეტად, ვიდრე ეს სასამართლოს გზით იქნებოდა შესაძლებელი. იურიდიული პროფესიის გამოკითხული წარმომადგენლებიდან არავის ჰქონდა სასამართლო მედიაციაში მონაწილეობის გამოცდილება. თუმცა, მათ გავლილი ჰქონდათ ტრენინგი ამ საკითხზე. მოსამართლეებმა ასევე ისაუბრეს სასამართლოებში მედიაციისთვის სამზადისზე და გარკვეულ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე. დავების ტიპები, რომელთა მედიაციისთვის გადაცემაც, რესპონდენტების აზრით, შესაძლებელი იყო, მოიცავდა შემდეგს: საოჯახო, სამეზობლო, სამემკვიდრეო, ქონებრივ დავებს (დავების ეს ტიპები ადვოკატებმაც ჩამოთვალეს და მოსამართლეებმაც), შრომითი დავები, მაგალითად, ფიზიკურ პირთა და კომპანიათა დავები თანხების ანაზღაურებაზე და ბანკებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საქმეები სესხებთან დაკავშირებით

² სასამართლო მედიაცია დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას და რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემის შემთხვევაში. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>)

(დასახელდა ადვოკატების მიერ). ზოგმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, ნებისმიერი დავა შეიძლება, გადასცემოდა მედიაციას. მოსამართლეთა მიერ დასახელებული დავების ტიპები მოიცავდა ფინანსურ და სახელშეკრულებო დავებს. ადმინისტრაციული მიმართულების მოსამართლეებმა გამოთქვეს იმედი, რომ სამოქალაქო სამართალში მედიაციის განვითარების შემდეგ, მას ადმინისტრაციულ სამართალშიც დანერგავდნენ. პროკურორმა ახალქალაქიდან განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო მცირე დანაშაულების სასამართლო მედიაციისთვის გადაცემა.

მოცემული ანგარიში დეტალურად მიმოიხილავს თითოეულ საკითხს და წარმოდგენს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს. დანართებში მოცემულია დეტალური მეთოდოლოგია, ინდიკატორების გამოთვლა და ყველა იმ კითხვის სიხშირის ცხრილები, რაც მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს გამოკითხვაში დაუსვეს.

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა	2
შესავალი	10
1. მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში	12
სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა	13
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა	20
მხარეთა თანასწორობა ისეთ შემთხვევაში, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს	24
2. მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა	27
მოპყრობა	28
ეფექტურობა	35
უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა	36
ფინანსური ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე	37
3. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება	40
განგრძობითი იურიდიული განათლება	46
4. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება	50
ინფორმირებულობა	51
გამჭვირვალობა	52
ორგანიზებულობა	53
საქმიანობის შეფასება	54
ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია	62
5. სასამართლო მედიაცია	65
დასკვნა	68
დანართები	70
დანართი 1 – კვლევის მეთოდოლოგია	70
დანართი 2 – იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის საფუძველზე შედგენილი ინდიკატორები	74
დანართი 3 – გამოკითხვის სიხშირის ცხრილები	79

შესავალი

2021 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში, CRRC-საქართველომ ჩაატარა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის მესამე ტალღა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამა“ (PROLoG), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებას და სათანადო სამართლებრივი პროცედურების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.³ წინა ტალღების მსგავსად, კვლევა მოიცავს ხუთ მთავარ თემას:

- (1) სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი;
- (2) მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა;
- (3) სამართლებრივი განათლების ხარისხი, მათ შორის განგრძობითი იურიდიული განათლება;
- (4) მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება და
- (5) სასამართლო მედიაცია.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის დიზაინი 2016 წელს შემუშავდა და მომდევნო ტალღები ამ კვლევის გამეორებას წარმოადგენდა იმ მიზნით, რომ გამოველინა ცვლილებები საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის მიმართ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების დამოკიდებულებაში. 2021 წელს ჩატარებული კვლევა მოიცავდა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვას (Zoom პლატფორმით ან ტელეფონით ჩატარებული გამოკითხვა 199 ადვოკატთან და 68 მოსამართლესთან, ასევე ონლაინ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა 87 პროკურორთან), ოთხ ფოკუს ჯგუფს ადვოკატებთან, რვა სიღრმისეულ ინტერვიუს მოსამართლეებთან და რვა სიღრმისეულ ინტერვიუს პროკურორებთან. ფოკუს ჯგუფებიცა და სიღრმისეული ინტერვიუებიც ონლაინ პლატფორმების გამოყენებით ჩატარდა. PROLoG-ის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ქალებისა და ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს, კვლევა ფოკუსირებული იყო თბილისზე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონზე: აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა იხილეთ პირველ დანართში.

ამ ანგარიშის სტრუქტურა მიჰყვება კვლევის ხუთ მთავარ თემას და აანალიზებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს ხუთ შესაბამის თავში. **პირველი** თავის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები

³ დამატებითი ინფორმაციისთვის PROLoG პროგრამის შესახებ იხ.: <http://ewmi-prolog.org/en/about/PROLoG>

სასამართლოში მხარეთა შორის ბალანსს და რამდენადაა მხარეთა თანასწორობის პრინციპი უზრუნველყოფილი კანონმდებლობით და დაცული პრაქტიკაში. თავი ცალკე განიხილავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ასევე მხარეთა ბალანსის საკითხს იმ შემთხვევაში, როცა მხარეს პროფესიონალი ადვოკატი არ წარმოადგენს და მაშინ, როცა სასამართლოში ერთ-ერთ მხარეს ფინანსურად ძლიერი პირი დგას. მეორე თავში განხილულია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების აღქმა იმისა, თუ რამდენად სარგებლობენ მოქალაქეები მართლმსაჯულების სისტემის დაცვით სამი ძირითადი მიმართულებით: მოპყრობა მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა და სისტემის ფინანსური ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ასევე ეხება წვდომისა და თანასწორობის საკითხს უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მესამე თავის მიზანია სამართლებრივი განათლების ხარისხის შეფასება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გადმოსახედიდან და მისი გაუმჯობესების გზების ძიება. იგი აერთიანებს მოსაზრებებს საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაზე, პროფესიის წარმომადგენლების პროფესიონალიზმის საერთო დონეზე და განგრძობით იურიდიულ განათლებაზე. მეოთხე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებს, რას თვლიან მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებად და როგორ ხედავენ მათი მოგვარების გზებს. მეხუთე თავი კვლევის მხოლოდ თვისებრივ ნაწილს ეყრდნობა და წარმოადგენს იურიდიული სფეროს პროფესიონალების შეხედულებებს სასამართლო მედიაციის შესახებ. დასკვნითი თავი მიმოიხილავს საერთო მიგნებებს და კვლევის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

დოკუმენტს თან ახლავს რამდენიმე დანართი: მეთოდოლოგია (დანართი 1), ინდიკატორები (დანართი 2), ადვოკატების, მოსამართლეებისა და პროკურორების რაოდენობრივი გამოკითხვის ცხრილები (დანართი 3).

1. მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა უმრავლესობა ამბობს, რომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა ბალანსი დაცულია. ამ მხრივ, შედეგები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება კვლევის 2016 წლის ტალღის შედეგებისგან.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, მხარეთა ბალანსი დაცულია. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა უფრო დიდი წილი ფიქრობს ასე, ვიდრე ადვოკატების.
- რესპონდენტთა შეხედულებები განსხვავდება საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს, თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი ადვოკატების ნახევარზე ნაკლები იზიარებს იმავე აზრს.
- გამოკითხული პროკურორების, მოსამართლეებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (LAS) დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეების თანასწორობას სისხლის სამართლის საქმეებში. თუმცა, კერძო ადვოკატებისა (GBA) და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ნახევარზე ნაკლები იზიარებს ამ მოსაზრებას. კვლევის წინა ტალღების მსგავსად, არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტები კრიტიკულ შეფასებებს ინარჩუნებენ.
- რამდენიმე ადვოკატმა ყველა ფოკუს ჯგუფში აღნიშნა, რომ ხშირად მათ არათანასწორად ეპყრობოდნენ და ამჩნევდნენ, რომ მოსამართლეები ბრალდების მხარეს იხრებოდნენ. მათ ისაუბრეს იმაზე, რომ გამოძიება ობიექტური არ იყო და ხშირად მხოლოდ ბრალდების მხარის სასარგებლო მტკიცებულებებს აგროვებდა. ვიდრე ჩანაწერები, რომელიც ორივე მხარისათვის მეტად ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო, ადვოკატების აზრით, პროკურორებისთვის ბევრად მარტივად ხელმისაწვდომი იყო. პროკურორებს დროის უპირატესობაც ჰქონდათ. მათ შეეძლოთ, ეწარმოებინათ გამოძიება, თუნდაც ამისთვის ერთი წელი დასჭირებოდათ და მხოლოდ შემდეგ წაეყენებინათ პირისთვის ბრალი მაშინ, როცა დაცვის მხარეს მტკიცებულებების მოსაპოვებლად მხოლოდ 60 დღე ჰქონდა.
- რამდენიმე მოსამართლემ გაიზიარა ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ ადვოკატებს ბევრად დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ვიდრე პროკურორებს, რომლებსაც მეტი რესურსი ჰქონდათ. გარდა ამისა, მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ მხარეთა თანასწორობა კანონმდებლობითაც სრულად უზრუნველყოფილი იყო და პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. ყველა გამოკითხულმა პროკურორმაც დაადასტურა იგივე.
- ზოგმა ადვოკატმა ახსენა მაღალი სახელმწიფო ინტერესის საქმეები, პოლიტიკური საქმეები, სადაც მხარეთა თანასწორობა ირღვეოდა. მოსამართლეებმა და

პროკურორებმა არ აღნიშნეს მხარეთა თანასწორობის დარღვევის არცერთი შემთხვევა, განსაკუთრებით პოლიტიკური სარჩულით.

- ზოგადად, ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მხარეთა შორის მეტი თანასწორობა იყო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, ვიდრე სისხლის სამართალში. თუმცა, ზოგმა მათგანმა ახსენა, რომ მოსამართლეები ზოგჯერ ადმინისტრაციული ორგანოების მხარეს იხრებოდნენ და ნაკლებად მომთხოვნები იყვნენ მათ მიმართ.
- კვლევის წინა ტალღების მსგავსად, ადვოკატებმა თბილისში, რუსთავესა და ბათუმში აღნიშნეს, რომ როცა საქმეში ფულისა და კავშირების მქონე ძლიერი იურიდიული პირი მონაწილეობდა, თანასწორობა ირღვეოდა და მოსამართლეები მიკერძოებულები იყვნენ. ერთადერთ გამონაკლისად მათ შრომითი დავები დაასახელეს, რომლებთან მიმართებითაც სახელმწიფო ერთიან პოლიტიკას ატარებდა და მსხვილი კომპანიები თითქმის ყოველთვის აგებდნენ საქმეს.
- მოსამართლეები ვერ ხედავდნენ მხარეთა თანასწორობასთან დაკავშირებულ პრობლემებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში და ნებისმიერი სახის მიკერძოებას გამორიცხავდნენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა დავის ერთ-ერთ მხარეს მსხვილი კომპანია იყო წარმოდგენილი.
- ისეთ შემთხვევებში, როცა მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა, ადვოკატების თქმით, მხარეებს შორის ბუნებრივი უთანასწორობა არსებობდა. ეს უთანასწორობა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდებოდა პატიმრების შემთხვევაში, რადგან მათ მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ეს საკითხი თითქმის ზოგმა პროკურორმაც ახსენა. თითქმის ყველა გამოკითხულმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში (როცა პირს ადვოკატი არ ჰყავდა) მეტ დროს უთმობდნენ პროცესს, რომ მხარისათვის არაიურიდიული ტერმინოლოგიით აეხსნათ პროცესი. პროკურორებმაც იგივე დაადასტურეს.
- პროკურორების, მოსამართლეებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ორივე მხარეს, ბრალდებისა და დაცვის მხარეს, თანაბარი წვდომა აქვთ ერთმანეთის მტკიცებულებებზე, ხოლო კერძო ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბრალდების მხარეს უფრო მეტად მიუწვდება ხელი დაცვის მხარის მტკიცებულებებზე.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობის შეფასება სთხოვეს. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა აცხადებს, რომ მხარეთა ბალანსი მიღწეულია როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში. 2016 წელთან შედარებით, ახლა უფრო მეტი რესპონდენტი ფიქრობს, რომ სისხლის სამართლის საქმეებში მხარეთა თანასწორობა დაცულია.


რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა ბალანსს უზრუნველყოფს. უფრო კონკრეტულად, პროკურორების (99%), მოსამართლეების (91%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (76%) უმრავლესობა ეთანხმება ამ მოსაზრებას. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ნახევარზე მეტი (53%) აცხადებს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა ბალანსს უზრუნველყოფს. თუმცა, კერძო ადვოკატების ნახევარზე ნაკლები (47%) იზიარებს იმავე მოსაზრებას⁴ (იხ. გრაფიკი 1).

გარდა ამისა, რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ, თუ რამდენად დაცულია მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის საქმეებში. რესპონდენტთა უმრავლესობა (68%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ მხარეთა თანასწორობა პრაქტიკაშიც უზრუნველყოფილია. პროკურორების (97%), მოსამართლეების (87%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (63%) უმრავლესობა იზიარებს ამ მოსაზრებას, ხოლო კერძო ადვოკატების (45%) და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების (37%) ნახევარზე ნაკლები ფიქრობს იმავეს (იხ. გრაფიკი 1).

⁴ მონაცემები განსხვავდება პირველი ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ ვარიანტების გარეშე. (2) ინდიკატორის გამოსათვლელად გამოყენებულია იმ სამ კითხვაზე დადებითი პასუხები, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობას ეხება. ამისთვის, კითხვებზე, დაცულია თუ არა მხარეთა თანასწორობა, მხარეებს აქვთ თუ არა თანაბარი შესაძლებლობა მტკიცებულებათა მოპოვების და ერთმანეთის მტკიცებულებებზე წვდომის, მიღებული დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებლები გასაშუალოებულია. (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. დეტალური აღწერა ინდიკატორების გამოთვლის შესახებ იხილეთ მეორე დანართში.

გრაფიკი 1

უზრუნველყოფს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას/ დაცულია თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პროცესებზე? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულად უზრუნველყოფს“ და „ძირითადად უზრუნველყოფს“ დაჯგუფდა, როგორც „უზრუნველყოფს“, ხოლო „ძირითადად ვერ უზრუნველყოფს“ და „საერთოდ ვერ უზრუნველყოფს“ დაჯგუფდა, როგორც „ვერ უზრუნველყოფს“. ასევე, პასუხის ვარიანტები: „სრულად დაცულია“ და „ძირითადად დაცულია“ დაჯგუფდა, როგორც „დაცულია“, ხოლო პასუხის ვარიანტები: „ძირითადად არ არის დაცული“ და „საერთოდ არ არის დაცული“ დაჯგუფდა, როგორც „არ არის დაცული“.

სისხლის სამართალთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი მტკიცებულებათა მოპოვებას ეხება. 2016 წელს გამოკითხული მოსამართლეები და ადვოკატები ამბობდნენ, რომ დაცვის მხარესთან შედარებით, ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობა ჰქონდა მტკიცებულებების მოსაპოვებლად. თუმცა, 2019 წელს მოსამართლეთა ნახევარზე მეტი ამბობდა, რომ მტკიცებულების მოსაპოვებლად ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა, ხოლო ადვოკატების მოსაზრებები იგივე რჩებოდა. რაც შეეხება 2021 წელს, მოსამართლეთა დამოკიდებულება ისევ შეიცვალა და ახლა, მსგავსად 2016 წლისა, ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს, მოიპოვოს მტკიცებულება. ზოგადად, დაახლოებით რესპონდენტთა ნახევარი (51%) იზიარებს მოსაზრებას, რომ დაცვის მხარესთან შედარებით, ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს, მოიპოვოს მტკიცებულება. უფრო კონკრეტულად კი, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 75% და კერძო ადვოკატების 54% ეთანხმება ამ მოსაზრებას მაშინ, როცა გამოკითხული პროკურორების მხოლოდ 17% იზიარებს მას. პროკურორთა უმრავლესობას (79%) სჯერა, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვს.

რესპონდენტებს ასევე სთხოვეს, შეეფასებინათ რამდენად თანაბრად მიუწვდებათ ხელი ბრალდებისა და დაცვის მხარეებს ერთმანეთის მტკიცებულებებზე. პროკურორთა (87%), მოსამართლეთა (75%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა (63%) უმრავლესობა ამბობს, რომ ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდება ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე, ხოლო კერძო ადვოკატთა დაახლოებით მეოთხედი (26%) და არასამთავრობო სექტორის ადვოკატთა მეხუთედი (20%) იზიარებს იმავე მოსაზრებას. კერძო ადვოკატების (51%) და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების (50%) ნახევარს სჯერა, რომ ბრალდების მხარეს მეტად მიუწვდება ხელი დაცვის მხარის მტკიცებულებებზე.

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა ოთხივე ქალაქში აღნიშნეს, რომ ზოგჯერ ისინი მეორე მხარესთან თანასწორად არ გრძნობდნენ თავს. „ნამდვილად არ მიგრძნობია თანასწორად თავი. ზოგჯერ ასე მგონია, რომ ორი პროკურორი მეზრძვის ან ორი მოსამართლე ზის და ისინი მეზრძვიან.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). ახალციხეში ადვოკატმა აღნიშნა, რომ მოსამართლეები ხშირად პროკურორების მხარეს იჭერდნენ და არც მალავდნენ ამას. კერძო ადვოკატმა რუსთავში თქვა, რომ მხარეთა თანასწორობას ვერ მიაღწევდნენ, სანამ მოსამართლეები ადვოკატებს პროკურორების თანასწორად არ აღიქვამდნენ.

სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებმა მხარეთა თანასწორობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები განიხილეს. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა თბილისში აღნიშნა, რომ, მისი გამოცდილებით, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ფურცელზე პროცესი სრულად შეჯიბრებითი იყო და მხარეები სრულად თანასწორი, თუმცა, რეალობა განსხვავებული იყო. გამომძიებლები, ვისაც საქმეთა გამოძიება მიუკერძოებლად ევალებოდათ, არცერთ შემთხვევაში არ იძიებდნენ მას ობიექტურად. „რომც მოიპოვოს გამომძიებელმა ეს ობიექტური მტკიცებულება... სრულიად უსამართლოდ ამ მუხლის დარღვევით, რომ ობიექტურად უნდა იქნეს საქმე გამოძიებული, ამ მტკიცებულებას საერთოდ აქრობენ და აგდებენ საქმეში“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

როგორც კვლევის წინა ტალღებში, სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მხარეთა თანასწორობა რთული მისაღწევი იყო, რადგან

“ზოგჯერ ასე მგონია, რომ ორი პროკურორი მეზრძვის ან ორი მოსამართლე ზის და ისინი მეზრძვიან.”

(იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

“საქმეებში, სადაც არსებობს სახელმწიფოს მაღალი ინტერესი, ე.წ. პოლიტიკურ საქმეებში და, ვთქვათ, საქმეებში, სადაც არის კონკრეტული სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრული... მსგავს საქმეებში აბსოლუტურად ირღვევა ხოლმე შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მთლიან პროცესზე...”

(არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

პროკურორებს მეტი რესურსი ჰქონდათ. მაგალითად, გამომძიებლებს შეეძლოთ, საქართველოს სხვა რეგიონებში კოლეგებისთვის ეთხოვათ მტკიცებულების შეგროვება, მოქალაქის დაკითხვა და ა.შ. და ეს სწრაფად და ეფექტურად გაკეთდებოდა. მათ დროის უპირატესობაც ჰქონდათ. „[ბრალდების მხარეს] შეუძლია, საქმე გამოიძიოს ერთი წლის განმავლობაში, შეაგროვოს მტკიცებულებები, რომლებიც სჭირდება და უცბად წაუყენოს მერე ბრალი პიროვნებას, ჩანიშნოს სასამართლო სხდომა და დაცვის მხარეს გამოდის, ბრალის წაყენებიდან წინა სასამართლო სხდომამდე, სამოცი დღის ვადაში უნდა ჩაეტიოს“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი). მან დაამატა, რომ იმის მიუხედავად, რომ კანონი ითვალისწინებდა წინა სასამართლო სხდომის ვადის გახანგრძლივებას, რეალურად ვადას ნაკლებად აგრძელებდნენ.

კვლევის წინა ტალღებში ადვოკატები გამუდმებით უსვამდნენ ხაზს ბრალდების მხარის უპირატესობას ვიდეო ჩანაწერების მოპოვების კუთხით. ამ მიმართულებით კანონმდებლობა გაუმჯობესდა და ეს ადვოკატებმაც დაადასტურეს. თუმცა, ზოგი მათგანის თქმით, იმის მიუხედავად, რომ დაცვის მხარეს აქვს ამის უფლება, პრაქტიკაში ისინი ხშირად ვერ ახერხებენ ვიდეო ჩანაწერის მოპოვებას ან მეტი ბარიერის გადალახვა უწყვეტ ამისთვის. „პრაქტიკაში ხშირად წავაწყდი, რომ მალავენ თუ რას აკეთებენ, არ ვიცი, არ მოგვცეს ხშირად გაცნობის შესაძლებლობა. იგივე პოლიციის ადმინისტრაციული შენობების ვიდეო და სათვალთვლო კამერების ამოღება გვინდოდა და არის ხოლმე, რომ ბრალდების მხარეს პირველივე დღესვე აქვს ეს ინფორმაცია და შემდგომ აკეთებენ, შემდგომ პროცედურებს, შუამდგომლობით მიმართვა და ოფიციალური წესით საქმეში დამაგრება და ჩვენ გაცილებით მეტი წინაღობის დამლევა გვიწევს რაღაც კონკრეტული მტკიცებულების მოპოვების კუთხით“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

ადვოკატთა ნაწილმა ახსენა მაღალი სახელმწიფო ინტერესის საქმეები, ე.წ. პოლიტიკური საქმეები, სადაც მხარეთა თანასწორობა ირღვეოდა და სადაც სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ცხადი იყო, რომ „მოსამართლეებმა ფაქტობრივად მტკიცების ტვირთის მოდიფიცირება მოახდინეს“ და ის დაცვის მხარეს გადაიტანეს მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალში მტკიცების ტვირთი სრულად ბრალდების მხარეს იყო. „ეს ამგვარი დამოკიდებულება უფრო ხშირად გვხვდება საქმეებში, სადაც არსებობს სახელმწიფოს მაღალი ინტერესი, ე.წ. პოლიტიკურ საქმეებში და, ვთქვათ, საქმეებში, სადაც არის კონკრეტული სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრული და უნდათ ამ სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე აუცილებლად გამამტყუნებელი განაჩენი. სამწუხაროდ, მსგავს საქმეებში აბსოლუტურად ირღვევა ხოლმე შეჯიბრობითობის პრინციპი, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მთლიან პროცესზე... მთელი ეს პრობლემები, ალბათ, ერთ-ერთი იმ პრობლემის გამოძახილიც არის, რომ ჩვენთან არ არსებობს დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმი“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

მოსამართლეების თქმით, მხარეთა შორის თანასწორობა კანონმდებლობითაც უზრუნველყოფილი იყო და პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. „მე არ მახსენდება არგუმენტირებული დასაბუთებული პრეტენზია ვინმეს მხრიდან, რომ რომელიმე მოსამართლემ თანასწორუფლებიანობის, ასე ვთქვათ, დარღვევით განახორციელა მართლმსაჯულება. ანუ გამოჩნდეს ვინმე, რომელიც იტყვის, რომ მე გავხდი

დისკრიმინაციის მსხვერპლი სასამართლოში იმის გამო, რომ, ვთქვათ, ან სქესის გამო, ან კანის ფერის გამო, ან რელიგიის გამო და ა.შ. აქედან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ საქართველოს მოსამართლეები მოქმედი, კარგი კანონმდებლობის საფუძველზე, სავსებით უზრუნველყოფენ თანასწორუფლებიანობის დაცვას“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე მოსამართლეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობა სრულად უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას. თუმცა, პრაქტიკაში, იმისთვის, რომ დაცვის მხარეს საკუთარი უფლებები განეხორციელებინა, საჭირო იყო კვალიფიციური ადვოკატი და დიდი ძალისხმევა მისი მხრიდან. „ძალიან დიდი შრომა უწევს და ფაქტობრივად ყველაფერი დამოკიდებულია კვალიფიციურ ადვოკატზე. მაგრამ თუ საპროცესო ნორმებს მხარე ისე გამოიყენებს, რის უფლებასაც პროცესი მას აძლევს, ნამდვილად არის თანასწორობა დაცული. იმ კონკრეტულ ადამიანს დიდი ძალისხმევის გაწევა უწევს იმაში, რომ თავის უფლებები კანონიდან გამომდინარე დაიცვას“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). მოსამართლემ ახალციხიდან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალში კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფდა, პრაქტიკაში ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობები ჰქონდა.

პროკურორებმა განაცხადეს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულად უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას და ეს პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. პროცესზე უთანასწოროდ თავს არცერთი გამოკითხული პროკურორი არ გრძნობდა.

ინდიკატორი 1: სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი, სისხლის სამართალი (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი; ფრჩხილებში მოცემულია პასუხების რაოდენობა)

მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა დადებითად აფასებს მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. 2016 წელთან შედარებით, მოსამართლეთა და პროკურორთა უფრო მეტი წილი ამბობს, რომ სისხლის სამართლის საქმეებში მხარეებს შორის ბალანსი დაცულია. თუმცა, 2019 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, მოსამართლეთა ეს წილი შემცირებულია. 2016 და 2019 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებით, ადვოკატთა ოდნავ მეტი წილი აფასებს დადებითად სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მხარეთა თანასწორობას, მაგრამ იმ ადვოკატების წილი, რომლებიც დადებითად აფასებენ მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის პრაქტიკაში თითქმის იგივე დარჩა.

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (65)	89% (60)	80% (50)	46% (126)	47% (91)	51% (80)	86% (87)	84% (103)	91% (79)
მხარეთა თანასწორობა დაცულია პრაქტიკაში + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (64)	89% (62)	80% (48)	46% (123)	49% (90)	47% (73)	85% (86)	83% (102)	90% (78)

* ინდიკატორის დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა

რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემთხვევაში. 2016 და 2019 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ ორივე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს.


სამოქალაქო სამართალზე საუბრისას, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა: მოსამართლეების 91%, არასამთავრობო სექტორის ადვოკატების 86%, კერძო ადვოკატების 79%, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 76% და პროკურორების 59% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს (იხ. გრაფიკი 2). გარდა ამისა, რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მხარეთა შორის ბალანსი პრაქტიკაშიც დაცულია. მოსამართლეთა 93%, კერძო ადვოკატების 77%, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 73% ამბობს იმავეს. პროკურორთა ნახევარზე მცირედით მეტი (53%) ეთანხმება ამ მოსაზრებას.

რესპონდენტებს ასევე სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენადაა დაცული მხარეთა შორის ბალანსი სამოქალაქო სამართლის საქმეებში მაშინ, როცა დავის ერთ-ერთ მხარეს მსხვილი ბიზნესი წარმოადგენს. მოსამართლეების უმრავლესობა (82%) ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევებში, მხარეთა თანასწორობა დაცულია, მაგრამ ადვოკატებისა (44%) და პროკურორების (45%) ნახევარზე ნაკლები იზიარებს იმავე მოსაზრებას. კერძო ადვოკატების 48%, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 46% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 33% ამბობს, რომ ასეთ შემთხვევებში მხარეთა თანასწორობა დაცულია.

რაც შეეხება მხარეთა თანასწორობას ადმინისტრაციულ სამართალში, რესპონდენტთა უმრავლესობა (62%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს (იხ. გრაფიკი 2). გარდა ამისა, მოსამართლეების (85%), კერძო ადვოკატების (56%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (55%) უმრავლესობა, ასევე პროკურორთა დაახლოებით ნახევარი (51%) ფიქრობს, რომ მხარეთა თანასწორობა ადმინისტრაციული სამართლის საქმეებშიც დაცულია. თუმცა, პროკურორების შესამჩნევად დიდი წილი (44%) პასუხობს „არ ვიცი“-ს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს, მათი მოსაზრებები ორ ნაწილად იყოფა: 47% ეთანხმება მოსაზრებას, რომ პრაქტიკაში მხარეებს შორის ბალანსი დაცულია, ხოლო 47% საპირისპიროს ფიქრობს (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2

უზრუნველყოფს თუ არა საქართველოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას? / დაცულია თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეების სასამართლო პროცესებზე? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულად უზრუნველყოფს“ და „ძირითადად უზრუნველყოფს“ დაჯგუფდა, როგორც „უზრუნველყოფს“, ხოლო „ძირითადად ვერ უზრუნველყოფს“ და „საერთოდ ვერ უზრუნველყოფს“ დაჯგუფდა, როგორც „ვერ უზრუნველყოფს“. ასევე, პასუხის ვარიანტები: „სრულად დაცულია“ და „ძირითადად დაცულია“ დაჯგუფდა, როგორც „დაცულია“, ხოლო პასუხის ვარიანტები: „ძირითადად არ არის დაცული“ და „საერთოდ არ არის დაცული“ დაჯგუფდა, როგორც „არ არის დაცული“.

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში მეტად დაცული იყო. „მგონია, რომ ნაკლებად არის სახელმწიფო ინტერესი, ნაკლებად არის ვილაცის კონტროლ ქვეშ მოსამართლე და იქ მეტი ობიექტურობაა უფრო“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). მიუხედავად ამისა, ადვოკატების ნაწილმა გარკვეულ სირთულეებსაც გაუსვა ხაზი. მაგალითად, თბილისში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში მომუშავე ზოგი ადვოკატის თქმით, პრობლემას წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან სარჩელის შესაგებელის დროულად არ წარდგენა. სამოქალაქო საქმეებისგან განსხვავებით, მოსამართლეებს არ შეეძლოთ გადაწყვეტილების გამოტანა ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს ათამამებდა და შეეძლოთ, საქმე ერთ წლამდე გაეჭიანურებინათ. მხარეთა თანასწორობის კუთხით ამას მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „როცა სახელმწიფო არის ერთ მხარეს, ცხადია, მას აქვს ბევრად მეტი რესურსი იგივე მტკიცებულებების, როგორც მოძიების, ასევე „გაქრობის“. რაც ცხადია უფრო ძლიერ მხარედ წარმოაჩენს [ადმინისტრაციულ ორგანოს] სამართალწარმოების პროცესში ჩვეულებრივ მოქალაქესთან მიმართებით“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი). იურიდიული დახმარების

სამსახურის ადვოკატმა ახალციხიდან ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საქმეებში ჰქონდა შემთხვევები, როცა მოსამართლეები ადმინისტრაციული ორგანოს მხარეს იჭერდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ მიმართ ნაკლებად მომთხოვნები იყვნენ.

ამავდროულად, კვლევის წინა ტალღების მსგავსად, ადვოკატებმა თბილისსა და რუსთავში თქვეს, რომ როცა საქმეში ფულისა და კავშირების მქონე ძლიერი იურიდიული პირი მონაწილეობდა, მეორე მხარე არაუპირატეს მდგომარეობაში იყო. „ჩვენთან როგორ არის, პატარა ქვეყანაა და რომელსაც მეტი, ასე ვთქვათ, შესაძლებლობა და ძალაუფლება და ფული აქვს, იმას გარკვეული პოლიტიკური გავლენებიც აქვს. შესაბამისად, ის მცირე ზომის იურიდიული პირი ყოველთვის იჩაგრება“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი). არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმში მსგავსი მოსაზრება გამოხატა და აღნიშნა, რომ „როცა სასამართლოს მხრიდან კონკრეტული საქმის შემთხვევაში არის დაინტერესება, გახმაურებული საქმეა ან ეხება დიდ ქონებრივ დავას, ხშირ შემთხვევაში ადვოკატები მოსამართლეს ეკითხებიან, რომ მეორე მხარეს უნდა ვეპაექრო თუ თქვენო“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი). იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა ახალციხიდან ცალკე გამოყო ბანკები და თქვა, რომ მოსამართლეები ყველაფერს აკეთებდნენ მათ სასარგებლოდ. „ოღონდ ბანკს არ ეწყინოს. არ ვიცი, ეს ბანკი რა დაწესებულებაა, თვითონ გახადა სახელმწიფომ, სამწუხაროდ, ზედაწესებულება. ფინანსურად ხო ჩამოგვკიდეს ამ ბანკებს და თვითონაც ხო ჩამოვიკიდნენ და მერე კიდევ სამართლებრივადაც მოსამართლემ ოღონდ საბანკო დაწესებულებას თავდებობაზე პრობლემა არ შეუქმნას“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

თბილისში კერძო ადვოკატის თქმით, შრომითი დავები არღვევდა ამ ტენდენციას, რადგან სახელმწიფო დასაქმებულის მხარეს იჭერდა. „სახელმწიფოს აქვს ერთიანი პოლიტიკა შემუშავებული, სასამართლოს მათ შორის, ანუ ერთიანად შეიმუშავეს 2013 წლის ცვლილებების შემდეგ, რაც შევიდა შრომის კოდექსში, უფრო დაიჭირა სახელმწიფომ დასაქმებულთა ინტერესების მხარე. შესაბამისად, აპრიორი ესე გამოდის ხოლმე, რომ დასაქმებულის ინტერესებს იცავს ყოველთვის სასამართლო. ამ დავებში ეს დიდი კომპანიები გარკვეულწილად დაჩაგრულები გამოდიან“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

სიღრმისეულ ინტერვიუებში მოსამართლეებმა უმეტესად არ ისაუბრეს რაიმე პრობლემაზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში მხარეთა თანასწორობის შესახებ. რაც შეეხება ისეთ საქმეებს, სადაც მსხვილი ბიზნესი მონაწილეობდა, მოსამართლეებმა გამორიცხეს სასამართლოს მხრიდან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოება. „რომ მსხვილი ბიზნესის სასარგებლოდ წავიდეს საქმე ან იმის სასარგებლოდ, ეს რაღაცა წარმოუდგენლად და მიუღებლადაც მიმაჩნია, სიმართლე გითხრათ. საქმე უნდა წავიდეს კანონის სასარგებლოდ და იმის მიხედვით, რაც საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებია და რასაც კანონი განსაზღვრავს“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი).⁵

⁵ რადგან შეკითხვა მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს ეხებოდა, სიღრმისეულ ინტერვიუებში პროკურორებისთვის არ უკითხავთ.

ინდიკატორი 1: სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, ფრჩხილებში მოცემულია პასუხების რაოდენობა)

2016 წლის შედეგების მსგავსად, თითქმის ყველა გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამოქალაქო სამართალში, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში მხარეთა თანასწორობა დაცულია. მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების უმრავლესობას იგივე მოსაზრება აქვს ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით. თუმცა, ადვოკატები სხვა ჯგუფებთან შედარებით, მხარეთა თანასწორობას ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ნაკლებად დადებითად აფასებენ.

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	100% (101)	100% (69)	100% (62)	93% (260)	90% (170)	92% (158)	100%** (53)	98%** (48)	100%** (51)
მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე	100% (101)	100% (71)	100% (62)	92% (249)	90% (166)	89% (150)	100%** (48)	97%** (38)	100%** (46)
ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	97% (91)	100% (69)	100% (57)	78% (216)	79% (151)	66% (114)	96%** (49)	98%** (45)	98%** (49)
მხარეთა თანასწორობა დაცულია ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პროცესებზე	99% (91)	100% (70)	100% (58)	78% (210)	73% (140)	64% (108)	94%** (47)	97%** (38)	98%** (44)

* ინდიკატორის დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან აღემატება 20%-ს.

**** ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციების და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

მხარეთა თანასწორობა ისეთ შემთხვევაში, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს

ისეთ შემთხვევებზე, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს, ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მოსამართლეები შებოჭილნი იყვნენ მხარეთა თანასწორობის პრინციპით და რომელიმე მხარეს ვერ დაიჭერდნენ, ამიტომაც ბუნებრივი უთანასწორობა არსებობდა ადვოკატით წარმოდგენილი მხარის სასარგებლოდ. კვლევის წინა ტალღის მსგავსად, ზოგმა ადვოკატმა ხაზი გაუსვა უსამართლობას, რაც თავს იჩენს, როცა სასამართლო საქმეში დაკავებული პირი მონაწილეობს, რომელსაც არ შეუძლია ადვოკატის აყვანა და მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობაც არ აქვს. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა თბილისიდან განსაკუთრებით გამოყო ეს პრობლემა: „შეიძლება, პიროვნება პატიმრობაში იყოს, ვერ აიყვანოს ადვოკატი და არ იყოს ასევე სავალდებულო დაცვის შემთხვევა და მთელი გამოძიების პროცესი ისე წარიმართოს, რომ ადვოკატის გარეშე ერთი მტკიცებულებაც კი ვერ მოიპოვოს... ერთადერთი განსხვავება შეიძლება მოსამართლის ქმედებაში ის გამოიხატოს, რომ „შეეცოდოს“ და დაუნიშნოს ადვოკატი, მაგრამ ეს მხოლოდ დანიშვნა იქნება დანიშვნისთვის და არა იმ მიზნების შესრულებისთვის, რასაც ხარისხიანი მართლმსაჯულება ჰქვია. ადვოკატი არსებითი განხილვის სხდომაზე ძალიან შეზღუდულია რაიმე ახალი მტკიცებულების მხრიდან და უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რაც საქმეში არის და იმის საფუძველზე უნდა შეეცადოს პიროვნების გამართლებას თუ მდგომარეობის შემსუბუქებას“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

„შეიძლება, პიროვნება პატიმრობაში იყოს, ვერ აიყვანოს ადვოკატი და არ იყოს ასევე სავალდებულო დაცვის შემთხვევა და მთელი გამოძიების პროცესი ისე წარიმართოს, რომ ადვოკატის გარეშე ერთი მტკიცებულებაც კი ვერ მოიპოვოს... ერთადერთი განსხვავება შეიძლება მოსამართლის ქმედებაში ის გამოიხატოს, რომ „შეეცოდოს“ და დაუნიშნოს ადვოკატი, მაგრამ ეს მხოლოდ დანიშვნა იქნება დანიშვნისთვის და არა იმ მიზნების შესრულებისთვის, რასაც ხარისხიანი მართლმსაჯულება ჰქვია.“

(იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

იურიდიული დახმარების სამსახურის კიდევ ერთმა ადვოკატმა თბილისში გაიხსენა შემთხვევა, როცა ბრალდებულის ადვოკატად საბოლოო სიტყვის ეტაპზე დანიშნეს. მან საქმის ხელახალი განხილვა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ ეს მოთხოვნა მხედველობაში არ მიიღო. კერძო ადვოკატმა ბათუმიდან ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საქმე, როცა მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა და, სამართლებრივი საკითხებისა და პროცესის არცოდნის გამო, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნა და პროკურორი არ შუამდგომლობდა მის გამოსაკვლევად. დოკუმენტი დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ მხარეს არ შეუძლია, მოწმედ დაკითხოს პირი, ვინც მოიპოვა, შექმნა ან ვისთანაც ინახებოდა მტკიცებულება... ეს დასკვნა იყო დაუშვებლად საცნობი და სისხლის სამართლებრივი დევნა შესაწყვეტი... მოსამართლემ ჯერ ბრალდებულს კი არ აუხსნა, რომ ამის სადაოდ ცნობა გამოიწვევს დაუშვებლობას და დევნის შეწყვეტას, ჯერ ჰკითხა, უდავოდ ცნობ თუ არაო, იმას ადვოკატი

არ ყავდა, კი, ვცნობ უდავოდ... აიღო, დაუშვა ეს მტკიცებულება, როგორც უღაო და გადასცა საქმე არსებითი განხილვისათვის“ (კერძო ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

ადვოკატების ნაწილმა დადებით გამოცდილებასაც გაუსვეს ხაზი. მათი თქმით, იყო შემთხვევები, როცა მოსამართლეები ცდილობდნენ ადვოკატის გარეშე წარმოდგენილი მხარის დახმარებას იმის ფარგლებში, რასი შესაძლებლობაც კანონმდებლობითა და საპროცესო კოდექსით ჰქონდათ, თუკი ამჩნევდნენ, რომ მხარე აშკარად არაუპირატეს მდგომარეობაში იყო. „როდესაც ადვოკატის აყვანის საშუალება არ ჰქონია მხარეს ან როდესაც რაღაც ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, სასამართლოს დამოკიდებულება, პირიქით, უფრო დადებითი იყო, ეხმარებოდა. მოთხოვნის ჩამოყალიბებაშიც კი ეხმარებოდა... სასამართლოს დამოკიდებულება ძალიან დაბალანსებული იყო, ძალიან სწორი“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

მოსამართლეთა თქმით, თუკი მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა, სახელმწიფო მას სახაზინო ადვოკატს დაუნიშნავდა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატს. კანონმდებლობით მკაფიოდ იყო გაწერილი ასეთი შემთხვევები, მათ შორის 18 წლამდე ასაკის პირთა შემთხვევაში, სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში, მუდმივი პატიმრობის სავარაუდო განაჩენის შემთხვევაში და ა.შ. სისხლის სამართალში პროცესი ძალიან მკაცრი იყო და მოსამართლეებს რაიმე ფორმით ჩარევის უფლება არ ჰქონდათ. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეებს, სადაც მოქალაქეები, როგორც წესი, სახელმწიფო ინსტიტუტებს ედავებოდნენ, მოსამართლეებს ჰქონდათ გარკვეულ შემთხვევაში მათი დახმარების უფლება და ასეც იქცეოდნენ. ერთ-ერთმა მოსამართლემ თბილისიდან აღნიშნა მისი კოლეგის მიერ შეტანილი წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის არსებული პროცესი, სადაც მოსამართლეებს კითხვის დასმის უფლებაც არ ჰქონდათ, არაკონსტიტუციური იყო და ელოდებოდა ამ წარდგინების განხილვის შედეგებს. სისხლის სამართლის მოსამართლემ რუსთავიდან აღნიშნა, რომ თუკი მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა, იგი მეტ დროს უთმობდა ასეთ შემთხვევებს. „უფრო დიდ დროს ვანდომებ ისეთი საქმის განხილვას, ვისაც ადვოკატი არ ჰყავს პროცესში. მაგრამ ბუნებრივია, მე ვერ ვიქნები იმავდროულად მისი ადვოკატი. მე ვერ მოვიპოვებ მის ნაცვლად რაიმე ინფორმაციას“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლემ თბილისში საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალში მოსამართლეებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ მოქმედებისთვის და საქმეზე ობიექტური სიმართლის დასადგენად. „თუ რომელიმე მხარეს გარკვეულწილად ეს უჭირს, ვთქვათ, იურიდიული ცოდნის არასაკმარისობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლეს აქვს ამის შესაძლებლობა, რომ თვითონ დააბალანსოს, გამოითხოვოს მტკიცებულებები, მესამე პირები მოიწვიოს, რაც საჭიროება არსებობს ამ პროცესში იმისთვის, რომ სრულად იქნას დაცული ეს თანასწორობა“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

სამოქალაქო სამართლის მოსამართლემ ბათუმში აღნიშნა, რომ როცა მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა, ის ცდილობდა პროცესის დეტალებში გაერკვია მხარე, მათი უფლებები არაიურიდიული ენით აეხსნა, რომ სიტუაციაში გარკვევაში დახმარებოდა. მისი თქმით, ეს

ხშირი იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევებში. „უმრავლეს შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი მოდის ადვოკატის გარეშე. პროცესი არ არის ხანგრძლივი, მაგრამ იქ უკვე მე ძალიან მიჭირს თანაბრობის დაცვა. იმიტომ, რომ ერთ მხარეზე არის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი, რომელიც მოყვანილია ქუჩიდან, უხეშად რომ ვთქვათ და მეორე მხარეზე არის ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, პოლიციელი, პატრულ-ინსპექტორი ან ა.შ. ასეთ დროს მთელი ჩემი ყურადღება არის მიპყრობილი იმისკენ, რომ პირველი სიტყვიდან ბოლო სიტყვამდე ამ ადამიანისთვის ყველაფერი იყოს გაგებულ“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

პროკურორებმა დაადასტურეს, რომ მოსამართლეები დამატებით ძალისხმევას იღებენ, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს. უხსნიან მათ უფლებებს ყველა დონეზე, რომ ბრალდებულმა ყველაფერი გაიგოს. „[მოსამართლეები] ყოველთვის აღნიშნავენ დაცვის უფლების გამოყენების მნიშვნელობას და სახაზინო ადვოკატს უნიშნავენ, თუკი პირს კერძო ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა არ აქვს“ (პროკურორი, ქალი, 10-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

თბილისში პროკურორმა ხაზი გაუსვა პრობლემას, რომელზეც ადვოკატებმაც ისაუბრეს, რომ მხარეთა თანასწორობა ვერ ხერხდებოდა ისეთ შემთხვევაში, როცა მხარე პატიმრობაში იყო, რადგან მას არ ჰქონდა მტკიცებულებების მოპოვების საშუალება.

2. მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა

ძირითადი მიგნებები:

- საერთო ჯამში, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობას სჯერა, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები (სასამართლო, პროკურატურა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური და პოლიცია) სხვადასხვა უმცირესობისა და უმრავლესობის ჯგუფს სამართლიანად/თანასწორად ეპყრობა.
- რესპონდენტთა უმეტესობა ფიქრობს, რომ სასამართლო ყველა უმრავლესობისა თუ უმცირესობის წარმომადგენელ ჯგუფს სამართლიანად ეპყრობა. 2016 და 2019 წლის კვლევის შედეგების მსგავსად, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს უფრო კრიტიკული შეხედულებები აქვთ: თითქმის მესამედი ამბობს, რომ სასამართლო ლგბტ თემის წარმომადგენლებს უსამართლოდ ეპყრობა.
- გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობას, გარდა არასამთავრობო სექტორის ადვოკატებისა, სჯერა, რომ პროკურატურა საქართველოში ყველა უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფს თანასწორად ექცევა.
- ზოგადად, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ იურიდიული დახმარების სამსახური უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს თანაბრად ეპყრობა.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებისა, აცხადებს, რომ პოლიცია ეფექტურ ზომებს იღებს, როცა მას სხვადასხვა ჯგუფი მიმართავს. თუმცა, 2019 წელთან შედარებით, რესპონდენტთა წილი, ვინც დადებითად აფასებს პოლიციის ეფექტურობას, ოდნავ შემცირდა.
- საერთო ჯამში, რესპონდენტთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები უდანამაულობის პრეზუმფციას იცავს. 2019 წლის კვლევის შედეგების მსგავსად, სასამართლოსა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ უფრო მეტი რესპონდენტი ამბობს, რომ ისინი იცავენ უდანამაულობის პრეზუმფციას, ვიდრე პროკურატურისა და პოლიციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ახლა რესპონდენტთა უფრო მცირე წილი ფიქრობს, რომ პოლიცია უდანამაულობის პრეზუმფციას იცავს.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა უმრავლესობა, გარდა მოსამართლეებისა და პროკურორებისა, ამბობს, რომ მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა გამოწვევაა. მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობას სჯერა, რომ მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემა ფინანსურად ხელმისაწვდომია. ადვოკატთა მხოლოდ მესამედი იზიარებს ამ მოსაზრებას.
- ფოკუს ჯგუფებსა და სიდრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხული ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები მეტწილად ეთანხმებიან იმას, რომ სასამართლოები, პროკურატურა და იურიდიული დახმარების სამსახური ყველას

თანასწორად ეპყრობა, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით დიფერენცირების გარეშე.

- ზოგი ადვოკატის თქმით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში პროკურატურისა და პოლიციის წარმომადგენლებს ქალი მსხვერპლების მიმართ მგრძობელობა აკლიათ. მოსამართლეები გააკრიტიკეს იმის გამო, რომ არასაკმარის მგრძობელობას ამჟღავნებენ ქალების მიმართ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების საქმეებში. ადვოკატთა ნაწილმა გაიხსენა შემთხვევები, როცა მოსამართლეებმა ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ პირადი არაკეთილგანწყობა გამოამჟღავნეს ცინიკური ჩაცინებისა და გამოხედვის გზით.
- ერთადერთი პრობლემა, რაც თანასწორი მოპყრობის მხრივ მოსამართლეებმა დაასახელეს, ბათუმის მოსამართლემ აღნიშნა და ეხებოდა უცხოელებისთვის თარჯიმნის პოვნის სირთულეებს.


მოპყრობა

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს სთხოვეს, შეეფასებინათ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა სასამართლო, პროკურატურა და იურიდიული დახმარების სამსახური შემდეგ ჯგუფებს: ეთნიკური უმცირესობები, ეთნიკური ქართველები, ლგბტ თემის წარმომადგენლები, ჰეტეროსექსუალები, არამართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენლები, მართლმადიდებელი ქრისტიანები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საერთო ჯამში, რესპონდენტთა უმრავლესობა (81%⁶) ფიქრობს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტი სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს თანასწორად/სამართლიანად ეპყრობა (იხ. გრაფიკი 3).

⁶ პროცენტული მაჩვენებელი გამოთვლილია ინდიკატორიდან. იხილეთ დანართი 2.

გრაფიკი 3

როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები მიმართავენ სასამართლოს, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? (% სამართლიანად)




შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულიად სამართლიანად“ და „ძირითადად სამართლიანად“ დაჯგუფდა, როგორც „სამართლიანად“.

რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ, რამდენად თანასწორად ან უთანასწოროდ ეპყრობა პროკურატურა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს. პროკურორების, მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და კერძო ადვოკატების უმრავლესობა დადებით შეხედულებას გამოხატავს პროკურატურის მოპყრობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აქამდე ჩატარებული კვლევის შედეგების მსგავსად, ყველაზე ხშირად მოსამართლეები ამბობენ „არ ვიცი“-ს (29-31%), როცა სხვადასხვა ჯგუფისადმი პროკურატურის მოპყრობას აფასებენ. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ნახევარზე ნაკლები ფიქრობს, რომ პროკურატურა ქალებს (47%), რელიგიურ უმცირესობებს (43%), ეთნიკურ უმცირესობებსა (40%) და ლგბტ თემის წარმომადგენლებს (23%) თანასწორად ეპყრობა (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4

რამდენად თანასწორად ან რამდენად უთანასწოროდ ეპყრობა პროკურატურა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლებს, როდესაც მათ საქმეებზე მუშაობს?
(% თანასწორად)




შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულიად თანასწორად“ და „ძირითადად თანასწორად“ დაჯგუფდა, როგორც „თანასწორად“.

სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სასამართლოებისა და პროკურატურის მოპყრობის შეფასების შემდეგ, რესპონდენტს სთხოვეს, შეეფასებინათ, სახაზინო ადვოკატების მიერ მოპყრობა. რესპონდენტთა უმეტესობა ფიქრობს, რომ სახაზინო ადვოკატები ყველა ჯგუფს თანასწორად ეპყრობიან (იხ. გრაფიკი 5).

გრაფიკი 5

როდესაც სახელმწიფო სახაზინო ადვოკატს უნიშნავს საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენელს, თქვენი გამოცდილებით, რამდენად თანასწორად ან უთანასწოროდ ეპყრობა მას სახაზინო ადვოკატი? (% თანასწორად)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულიად თანასწორად“ და „ძირითადად თანასწორად“ დაჯგუფდა, როგორც „თანასწორად“.

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატები უმეტესად ამბობდნენ, რომ სასამართლოები, პროკურატურა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები არ განასხვავებდნენ ჯგუფებს ერთმანეთისგან და ყველას თანასწორად ეპყრობოდნენ. თუმცა, ადვოკატთა ნაწილმა ცალკე გამოყო გარკვეული ტიპის საქმეები, სადაც ქალების მიმართ უთანასწორო მოპყრობა შეინიშნებოდა. მათ აღნიშნეს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები, რომლებსაც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე სხვა საქმეებს. „გამოსული იყო გადაწყვეტილება ბრალდებულის ძეზნასთან დაკავშირებით და არ ვიცი, რა სახის ბრძოლა და დავა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ბრალდებული დაეკავებინათ და პროკურატურაში აღნიშნეს, რომ პირდაპირი მითითება ჰქონდათ, რომ გარკვეული სახის დანაშაულებზე არ მოეხდინათ, არჩევნები იყო და არჩევნებამდე, რეაგირება“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი). თბილისში ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, პროკურატურასა და პოლიციას არ ჰქონდათ დაბალანსებული მიდგომა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეებში. რუსთავში ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეები ზოგჯერ ქალების მიმართ მგრძობებლობას არ ამჟღავნებდნენ ოჯახში ძალადობის საქმეებში და „შენ გამოიწვევდი“ მიდგომა ჰქონდათ. თბილისში ფოკუს ჯგუფის მონაწილე ადვოკატთა ნაწილმა კიდევ ერთი მიმართულება დაასახელა, სადაც მოსამართლეების მხრიდან ქალების მიმართ მგრძობებლობის ნაკლებობა შეინიშნებოდა - სამუშაო ადგილზე სექსუალური

შევიწროების საქმეები. „არის ხოლმე იმგვარი სიტუაციები, როცა სასამართლოს ნაკლები მგრძობელობა აქვს საქმეების მიმართ. აი, მაგალითად, ავიღოთ ქალების სექსუალური შევიწროების საქმე სამუშაო ადგილზე. მე პირადად მქონია საქმეები, როდესაც სასამართლო, არ აქვს მნიშვნელობა, თუნდ ქალი განიხილავდეს მოსამართლე, თუნდ კაცი, კაცი მოსამართლე როცა განიხილავს, უფრო მეტად ისეთ კითხვებს სვავს, რაც ძალიან არა რელევანტურია ან უბრალოდ ეს იწვევს კიდევ ერთხელ მსხვერპლის ვიქტიმიზაციას... [მოსამართლეები] ხშირად სვამენ კითხვებს, რომელიც საერთოდ არ არის რელევანტური ან შეიძლება უფრო ისეთი რეპლიკა ჰქონდეთ... შეიძლება, უბრალოდ ჩაიცინოს მოსამართლემ, რომ ამან მსხვერპლის ძალიან გაღიზიანება გამოიწვიოს და სრულიად დაუკარგოს იმედი მართლმსაჯულების“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

ქალების და კაცების მიმართ მოპყრობაში კიდევ ერთ განსხვავებას არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა გაუსვა ხაზი თბილისში. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სანქციების (ჯარიმა, დაკავება) შეფარდება ქალებისა და კაცებისთვის სელექციურად ხდებოდა. მაგალითად, იდენტურ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე დაკავების სანქცია ქალების მიმართ თითქმის არასდროს გამოიყენებოდა. „ცხადია, მე არ ვარ იმის მომხრე, ქალები უფრო დაისაჯონ მაინც და მაინც მკაცრად და პატიმრობა იქნეს გამოყენებული მათ მიმართ, მაგრამ... თუ აღკვეთის საფუძვლები არის, ცხადია უნდა გამოვიყენოთ პატიმრობა, როგორც კაცის, ისე ქალის შემთხვევაში. ესეთი მიდგომა შაბლონური, ქალია და არ ვაკავებ ან ადმინისტრაციულ პატიმრობას არ ვიყენებ მის მიმართ სანქციის სახით და თუ არის კაცი, ვაკატიმრებ და უფრო მძიმე სანქციას ვუფარდებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, არ არის ჩემთვის ეს მიდგომა მისაღები“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

„...ავიღოთ ქალების სექსუალური შევიწროების საქმე სამუშაო ადგილზე. მე პირადად მქონია საქმეები, როდესაც სასამართლო, არ აქვს მნიშვნელობა, თუნდ ქალი განიხილავდეს მოსამართლე, თუნდ კაცი, კაცი მოსამართლე როცა განიხილავს, უფრო მეტად ისეთ კითხვებს სვავს, რაც ძალიან არარელევანტურია ან უბრალოდ ეს იწვევს კიდევ ერთხელ მსხვერპლის ვიქტიმიზაციას... [მოსამართლეები] ხშირად სვამენ კითხვებს, რომელიც საერთოდ არ არის რელევანტური ან შეიძლება უფრო ისეთი რეპლიკა ჰქონდეთ... შეიძლება, უბრალოდ ჩაიცინოს მოსამართლემ, რომ ამან მსხვერპლის ძალიან გაღიზიანება გამოიწვიოს და სრულიად დაუკარგოს იმედი მართლმსაჯულების“.

(არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა ისაუბრეს შემთხვევებზე, როცა მოსამართლეები პირად არაკეთილგანწყობას გამოხატავდნენ ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ. „ცხადია, ესე პირდაპირ და უშუალოდ არა, მაგრამ, აი, ცინიკური ჩაცინება, ეს მხერა, ეს მსგავსი ქმედებები გვიგრძნია და მოსარჩელესაც უგრძნია მის მიმართ არაკეთილგანწყობა“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმში გაიხსენა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ფოკუს ჯგუფამდე ორი თვის წინა პერიოდიდან, როცა მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, ინვალიდი იყო თუ არა. ადვოკატს მოუწია ჩარევა და იმის თქმა, რომ არცერთი მათგანი არ იყო შეზღუდული შესაძლებლობის პირი. „ეს მიმართვა, ინვალიდი ხარ, ეს, ხო, უკვე აღარ არის აპრობირებული ტერმინი და გიყვებით ერთ-ორი თვის ამბავს. არ ვიცი ეხლა ვინმე შშმ რო ყოფილიყო, რა რეაქცია ექნებოდა ამაზე, მაგრამ მოსამართლე მთელი პროცესის განმავლობაში იმეორებდა ამას - ინვალიდი ხარ. ცოტა არ იყოს, არა სწორია“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა თბილისში უფრო ზოგად ჭრილში ისაუბრა საქმეებზე, სადაც სახელმწიფო არასამართლიანად მიუდგა ეთნიკური უმცირესობების პროტესტს. „გვქონია შემთხვევა, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აპროტესტებდნენ სახელმწიფოს კონკრეტულ მოქმედებას, ამის საპასუხოდ, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს შესაბამისი სამართლებრივი ზომები მიეღო, რაც ამ ადამიანების უფლების დაცვას და აღდგენას ხელს შეუწყობდა, პირიქით, რეპრესიული ზომები მიუღია სახელმწიფოს და, ვთქვათ, იგივე გამოძიება დაუწყია ამ ადამიანების წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პროტესტი ჩაეხშო და, ასე ვთქვათ, შიშის შეგრძნება გაეჩინა, რომ მათ აღარ ესაუბრათ დარღვეულ უფლებებზე“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი). უთანასწორო მოპყრობის კიდევ ერთ მაგალითად დასახელდა კომენდანტის საათის არმოხსნა ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით მაშინ, როცა შობას და ახალ წელს იგი მოიხსნა და ასევე იგეგმებოდა მისი მოხსნა ფეხბურთის მატჩთან დაკავშირებით.

მოსამართლეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სასამართლოში ადგილი არ ჰქონდა რაიმე სახის დისკრიმინაციას, საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფის, უმცირესობებისა თუ სხვათა მიმართ. „ეს მოსამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, რომ თანასწორად მოეპყრას ყველა პირს. მე ნამდვილად არ მახსენდება პრაქტიკაში [უთანასწორო მოპყრობის] არცერთი შემთხვევა. მყოლია პროცესზე უმცირესობების წარმომადგენლები, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საქმის განხილვის დროს“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი). სამოქალაქო სამართლის მოსამართლემ ბათუმში დაამატა, რომ საქართველოში კანონმდებლობა ყველა უმცირესობის ჯგუფის დაცვას უზრუნველყოფდა და დისკრიმინაცია დაშვებული არ იყო. „გამორიცხულია რაიმე სახის უპირატესობის მინიჭება რომელი თემის წარმომადგენლის მიმართ. მე არ მომცემს არც შინაგანი ეთიკა ამის საშუალებას, არც სამოსამართლო ეთიკის ნორმები, არც საპროცესო ნორმები, არც კანონმდებლობა და ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით საქართველომ და ქართულმა მართლმსაჯულებამ კარგად ჩააბარა ყველა ის გამოცდა, რომელიც მის წინაშე იყო“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი). ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლემ ახსენა თბილისში, ის იყო, რომ დაშორებულმა მეუღლემ სასამართლო პროცესზე თქვა, რომ მისი ცოლის მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვები იყო. თუმცა, მოსამართლეს ჰქონდა ამაზე რეაქცია და გააფრთხილა, რომ თუ ასეთი ტიპის საუბარს გააგრძელებდა, სასამართლო შესაბამის ზომებს მიიღებდა.

იგივე ეხება პროკურატურასა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ იურიდიული დახმარების სამსახურს. მოსამართლემ ბათუმში აღნიშნა, როგორ ცდილობდა პროკურატურა ყველა მოქმედების დროულად შესრულებას, როცა საქმებ ლგბტ თმის წარმომადგენლებს ეხებოდათ, რომ მათ რაიმე განსხვავებული მოპყრობა არ ეგრძნოთ. ერთ-ერთმა მოსამართლემ ახალციხეში განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებში ქალებისა და კაცების მიმართ პროკურატურის მხრიდან განსხვავებული მიდგომა იყო. თუკი კაცები ძალადობდნენ ქალებზე, პროკურატურა კაცების დაპატიმრებას ითხოვდა, მაგრამ თუ ქალები ძალადობდნენ კაცებზე, მაშინ პროკურორები პატიმრობის ზომას არ ითხოვდნენ. „ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ქალთა უფლებები პრიორიტეტულია დღეს საზოგადოებაში. სახელმწიფომ დაისახა ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მიზნად და ა.შ. მაგრამ რა ვიცი, საერთოდ ესეთი მიდგომა, რომ თუკი ქალმა დარეკა პოლიციაში და დახმარება ითხოვა, ყველა მამაკაცი ციხეში და დაკავება, ესეთი მიდგომაც არ არის სწორი“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ახალციხე). კიდევ ერთი სირთულე, რაზეც მოსამართლეებმა ისაუბრეს ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით, მსხვერპლების მიერ ჩვენების შეცვლა იყო მათი მეუღლის ოჯახისგან ზეწოლის თუ სხვა მიზეზების გამო. ამიტომაც, მათი აზრით, საქმის გადაწყვეტისათვის უკეთესი იქნებოდა, თუკი მსხვერპლები პირველ ჩვენებას მაგისტრატ მოსამართლეს მისცემდნენ. ამ შემთხვევაში ამ ჩვენების საქმეში გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელთა მიმართ მხოლოდ ერთი კომენტარი დაფიქსირდა რუსთავში სისხლის სამართლის მოსამართლის მხრიდან. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ შეუნიშნავს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მხრიდან ემპათიის ნაკლებობა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეებში, სადაც ეს ქალები ხშირად მთავარი მოწმეები იყვნენ. „ზოგადად, მათ მიმართ რაღაცნაირად არაემპათიურები არიან თითქოს ანუ ყველაფერს განიხილავენ იმ ჭრილში, რომ როგორმე საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგეს და მოწმის დისკრედიტაციასაც ახდენენ, დაზარებულის უფრო სწორედ, ქალების ანუ... ბუნებრივია მათი ინტერესი არის ბრალდებულის დაცვა, თუმცა, აუცილებლად არიან მომართული იქითკენ, რომ მოახდინონ მოწმის დისკრედიტაცია, რომ ეს მოწმე იტყუება და, აი, სწორედ ქალი მსხვერპლების მიმართ აქვთ ხოლმე მათ ეს დამოკიდებულება“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). მოსამართლემ ბათუმიდან აღნიშნა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურს მხარდაჭერა და გაძლიერება სჭირდებოდა ადვოკატების რაოდენობის გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

ერთ-ერთმა მოსამართლემ ბათუმში ხაზი გაუსვა თარგმანის საკითხს იმ შემთხვევაში, როცა მხარემ ქართული ენა არ იცოდა. მისი თქმით, ყოველთვის ადვილი არ იყო მათთვის თარგმანის პოვნა და ზოგჯერ ეს პროცესს აფერხებდა.

ზოგმა მოსამართლემ ახსენა, რომ თუკი მოქალაქეები მოსამართლის, პროკურორის ან სხვა რომელიმე პირის მხრიდან დისკრიმინირებულად იგრძნობდნენ თავს, უნდა განეცხადებინათ ამის შესახებ. ამ მხრივ საჭირო იყო მოქალაქეთა სამართლებრივი შეგნების ამაღლება და სასამართლო გარკვეულწილად მუშაობდა ამ მიმართულებით. „ხშირად გვქონია შეხვედრები. ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი ჯგუფი, ვთქვათ, იქნებოდა ეს სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს, [ვხვდებოდით]. ერთხელ სკოლაშიც მივედი. წარმოდგენილი იქნა თხოვნა, რომ სკოლაში ჩატარდა გამოკითხვა ბავშვებში, რომელი პროფესიის წარმომადგენელთან

მოისურვებდნენ ისინი შეხვედრას. ბავშვებმა აირჩიეს მოსამართლე და მე თვითონ წავედი... მე ჩემი მხრიდან და თქვენ თქვენი მხრიდან უნდა ვეცადოთ და დავარწმუნოთ ხალხი, რომ განცხადებას აქვს აზრი და მათ დაიცავენ“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

პროკურორებმა აღნიშნეს, რომ არც მოსამართლეები და არც პროკურატურა ახორციელებდა დისკრიმინაციას რომელიმე ჯგუფის მიმართ. ისინი ყველას თანასწორად ეპყრობოდნენ. გამოკითხული პროკურორებიდან ვერცერთმა გაიხსენა რომელიმე ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევა. პირიქით, მათ ისაუბრეს ტრენინგებზე, რომელსაც პროკურატურა პროკურორებისთვის ატარებდა უმცირესობების დისკრიმინაციის მიმართ მგრძნობელობის ამაღლებისთვის, და ასეთი შემთხვევების ფართომასშტაბიან მონიტორინგზე.


პროკურორები უმეტესად აქებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს მათი კომპეტენციის გამო და მათი მხრიდან რაიმე სახის დისკრიმინაციას გამორიცხავდნენ.

ეფექტურობა

კვლევაში მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს სთხოვეს, შეეფასებინათ, პოლიციის ეფექტურობა მაშინ, როცა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები მას მიმართავდნენ. პროკურორების, მოსამართლეების, კერძო ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა პოლიციის მიერ მიღებულ ზომებს დადებითად აფასებს (იხ. გრაფიკი 6). თუმცა, 2019 წელთან შედარებით, იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც დადებითად აფასებდნენ პოლიციის ქმედებების ეფექტურობას, მცირედით შემცირდა. გამოკითხული არასამათავრობო ორგანიზაციების ადვოკატების ნახევარზე ნაკლები ფიქრობს, რომ პოლიცია ეფექტურად ახორციელებს შესაბამის ზომებს, როცა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები მას მიმართავენ.

გრაფიკი 6

როდესაც პოლიციას მიმართავს საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენელი, თქვენი გამოცდილებით, რამდენად ეფექტურად ან არაეფექტურად განახორციელებს პოლიცია კანონით გათვალისწინებულ ზომებს? (% ეფექტურად)




შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „ძალიან ეფექტურად“ და „ძირითადად ეფექტურად“ დაჯგუფდა, როგორც „ეფექტურად“.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა

რესპონდენტებს სთხოვდნენ შეეფასებინათ, თუ რამდენად იცავს სასამართლო, პროკურატურა, სახაზინო ადვოკატები და პოლიცია უდანაშაულობის პრეზუმფციას. საერთო ჯამში, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ ყველა ჩამოთვლილი აქტორი უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს. თუმცა, 2019 წლის მსგავსად, რესპონდენტები უფრო ხშირად ამბობენ, რომ სასამართლო და სახაზინო ადვოკატები იცავენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვიდრე პროკურატურა და პოლიცია (იხ. გრაფიკი 7). აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ პოლიცია უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს, 2019 წელთან შედარებით, ეს პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია.

გრაფიკი 7

თქვენი გამოცდილებით, რამდენად იცავს ან არ იცავს სასამართლო/პროკურატურა/სახაზინო ადვოკატი/პოლიცია შემდეგი ჯგუფების უდანაშაულობის პრეზუმფციას? (% იცავს)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულად იცავს“ და „ძირითადად იცავს“ დაჯგუფდა, როგორც „იცავს“.

ფინანსური ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე

კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს ეკითხებოდნენ მართლმსაჯულების სისტემის ფინანსური ხელმისაწვდომობის შესახებ. იურიდიული პროფესიის ბევრი წარმომადგენელი ფიქრობს, რომ მართლმსაჯულებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა პრობლემაა. მხოლოდ მოსამართლეებისა (72%) და პროკურორების (71%) უმრავლესობა ამბობს, რომ მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემა ფინანსურად ხელმისაწვდომია მაშინ, როცა ადვოკატთა დაახლოებით მესამედი (31%) იზიარებს ამ მოსაზრებას.⁷ თუმცა, ბოლო ორი კვლევის შედეგებთან შედარებით, ახლა ადვოკატებისა და პროკურორების უფრო მეტი წილი მიიჩნევს, რომ მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემა ფინანსურად ხელმისაწვდომია.

კერძო ადვოკატის მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასებისას, პროკურორების (66%), მოსამართლეებისა (65%) და კერძო ადვოკატების (53%) უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მომსახურება მოქალაქეებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მხოლოდ 29% და


⁷ პროცენტული მაჩვენებელი გამოთვლილია ინდიკატორიდან. იხილეთ დანართი 2.

არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების მხოლოდ 20% იზიარებს იმავე მოსაზრებას (იხ. გრაფიკი 8)⁸.

რაც შეეხება სასამართლო ბაჟის გადახდის ხელმისაწვდომობის საკითხს, 2016 წლისა და 2019 წლების მსგავსად, კერძო ადვოკატების 44%, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 33% და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მხოლოდ 29% ფიქრობს, რომ სასამართლო ბაჟი მოქალაქეებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია, თუმცა, მოსამართლეების დიდი უმრავლესობა (90%) და პროკურორთა ნახევარზე მეტი (57%) აცხადებს, რომ სასამართლო გადასახადი მოქალაქეებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია (იხ. გრაფიკი 8).

გრაფიკი 8

ფინანსურად რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის კერძო ადვოკატის მომსახურება/სასამართლო ბაჟის გადახდა? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულიად ხელმისაწვდომია“ და „ძირითადად ხელმისაწვდომია“ დაჯგუფდა, როგორც „ხელმისაწვდომია“; „ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი“ და „საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი“ დაჯგუფდა, როგორც „არ არის ხელმისაწვდომი“.

⁸ მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორში გამოყენებული პროცენტები იყენებს ორი კითხვის (კერძო ადვოკატებისა და სასამართლო ბაჟის ფინანსური ხელმისაწვდომობა) მონაცემებს, ხოლო ზემოთ მოყვანილი გრაფიკი კერძო ადვოკატებისა და სასამართლო ბაჟის შესახებ მონაცემებს ცალ-ცალკე ასახავს. (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

ინდიკატორი 2: მართლმსაჯულების სისტემასთან მოქალაქეთა წვდომის შეფასება (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, ფრჩხილებში მოცემულია პასუხების რაოდენობა)

2016 წლიდან დღემდე მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი უმრავლესობა დადებითად აფასებს მოქალაქეთა შესაძლებლობას, ისარგებლონ მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით. ადვოკატების უმრავლესობა, ასევე, დადებითად აფასებს ამ შესაძლებლობას. 2016 წელთან შედარებით დადებითი შეფასების პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია.

მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი უმრავლესობა მართლმსაჯულების ინტიტუტების მიერ სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფის მიმართ მოპყრობას თანასწორად მიიჩნევს, ხოლო სასამართლოს მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციას - დაცულად. ადვოკატთა უმრავლესობა, ასევე, დადებითად აფასებს სასამართლოების მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას.

რაც შეეხება მართლმსაჯულების სისტემის ფინანსურ ხელმისაწვდომობას, მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოქალაქეებისთვის მართლმსაჯულების სისტემა ფინანსურად ხელმისაწვდომია. ადვოკატების მხოლოდ მესამედი იზიარებს იმავე მოსაზრებას. მიუხედავად ამისა, 2016 წელთან შედარებით, ახლა მეტი რესპონდენტი აფასებს მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობას დადებითად. აღსანიშნავია, რომ კვლევის წინა ტალღების შედეგებთან შედარებით, პროკურორთა წილი, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას დადებითად აფასებს გაიზარდა.

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების საშუალო მაჩვენებელი	82% (107)	93% (75)	92% (60)	56% (304)	61% (123)	63% (122)	79% (99)	82% (96)	90% (75)
თანასწორი მოპყრობა	97% (108)	100% (81)	99% (66)	63% (309)	73% (151)	68% (134)	96% (102)	99% (121)	98% (85)
უდანაშაულობის პრეზუმფცია	98% (105)	100% (81)	100% (67)	80% (295)	90% (177)	90% (170)	97% (102)	100% (119)	100% (86)
ხელმისაწვდომობა	52% (108)	78% (63)	72% (48)	26% (309)	20% (42)	31% (61)	45% (93)	47% (47)	71% (55)

* ინდიკატორის დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

3. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებისა, საქართველოს უნივერსიტეტებში თეორიული იურიდიული განათლების ხარისხს დადებითად აფასებს.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართული უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს საკმარისი პრაქტიკული უნარებით უზრუნველყოფს. 2019 წელთან შედარებით, იმ მოსამართლეთა წილი, ვინც დადებითად აფასებდა პრაქტიკული იურიდიული განათლების ხარისხს, შემცირდა. თუმცა, 2016 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი კვლავ მაღალი რჩება. გაიზარდა პროკურორთა რიცხვი, ვინც დადებითად აფასებს განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება ადვოკატებს, კერძო და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები უფრო მეტად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების მოსაზრებები იგივე რჩება, ძირითადად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს.
- რესპონდენტთა დიდი ნაწილი, თუმცა არა უმრავლესობა, ამბობს, რომ უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდების (მაგალითად, ადვოკატის, მოსამართლის, პროკურორის და სხვა) ჩასაბარებლად საშუალოდ ამზადებს. თუმცა, ახლა უფრო ნაკლები რესპონდენტი ამბობს, რომ უნივერსიტეტები საშუალოდ ამზადებს კურსდამთავრებულებს გამოცდებისთვის, ვიდრე 2016 წელს.
- ფოკუს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში ადვოკატებმა, მოსამართლეებმა და პროკურორებმა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების განათლების დონე საქართველოში ამჟამად საშუალოდ შეაფასეს. მათი თქმით, იურიდიული პროფესიის ზოგი წარმომადგენელი მაღალკვალიფიციურია, თუმცა, ეს უმეტესად მათი აქტიურობისა და თვითგანვითარებისკენ მიმართული ძალისხმევის შედეგია. ადვოკატების ნაწილმა ცალკე აღნიშნა ნოტარიუსები, როგორც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც „უარს ამბობენ განვითარებაზე“.
- საერთო ჯამში, საუნივერსიტეტო განათლებაც შეფასდა არა, როგორც მაღალი დონის, თუმცა, არც „კატასტროფული“. კვლევის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში აშკარა პროგრესი შეინიშნებოდა. თუმცა, ეს საკმარისი არ იყო. ყველა რესპონდენტმა გაუსვა ხაზი საუნივერსიტეტო სწავლებაში პრაქტიკული კომპონენტების ჩართვის აუცილებლობას, ლექტორებად პრაქტიკოსი იურისტების მოწვევას და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობას სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობების შესაქმნელად.
- განგრძობით იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით მოსამართლეები კმაყოფილნი იყვნენ მათთვის ორგანიზებული ტრენინგებით, ტრენინგის

საჭიროებებზე წლის დასაწყისში ჩატარებული გამოკითხვითა და ტრენინგების ხარისხით. მათ შემთხვევაში ტრენინგების მთავარი მომწოდებელი იუსტიციის უმაღლესი სკოლაა. ისინი თავს პრივილეგირებულად გრძობდნენ, რომ ტრენინგების ასეთი შესაძლებლობები ჰქონდათ.

- ადვოკატებმა განგრძობითი განათლების კონტექსტში უმეტესად ადვოკატთა ასოციაციაზე ისაუბრეს. გამოკითხული ადვოკატების ნაწილი კმაყოფილი იყო ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგებით. ნაწილი კი ამბობდა, რომ კრედიტების წლიური მოთხოვნა მინიმალური და არასაკმარისი იყო იმისთვის, რომ ადვოკატები სრულად ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ საკანონმდებლო სიახლეების შესახებ. ზოგი ადვოკატი ლექტორებით იყო უკმაყოფილო და მიიჩნევდა, რომ ისინი ლექციას მხოლოდ ჩატარების გულისთვის ატარებდნენ და არ ადარდებდათ, ტრენინგის მონაწილეებს რეალურად ესმოდათ საკითხი თუ არა. მხოლოდ რამდენიმე ადვოკატმა აღნიშნა, რომ განგრძობითი იურიდიული განათლების შესაძლებლობები ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ზოგადად, ადვოკატებმა თქვეს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მათთვის დისტანციური სწავლების კარგი შესაძლებლობები და რესურსები გახდა ხელმისაწვდომი.

გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა შეაფასეს, თუ რამდენად საკმარის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს აძლევს საქართველოს უნივერსიტეტები სტუდენტებს. 2019 წელთან შედარებით, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა, გარდა არასამათავრობო ორგანიზაციების ადვოკატებისა (30%), ამბობს რომ საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს საკმარის თეორიულ ცოდნას აძლევს.

ადვოკატები ძირითადად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ კურსდამთავრებულებს საჭირო პრაქტიკული უნარები აქვთ. თუმცა, ადვოკატებთან შედარებით, დადებითად მოსამართლეებისა და პროკურორების უფრო დიდი წილი ფიქრობს. პროკურორთა ნახევარზე მეტი, მოსამართლეთა ნახევარი და ადვოკატთა ნახევარზე ნაკლები ეთანხმება მოსაზრებას, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს საჭირო პრაქტიკული უნარები აქვთ იმისთვის, რომ იურიდიული პრაქტიკა დაიწყონ (იხ. გრაფიკი 9).⁹


2016 წელთან შედარებით, ახლა მეტი მოსამართლე და პროკურორი ფიქრობს, რომ ქართული უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს საკმარის თეორიულ და პრაქტიკულ

⁹ მონაცემები განსხვავდება მესამე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) თეორიული განათლების შესაფასებლად ინდიკატორი აერთიანებს ორ შეკითხვას (აქვთ თუ არა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს საკმარისი თეორიული ცოდნა და ამზადებს თუ არა უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის); (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

ცოდნას აძლევს. თუმცა, მოსამართლეთა დადებითი შეფასებები მცირედით შემცირდა 2019 წელთან შედარებით მაშინ, როცა პროკურორთა დადებითმა შეფასებებმა იმატა. გარდა ამისა, ახლა ადვოკატთა კიდევ უფრო მცირე წილი ეთანხმება ამ მოსაზრებას.

გრაფიკი 9

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები ... (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულიად ვეთანხმები“ და „ძირითადად ვეთანხმები“ დაჯგუფდა, როგორც „ვეთანხმები“; „ძირითადად არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ დაჯგუფდა, როგორც „არ ვეთანხმები“.

რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ, როგორ ამზადებს საქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდების (მაგალითად, ადვოკატის, მოსამართლის, პროკურორის და სხვა) ჩასაბარებლად. 2016 და 2019 წლების მსგავსად, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი, თუმცა არა უმრავლესობა, (42% - 2016 წელს, 39% - 2019 წელს და 33% - 2021 წელს) ფიქრობს, რომ უნივერსიტეტები საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის საშუალო დონის მომზადებას უზრუნველყოფს. თუმცა, ეს პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია 2016 წელთან შედარებით. რესპონდენტთა მხოლოდ 29% ამბობს, რომ უნივერსიტეტები კარგად ან ძალიან კარგად ამზადებს კურსდამთავრებულებს საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეებისა და პროკურორების წილთან შედარებით, საკითხს დადებითად ადვოკატთა უფრო მცირე წილი აფასებს.

ფოკუს ჯგუფებში იურიდიული დახმარების საკითხის განხილვისას ადვოკატებმა, ვისაც ახალ კურსდამთავრებულებთან გარკვეული შეხება ჰქონდათ სტაჟირების პროგრამების

გამო, აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტები მაინც ვერ ახერხებდნენ სტუდენტებისთვის საკმარისი ცოდნის მიცემას და მათი სწავლება უმეტესად თეორიულ საკითხებს ეხებოდა, ვიდრე პრაქტიკულს. „სტაჟორებისგან ვიცი, რომ ისინი პრაქტიკაში ბევრად მეტს სწავლობენ, ვიდრე უნივერსიტეტში თეორიული სწავლებისას“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ადვოკატი ბათუმში, მაგისტრატურის სტუდენტი იყო და დაადასტურა, რომ „უნივერსიტეტებს არ ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია პრაქტიკა... შეიძლება, საგანი დახურო და მიხვდე, რომ სასამართლოს არცერთი გადაწყვეტილება არ წაგიკითხავს, არ დაუვალვია შენს ლექტორს... უნივერსიტეტებს შეუძლიათ, უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილების მიცემა, მაგრამ არც კი ცდილობენ ამას“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

კვლევის წინა ტალღების მსგავსად, ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტებმა სწავლებაში პრაქტიკული ასპექტები უნდა შეიტანონ. „სასწავლო პროგრამები უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული პრაქტიკულ საკითხებზე. შეიძლება, ძალიან კარგი სტუდენტი იყოს, საკმაოდ ისეთი კარგი აკადემიური მოსწრებით, თუმცა, უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ თუ მან თავისი ინიციატივით ეს პრაქტიკული კომპონენტი თავად არ შეავსო, შემძლია გითხრათ, რომ ძალიან გაუჭირდებოდათ მათ დამოუკიდებლად საქმიანობა“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი). კერძო ადვოკატმა 16-წლიანი გამოცდილებით აღნიშნა, რომ 2002 წელს ჰქონდა უნივერსიტეტი დასრულებული და მაშინ „ათასჯერ უფრო ნაკლები პრაქტიკის ნაკლებობა“ ჰქონდათ, ვიდრე ახლანდელ სტუდენტებს (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

ადვოკატთა ნაწილმა ასევე აღნიშნა განსხვავება უნივერსიტეტებს შორის განათლების ხარისხის მხრივ და სამართლის მიმართულებით სამ საუკეთესო უნივერსიტეტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი და კავკასიის უნივერსიტეტი დაასახელა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები დადებით ტენდენციებსაც ამჩნევდნენ, სწავლების მეთოდების მოდერნიზებისა და ევროპულ უნივერსიტეტებთან დაახლოების კუთხით. თუმცა, მათი თქმით, პროცესი უნდა დაჩქარებულიყო. „უბრალოდ ეს დაახლოება ევროპულ უნივერსიტეტებთან თუ ზოგადად უცხოურ განათლებასთან, ეს პრაქტიკის შემოჭრა, უფრო სწრაფად უნდა მიმდინარეობდეს. უფრო ახლოს უნდა მივიდეთ ამ განათლების მეთოდებთან. პროგრესი ცალსახად გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ჩვენ ერთ საფეხურზე გავუთანაბრდეთ. მაინც ძალიან შორს ვართ“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი). როგორც კვლევის წინა ტალღებში, ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს თვით-სწავლების მნიშვნელობას და ახალგაზრდების მოტივირებას თვითგანვითარებისთვის. „მე ვთვლი, ელემენტარულად აქ ახალგაზრდის მონდომებაზეა, სტუდენტის მონდომებაზეა, სურს თუ არა მას, ჩამოყალიბდეს კვალიფიციურ იურისტად“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ სამართლის სფეროში კარგი პროფესიონალებიც იყვნენ და ცუდებიც. ეს მეტწილად ინდივიდებზე იყო დამოკიდებული, ვინ რამდენად შეძლებდა თვითგანვითარებას. მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე საუბრისას ადვოკატებმა რუსთავში თქვეს, რომ კარგი და ცუდი მაგალითების დასახელება შეეძლოთ. მათ ნამუშევარი

ჰქონდათ „ფანტასტიურ“ და „ღირსეულ“ მოსამართლეებთან თეთრიწყაროში, რუსთავსა და ბოლნისში; თუმცა, მათი თქმით, ყველა მოსამართლე ასეთი არ იყო.

ზოგმა ადვოკატმა ცალკე გამოყო ნოტარიუსები, როგორც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც ჩაკეტილები იყვნენ და უარს ამბობდნენ განვითარებაზე. „მე მქონია შეხება ჩემი წინა სამსახურიდან გამომდინარე თუნდაც ნოტარიუსებთან, რომლებიც პრაქტიკულად უარს ამბობენ განვითარებასთან დაკავშირებით და რაღაც ერთი მიმართულებით, ცოტა ჩაკეტილი მიმართულებით ფიქრობდნენ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

პროფესიონალიზმის დონის ამაღლების თვალსაზრისით, თბილისსა და ახალციხეში ადვოკატებმა ახსენეს ადვოკატებში ვიწრო სპეციალიზაციის საჭიროება. „თავიდან მეც რაც შეხება მქონდა, ვფიქრობდი, რომ ძალიან ვიწრო სპეციალიზაცია ჰქონდათ ხოლმე ევროპაში თუნდაც იურისტებს, მაგრამ მერე, პრაქტიკიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ საკმაოდ სწორია. რაც მეტად ვიწრო იქნება სპეციალიზაცია, პროფესიონალიზმის დონე და განათლების დონე ბევრად მაღალი, უკეთესი იქნება ქვეყნისთვისაც და თითოეული ინდივიდუალური საქმისთვისაც“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

მოსამართლეები საქართველოში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების განათლებისა და პროფესიონალიზმის დონით ზოგადად კმაყოფილები არ იყვნენ. „სამწუხაროდ, არც ისე მაღალია ზოგადად განათლების დონე. მე ახლა ამას ვამბობ პროცესებიდან გამომდინარე, იგივე ადვოკატები რომ მოდიან პროცესზე. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა ძალიან პროფესიონალი და კარგი ადვოკატები გვყავს და ეს ფუფუნება არის სასამართლოსთვის“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი). მოსამართლემ ახალციხიდან ასევე აღნიშნა, რომ ადვოკატებს კვალიფიკაციისა და ეთიკის კუთხით გაუმჯობესება სჭირდებოდათ. „დიდ ქალაქებში შეიძლება, ეს პრობლემა ნაკლებად დგას, მაგრამ ჩვენთან ძალიან ცალსახაა“ (მოსამართლე, ქალი, საერთო სამართალი, 11-წლიანი გამოცდილება, ახალციხე). მოსამართლემ ახალციხიდან ასევე ისაუბრა იმაზე, რომ პოლიცია და გამოძიება იყო მართლმსაჯულების სისტემის ის ნაწილი, რომელსაც გაუმჯობესება სჭირდებოდა. „პოლიციის დონე არ არის მაღალი. ისევ იქამდე მივდივართ, რომ გამოძიების უფლება მიეცა ისეთ პირებს, ვისაც იურიდიული განათლება არა აქვს. ამაში დიდ პრობლემას ვხედავ, რაღაცა მიუღებელიც არის. როგორ უნდა გამოიძიოს პიროვნებამ საქმე, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება არა აქვს?“ (მოსამართლე, ქალი, საერთო სამართალი, 11-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

ზოგმა მოსამართლემ, ვისაც გარკვეული შეხება ჰქონდა სტუდენტებთან, სტაჟირებების და სხვადასხვა ვაკანსიების ჭრილში, აღნიშნეს, რომ განათლების დონით მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყვნენ. „[იუსტიციის უმაღლესი] სკოლის გამოცდაზე, ასი განაცხადი იყო. ასიდან ოცმა ჩააბარა, უფრო ნაკლებმა. ეს მიუთითებს, რომ განათლების პრობლემა არის“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

რაც შეეხება საუნივერსიტეტო განათლებას, მოსამართლეებმა უმეტესად ისაუბრეს იმაზე, რომ იყვნენ კარგი და ცუდი სტუდენტები და ეს მეტწილად თითოეული სტუდენტის

მონდომებასა და აქტიურობაზე იყო დამოკიდებული, რომ მეტი ესწავლა და განვითარებულიყო. ზოგმა მოსამართლემ, ვინც თავადაც ლექტორი იყო უნივერსიტეტში, ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტებს შორის დიდი განსხვავება იყო, როგორც

„პოლიციის დონე არ არის მაღალი. ისევ იქამდე მივდივართ, რომ გამოძიების უფლება მიეცა ისეთ პირებს, ვისაც იურიდიული განათლება არა აქვს. ამაში დიდ პრობლემას ვხედავ, რადგან მიუღებელიც არის. როგორ უნდა გამოიძიოს პიროვნებამ საქმე, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება არა აქვს?“
(მოსამართლე, ქალი, საერთო სამართალი, 11-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)

დედაქალაქში, ისე რეგიონებში. თუმცა, საერთო დონე „არც ძალიან მაღალი იყო, მაგრამ არც კატასტროფული“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი). მოსამართლეთა ნაწილის თქმით, სახელმწიფოს შეეძლო სტუდენტების წახალისება სტიპენდიებითა და სტაჟირების შესაძლებლობებით. „სახელმწიფო უწყებებმა, იგივე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა რაც შეიძლება მეტი სტუდენტი, მეტი სტაჟიორი აიყვანონ და აჩვენონ, საქმიანობის ის სფერო შეასწავლონ... როტაციაც უნდა იყოს, რომ არა მხოლოდ რადგან ერთი მიმართულებით, არამედ გარკვეულ სხვადასხვა დაწესებულებაში [გაიარონ სტაჟირება]“ (მოსამართლე, ქალი, სამოქალაქო სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი). იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

საუნივერსიტეტო სწავლების გაუმჯობესებისთვის კიდევ ერთ შემოთავაზებად აღნიშნა ლექტორებად პრაქტიკოსი იურისტების მოწვევა. ეს მეტ პრაქტიკულ ხედვას მოუტანდა სტუდენტებს.

პროკურორებმა აღნიშნეს, რომ იურიდიული განათლების დონე საკმარისად მაღალი არ იყო. თუმცა, პროკურატურა, სასამართლოებთან და არასამთავრობო სექტორთან ერთად მონაწილეობდნენ მის ამაღლებაში. „კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით გარკვეული შედეგები გვაქვს, მაგალითად, ოჯახში ძალადობა და არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა. მიმართვიანობაც მეტია ამაზე და ჩვენ ამას ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ვუკავშირებთ“ (პროკურორი, ქალი, 10-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

პროკურორებმა ასევე გაუსვეს ხაზი იმას, რომ საქართველოში უნივერსიტეტები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ზოგი ცდილობდა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას და ლექტორებად იურიდიული სფეროს პრაქტიკოსებს იწვევდა მაშინ, როცა სხვები ამ მიდგომას არ მიჰყვებოდნენ. პროკურორმა ახალციხიდან აღნიშნა, რომ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა, რადგანაც მათ საკუთარი ასოცირებული პროფესორი არ ჰყავდათ და ლექტორებს თბილისიდან უწევდათ ჩამოსვლა.

რაც შეეხება გაუმჯობესებას, პროკურორების ნაწილის თქმით, საუნივერსიტეტო განათლება უფრო მეტად პრაქტიკული უნდა ყოფილიყო და უნივერსიტეტებს მეტი პრაქტიკოსი მოეწვიათ ლექტორად. ამასთან, უნივერსიტეტებს თანამშრომლობის მემორანდუმი უნდა გაეფორმებინათ პროკურატურასთან, სამართლებრივ ორგანიზაციებთან და სასამართლოებთან სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობების შესაქმნელად, რომ სტუდენტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა, სასამართლოებში, პროკურატურასა და პოლიციაში პრაქტიკულ სამუშაო პროცესში მიეღოთ მონაწილეობა. პროკურორმა ახალციხიდან ხაზი გაუსვა საბაზისო იურიდიული

განათლების სწავლების საჭიროებას საშუალო სკოლის დონეზე. „[მართლმსაჯულება] კომპლექსური საკითხია და მას სკოლაშივე უნდა მიექცეს ყურადღება“ (პროკურორი, კაცი, 12-წლიანი გამოცდილება, ახალქალაქი). პროკურორმა თბილისიდან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებს უცხოური პრაქტიკა უნდა ჩაერთოთ სწავლებაში, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განგრძობითი იურიდიული განათლება

განგრძობითი იურიდიული განათლების კუთხით, პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, რესპონდენტები ადვოკატებს ნაკლებად მიიჩნევენ ამ პროცესში ჩართულად. მოსამართლეებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს მათი უწყებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე უწევდათ დასწრება. ადვოკატებისთვის ტრენინგის ძირითადი მომწოდებელი ადვოკატთა ასოციაცია იყო. თუმცა, თბილისის ადვოკატების თქმით, მათი ტრენინგები და კრედიტების წლიური მოთხოვნა მინიმალური იყო და არასაკმარისი იმისთვის, რომ ადვოკატები საკანონმდებლო ცვლილებებზე ინფორმირებული და ზოგადად კარგი სამართლებრივ ფორმაში ყოფილიყვნენ. „ცოტა უფრო ისეთი ძველი თაობის ადვოკატებთან მიმართებით უფრო პრობლემური არის იმიტომ, რომ, აი, მაგალითად, ტრენინგზე ვყოფილვარ ადვოკატთა ასოციაციაში, რომელიც ეხებოდა დისკრიმინაციის საქმეებს და ადვოკატები ისეთ მოსაზრებებს ავითარებდნენ დისკრიმინაციის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რომ ძალიან სერიოზულად შემეშინდა და ვფიქრობდი, როგორ უნდა დაიცვან ამ ადამიანებმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები თუ სხვა უმცირესობები. მათთან მიმართებით მით უფრო არის საჭირო მუშაობა, დამატებით ტრენინგების შემოტანა. მთელი წლის განმავლობაში ერთ და ორ ტრენინგზე დასწრება, მათ შორის ერთი რომ არის სავალდებულო ადვოკატთა ეთიკის ტრენინგი, ნამდვილად არ არის საკმარისი“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი). ადვოკატებმა ბათუმში თქვეს, რომ ხშირად ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ტრენინგები ლექციას მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებდნენ და მსმენელებიც ამიტომ უსმენდნენ. „ეხლა არ მახსენდება, ერთი იყო ირაკლი ყანდაშვილი, სხვას ვერ გავიხსენებ, რომელიც ვალს კი არ იხდიდა, უბრალოდ ყვებოდა იმისთვის, რომ უნდა გაგვეგო ჩვენ. ისინიც ვალს იხდიან და ჩვენც იმიტომ, რომ კრედიტები დაგვიგროვდეს, მაგიტო ვუსმენ. იუთუბზე უფრო კარგად ვუსმენ სხვა ლექციებს, ვიდრე აქ ვინმეს მოყოლილ ლექციებს ადვოკატთა ასოციაციის“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმში აღნიშნა, რომ ადვოკატთა კვალიფიკაციის პრობლემების იქიდან მომდინარეობდა, რომ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება და ადვოკატთა გამოცდის ჩაბარება პრესტიჟული არ იყო და ყველას ადვილად მიუწვდებოდა ხელი. „იმდენად ხელმისაწვდომია, ნებისმიერ პირს შეუძლია გახდეს [ადვოკატთა ასოციაციის წევრი]. თუ კი ვინმე იურიდიულ პროფესიაშია, იურისპრუდენციაში ხელმოცარული იყო, ყოფილი მოსამართლე, ყოფილი პროკურორი, ყოფილი არ ვიცი, ვისაც გამოცდის გარეშეც აქვს შესაძლებლობა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდეს, ყველა ეს სუბიექტი არის ადვოკატთა ასოციაციაში... ეს დამოკიდებულება თუნდაც პროფესიონალიზმთან დაკავშირებით და ადვოკატთა ასოციაციის დამოკიდებულება განგრძობად სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, გამოცდასთან დაკავშირებით, ეთიკის ლექციებთან დაკავშირებით, რომ, აი, მარტივად, ეთიკის გამოცდა

ბარდება კომპიუტერზე უნდა დაჯდეს, პრაბელი ჩართული გქონდეს, რომ არ გაითიშოს და უსმინო“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

რუსთავში ადვოკატთა ნაწილი ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგებით კმაყოფილი იყო. სხვებმა თქვეს, რომ მათი ტრენინგები ამომწურავი არ იყო. თუმცა, ინტერნეტის საშუალებით ადვოკატებისთვის თვითგანვითარების ბევრი შესაძლებლობა იყო იმისთვის, რომ სიახლეებსა და ტენდენციებზე ინფორმაცია ჰქონოდათ. „ბოლო-ბოლო ინტერნეტის საშუალება და ფუფუნება გვაქვს ყველას. თქვენ ადრე უნდა გეკითხათ, 90-იან წლებში წიგნებს რო ვთხოვლობდით, ამოვჭრიდით და ჩავაკერებდით და რომ ვიყავით საცოდავ დღეში“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

სხვებისგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა კერძო ადვოკატმა თბილისში. მან აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის მიღმა ტრენინგის შესაძლებლობები ყველა ადვოკატისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, განსაკუთრებით სახელმწიფო ინსტიტუტებში მომუშავე ადვოკატებისთვის. კერძო ადვოკატებს შეეძლოთ, დამსაქმებლისთვის ეთხოვათ ტრენინგის დაფინანსება ან თავად დაეფინანსებინათ თავი, მაგრამ სახელმწიფო სექტორის ადვოკატებისთვის ეს უფრო რთული იყო. გარდა ამისა, ადვოკატების ნაწილს ენობრივი ბარიერიც ჰქონდათ და უჭირდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ტრენინგზე დასწრება. ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგებიც გარკვეულწილად გაუმჯობესებული იყო და საინტერესოც, თუმცა, არა საკმარისი. „ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგები, რა თქმა უნდა, არის. ბოლო წლებში უკეთესია, ვიდრე ადრე იყო, მაგრამ ეს არ არის ის, რაც უნდა იყოს“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი). ფოკუს ჯგუფის სხვა მონაწილე ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო დისტანციური სწავლება ფინანსურად უფრო ხელმისაწვდომი გახდა და ვისაც ჰქონდა ამის სურვილი, ძალიან კარგი ტრენინგების მოძებნა შეეძლო. თუმცა, ბევრი ადვოკატი არ აქტიურობდა და არც მონდომებული იყო თვითგანვითარების მხრივ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების ნაწილმა შეაქო მათი სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და განგრძობითი განათლების შესაძლებლობები. ეს ტრენინგები შერჩევითი იყო. ადვოკატს შეეძლო, დასწრებოდა იმ ტრენინგს, რომელიც მას აინტერესებდა. შესაბამისად, ტრენინგებზე აუდიტორია საკმაოდ მოტივირებული იყო.

განგრძობითი განათლებისა და ტრენინგების შესახებ საუბრისას მოსამართლეებმა ხაზი გაუსვეს მათ მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ კანონები მუდმივად იცვლებოდა და იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენელი ინფორმირებული უნდა ყოფილიყო. „მუდმივად

„ეხლა არ მახსენდება [ლექტორი]... რომელიც ვალს კი არ იხდიდა, უბრალოდ ყვებოდა იმისთვის, რომ უნდა გავგვეო ჩვენ. ისინიც ვალს იხდიან და ჩვენც იმიტომ, რომ კრედიტები დაგვიგროვდეს, მაგიტო ვუსმენ. იუთუბზე უფრო კარგად ვუსმენ სხვა ლექციებს, ვიდრე აქ ვინმეს მოყოლილ ლექციებს ადვოკატთა ასოციაციის.“

(კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

თუ არ იმუშავა მოსამართლემ საკუთარ თავზე და მუდმივად განვითარებაზე თუ არ იზრუნა, იმდენად ვითარდება კანონმდებლობა, იმდენად ვითარდება ეს ურთიერთობები და პრაქტიკაც, იგივე საზღვარგარეთის და ევროსასამართლოს პრაქტიკა და ა.შ. თუ ამას არ მიჰყვება ფეხდაფეხ მოსამართლე, გამორიცხულია, რომ ასეთი მოსამართლე იყოს პროფესიონალი“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი). მოსამართლეებმა კმაყოფილება გამოხატეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიმართ, რომელიც მოსამართლეებისთვისა და სასამართლოს მოხელეებისთვის ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებას აკეთებდა.

მათ მოსწონდათ მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც მოიცავდა გამოკითხვებს და სასამართლოებისგან აგროვებდა ინფორმაციას, თუ რა საკითხებზე სჭირდებოდათ მოსამართლეებს ტრენინგი, და მათ მოსაზრებებს ითვალისწინებდა. ერთ-ერთი მოსამართლის აღწერით, ისინი ირჩევდნენ თემას და წყვეტდნენ, დასწრებოდნენ ტრენინგს თუ არა. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი, რომელსაც იმ კონკრეტულ საკითხზე მეტი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა. გარდა ამისა, ეს ტრენინგები იყო სივრცე, სადაც მოსამართლეები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებს უზიარებდნენ მნიშვნელოვან საკითხებზე. მოსამართლეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მეტი დისკუსია და ტრენინგი ჰქონოდათ საგადასახადო სამართალსა და კიბერ დანაშაულებზე.

ინდიკატორი 3: შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, ფრჩხილებში მოცემულია პასუხების რაოდენობა)

კვლევის წინა ორი ტალღის შედეგების მსგავსად, ყველაზე ხშირად პროკურორები აფასებენ დადებითად თეორიული და პრაქტიკული იურიდიული განათლების ხარისხს. 2016 წელთან შედარებით, ახლა უფრო მეტი მოსამართლე აფასებს დადებითად იურიდიული განათლების ხარისხს, თუმცა დადებითობის პროცენტული მაჩვენებელი, 2019 წელთან შედარებით, ოდნავ შემცირდა. ადვოკატთა უმრავლესობა თეორიული და პრაქტიკული იურიდიული განათლების ხარისხს დადებითად არ აფასებს.

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
იურიდიული განათლების შეფასება - თეორიული ცოდნა	29% (31)	56% (45)	48% (30)	25% (76)	24% (48)	29% (55)	58% (56)	52% (62)	62% (51)
იურიდიული განათლების შეფასება - პრაქტიკული უნარები	38% (41)	65% (51)	55% (34)	29% (86)	33% (67)	23% (42)	51% (47)	50% (58)	61% (49)

* ინდიკატორის დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

*** ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

4. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობა მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობას იცნობს.
- რესპონდენტები ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობას გამჭვირვალედ მიიჩნევენ. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის, მოსამართლეები და პროკურორები უფრო ხშირად აფასებენ ინსტიტუტების საქმიანობას, როგორც გამჭვირვალეს.
- რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობა კარგად ორგანიზებულია. თუმცა, რესპონდენტთა უმრავლესობამ ვერ შეძლო, შეეფასებინა, რამდენად კარგადაა ორგანიზებული დამოუკიდებელი ინსპექტორის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობა.
- რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სასამართლოები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება და პროკურატურა. 2016 და 2019 წლების მსგავსად, მოსამართლეთა უმრავლესობა დადებითად აფასებს მართლმსაჯულების ინსტიტუტების ძირითად ნაწილს, ხოლო ადვოკატები - კრიტიკულად, გარდა იმ ინსტიტუტებისა, რომელიც მათთანაა დაკავშირებული.
- კვლევის წინა ტალღების მსგავსად, იურიდიული პროფესიის სამივე ტიპის წარმომადგენლებმა სასამართლოს წინაშე მდგომ ძირითად გამოწვევებად გაჭიანურებული პროცესები და ვადების დარღვევა დაასახელეს. გარდა ამისა, ზოგმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადატვირთულობა უარყოფით გავლენას ახდენდა მართლმსაჯულების ხარისხზე.
- ადვოკატთა მიერ დასახელებული სხვა გამოწვევებია: სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი, მოსამართლეთა კვალიფიკაცია, პროკურატურაზე დამოკიდებული გამოძიება, სასამართლო გადაწყვეტილებების განჭვრეტის შეუძლებლობა. ეს გამოწვევები ადვოკატებმა კვლევის წინა ტალღებშიც დაასახელეს. ზოგი ადვოკატის აზრით, ეს პრობლემები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შერჩევას, მოსამართლეთა დანიშვნას, სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნასა და სასამართლოში საქმეთა განაწილებას უკავშირდებოდა.
- გარდა ამისა, ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს კორუფციის რისკს საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში, რომელსაც მთლიანად პროკურატურა აკონტროლებდა და უმეტესად მდიდარი მხარის სურვილის შესაბამისად საქმის მოგვარების ბერკეტს წარმოადგენდა.

- მოსამართლეებმა სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევად დაასახელეს საზოგადოების დაბალი ნდობა. მათ ასევე ისაუბრეს მოსამართლეთათვის პენსიაზე გასვლის შემდეგ უკეთესი სოციალური გარანტიების საჭიროებაზე და იმაზე, რომ „პოლიტიკური კომპონენტის გამოსარიცხად“ მნიშვნელოვანი იყო, რომ მოსამართლეები მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაენიშნა.
- პროკურორებს ბევრი არ უსაუბრიათ სასამართლო სისტემის გამოწვევებზე. თუმცა, ზოგმა მათგანმა სირთულედ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ ჩვენებების შეცვლა დაასახელა, რაც ასეთი საქმეების გადაწყვეტას ართულებდა. მათი თქმით, კარგი იქნებოდა, მსხვერპლთა დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მომხდარიყო, რის შედეგადაც ჩვენებას საქმეში დასაშვებად ცნობდნენ.
- ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაზე კითხვებს მხოლოდ ადვოკატებმა უპასუხეს. ადვოკატების უმეტესობამ ეთიკის კომისია დადებითად შეაფასა და მათი გადაწყვეტილებები შეაქო, განსაკუთრებით კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. ეთიკის კომისიის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ადვოკატების შემოთავაზება იყო, რომ კომისიას გადაეხედა სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით საკუთარი მიდგომისთვის, რადგან ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატები „ფეისბუქზე“ საჯარო შეურაცხყოფის მიყენებას არ ერიდებოდნენ.


ინფორმირებულობა

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ, თუ რამდენად კარგად იცნობენ მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტიტუტის საქმიანობას. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა იცნობს შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: სასამართლოები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება და დამოუკიდებელი ინსპექტორი (იხ. გრაფიკი 10).

რესპონდენტთა უმრავლესობა მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგისა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის საქმიანობას არ იცნობს (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10

იცნობთ თუ არა ჩამოთვლილი ინსტიტუტების საქმიანობას? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „ძალიან კარგად ვიცი“ და „ძირითადად კარგად ვიცი“ დაჯგუფდა, როგორც „ვიცნობ“; „ძირითადად ცუდად ვიცი“ და „ძალიან ცუდად ვიცი“ დაჯგუფდა, როგორც „არ ვიცნობ“.


გამჭვირვალობა

კვლევის ფარგლებში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალობის შეფასებას სთხოვდნენ. 2016 და 2019 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მსგავსად, რესპონდენტები მართლმსაჯულების ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობას გამჭვირვალედ მიიჩნევენ. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობას სჯერა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, იუსტიციის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და პროკურატურის საქმიანობა გამჭვირვალეა (იხ. გრაფიკი 11).

რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლებს აქვს ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ (იხ. გრაფიკი 11).

გრაფიკი 11

გამჭვირვალეა თუ არა შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობა? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „სრულიად გამჭვირვალეა“ და „ძირითადად გამჭვირვალეა“ დაჯგუფდა, როგორც „გამჭვირვალეა“; „ძირითადად არ არის გამჭვირვალე“ და „საერთოდ არ არის გამჭვირვალე“ დაჯგუფდა, როგორც „არ არის გამჭვირვალე“.

საინტერესოა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა ინტიტუტების საქმიანობას გამჭვირვალედ აფასებს, გარდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისა (43%) და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების (47%) საქმიანობისა, რომელთა შეფასების დროსაც ყველაზე ხშირად „არ ვიცი“-ს ამბობენ. ადვოკატთა უმრავლესობამ ვერ შეაფასა მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის საქმიანობა. ასევე, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა არა უმრავლესობა, თავს იკავებს, შეაფასოს რამდენად გამჭვირვალეა იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობა. საინტერესოა, რომ ადვოკატთა ნახევარზე მეტი (52%) ფიქრობს, რომ პროკურატურის საქმიანობა არ არის გამჭვირვალე. რაც შეეხება პროკურორებს, ისინი ყველა ინტიტუტის საქმიანობას გამჭვირვალედ აფასებენ.


ორგანიზებულობა

კვლევაში მონაწილე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენად კარგადაა ორგანიზებული მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობა. რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობა კარგად ორგანიზებულია. თუმცა, რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები

მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობა კარგად ორგანიზებულია (იხ. გრაფიკი 12).

გრაფიკი 12

კარგად ორგანიზებულია თუ ცუდად შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობა? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები: „ძალიან კარგად“ და „ძირითადად კარგად“ დაჯგუფდა, როგორც „კარგად“; „ძირითადად ცუდად“ და „ძალიან ცუდად“ დაჯგუფდა, როგორც „ცუდად“.

მოსამართლეები ინსტიტუტების საქმიანობას კარგად ორგანიზებულად თვლიან. გარდა ამისა, ადვოკატთა უმრავლესობა ვერ აფასებს, თუ რამდენად კარგად ორგანიზებულია შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობა: პროკურატურა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, დამოუკიდებელი ინსპექტორი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია და მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. პროკურორთა ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია ან მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობა კარგად ორგანიზებულია, ისინი აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ნაკლებად ინფორმირებულნი არიან.

საქმიანობის შეფასება

გამოკითხული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობა შეაფასეს. რესპონდენტთა უმეტესობა დადებითად აფასებს შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო,

სასამართლოები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება და პროკურატურა (იხ. გრაფიკი 13).


საერთო ჯამში, 2016 და 2019 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მსგავსად, მოსამართლეები მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობას დადებითად აფასებენ, გარდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობისა (44%). მოსამართლეთა დაახლოებით მესამედი (37%) თავს იკავებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის შეფასებისგან.

2016 და 2019 წლების მსგავსად, ადვოკატები ინსტიტუტების ძირითად ნაწილს კრიტიკულად აფასებენ, გარდა იმ ინსტიტუტებისა, რომელიც მათთანაა დაკავშირებული. ადვოკატები საქართველოს ადვოკატების ასოციაციის (73%), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის (72%), სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის (60%) და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების (59%) ფარგლებში გაწეულ საქმიანობას დადებითად აფასებენ.

გამოკითხული პროკურორები ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობას დადებითად აფასებენ. თუმცა, პროკურორთა ნახევარზე ნაკლები აფასებს დადებითად შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას: საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია (49%), არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარება (44%), მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია (41%) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია (40%). პროკურორთა უმრავლესობა თავს იკავებს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის შეფასებისგან (52%).

გრაფიკი 13

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თითოეული სტრუქტურის საქმიანობას (%)



შენიშვნა: პასუხი ვარიანტები: „ძალიან კარგად“ და „კარგად“ დაჯგუფდა, როგორც „კარგად“; „ცუდად“ და „ძალიან ცუდად“ დაჯგუფდა, როგორც „ცუდად“.

სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ მართლმსაჯულების ინსტიტუტების წინაშე მდგომი ძირითადი გამოწვევები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვანი იყო უკეთესი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც ოთხივე ქალაქის წარმომადგენელმა ადვოკატებმა დაასახელეს, სასამართლოების მიერ ვადების დაუცველობა იყო. მოსამართლეები ძალიან დიდ დროს ანდომებდნენ სხდომების ჩანიშვნას, საქმეთა განხილვას და გადაწყვეტილებების გამოტანას. ამის მიზეზები იყო: სასამართლოების გადატვირთულობა, მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა, ინფრასტრუქტურული საკითხები, როგორცაა, მაგალითად, სხდომის დარბაზების ნაკლებობა. ბოლო პერიოდში კოვიდ-19-ის პანდემიამ სასამართლოში ეს მდგომარეობა დააზარალა და საქმეები კიდევ უფრო გაიწელა დროში, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში. „პირველ რიგში ეს არის ვადების საკითხი... სასამართლოს თვალსაზრისით, როგორც ჩემთვის ცნობილი იყო, ვთქვათ არ იყო იმდენად მოსამართლეების რაოდენობის პრობლემა, უფრო იყო ადგილის პრობლემა, სადაც უნდა გამართულიყო პროცესები და ახალი სასამართლოს შენობის აშენებასთან დაკავშირებით და მის ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით იყო პრობლემები. ასე, რომ ეს ორი პრობლემა იყო ხელის შემშლელი, რო ვადების საკითხი გადაწყვეტილიყო... ახლა პანდემიის საკითხი ჩაერთო. სამოქალაქო საქმეებზე რაღაც პერიოდი შეჩერებული იყო დაახლოებით სამი თვის განმავლობაში და, შესაბამისად, ვადებმა გადაიწია. ეს ყველაფერი უკვე მოქმედებს იმაზე, რომ ვადები მოძრავია და მთლად ვერ ჯდება კანონით დარეგულირებულ ნორმებში“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, თბილისი). არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა თბილისში ამავე თემაზე ისაუბრა: „სასამართლო სისტემა ფაქტია, რომ კანონით გათვალისწინებულ ვადებში თითქმის ვერცერთ საქმეს ვერ ასრულებს. რაც არის სერიოზული პრობლემა და ეს მხოლოდ დაგვიანებული მართლმსაჯულება არ არის. ხშირ შემთხვევაში იმდენად გვიანდება საქმეების განხილვა, რომ ფიზიკურად ინტერესი იკარგება დავის მიმართ და შეუძლებელი არის ხოლმე დარღვეული უფლების აღდგენა“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

„აი, ხუთი წელია პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილება არ მაქვს ერთ-ერთ საქმეზე... მოსამართლეებსაც აქვთ განცდა, რომ არავინ პასუხს არ მოსთხოვს დროული გადაწყვეტილების გაუცემლობაში. არიან მოსამართლეები, რომლებიც ძალიან ოპერატიულად გვაძლევენ გადაწყვეტილებას, მაგრამ არიან მოსამართლეები, რომლებსაც, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ სძინავთ.“

(კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 13-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)

ადვოკატებს თავისი კლიენტებისთვის/ბენეფიციარებისთვის უჭირდათ იმის ახსნა, რომ გაჭიანურებულ საქმეები და გადაწყვეტილებების ხანგრძლივი ლოდინი მათი ბრალი არ იყო. „ჩვენ ბენეფიციარებს ვერ ვარწმუნებთ, რომ ეს [თვეობით/წლობით გაჭიანურებული საქმეები] ჩვენი ბრალი არ არის... ერთმა მოსამართლემ რუსთავში გადაწყვეტილება ორი წლის შემდეგ ჩავგაბარა... ამ შემთხვევაში ადვოკატებსაც ეკარგებათ მოტივაცია თავისი

პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის, რომ ამით იცხოვრონ... მე, იცით, როგორი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სასამართლოს არ აინტერესებს მოქალაქე“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

კერძო ადვოკატმა რუსთავში აღწერა კომიკური სიტუაცია, რომელშიც იმყოფებოდა. იგი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას აპელაციაში მანამდე ასაჩივრებდა, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილებას ჩაიბარებდა იმის გამო, რომ გასაჩივრების ერთთვიანი ვადა არ დაერღვია. „მე, მაგალითად, მაქვს, როგორ განაჩენი გამოტანილია, გასაჩივრა პროკურატურამ და განაჩენი არ მაქვს მე, რომ საპასუხოდ მეც გავასაჩივრო. ეს უკავშირდება დატვირთვას მოსამართლის, რომ ბევრი საქმეები აქვთ და პრინციპში ბრმად ვასაჩივრებ მეც, რომ ვადა არ გავუშვა, დადგენილი ერთთვიანი ვადა“ (კერძო ადვოკატი, კაცი, საერთო სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

გაჭიანურებული საქმის კიდევ ერთი მაგალითი მოიყვანა არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმიდან, რომელიც ორწელიწადნახევარია, ელოდება ადვოკატის საპაექრო სიტყვის თქმის შესაძლებლობას.

სხვა ადვოკატები პასუხისმგებლობის პრობლემას ხედავდნენ იმ მოსამართლეებთან მიმართებით, ვინც თვეობით და წლებით ვერ ახერხებდა სხდომების დანიშვნასა და გადაწყვეტილების მხარეებისთვის ჩაბარებას. „აი, ხუთი წელია პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილება არ მაქვს ერთ-ერთ საქმეზე... მოსამართლეებსაც აქვთ განცდა, რომ არავინ პასუხს არ მოსთხოვს დროული გადაწყვეტილების გაუცემლობაში. არიან მოსამართლეები, ეხლა აღარ ჩამოვთვლი სახელებს და გვარებს, რომლებიც ძალიან ოპერატიულად გვამღებენ გადაწყვეტილებას, მაგრამ არიან მოსამართლეები რომელსაც, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ ჩემი აზრით, სძინავთ. მე ვფიქრობ, რომ გარდა იმისა, რომ კადრების პრობლემაა, ასევე უპასუხისმგებლობის პრობლემაა გვაქვს. ზოგიერთი მოსამართლე უპასუხისმგებლობით ეკიდება მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს“ (კერძო ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 13-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

კიდევ ერთი პრობლემა, რასაც ადვოკატებმა ხაზი გაუსვეს, სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხია. ადვოკატების თქმით, მოსამართლეები ხშირად შაბლონებს იყენებდნენ და გადაწყვეტილებები შესაბამის მსჯელობას არ შეიცავდა. ზოგჯერ მოსამართლეები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებას ცდილობდნენ თავის გადაწყვეტილებებში, თუმცა, ამას შესაბამისად ვერ იყენებდნენ. რუსთავში ადვოკატების თქმით, მოსამართლეები თავის გადაწყვეტილებებში არ აპელირებდნენ საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებზე, როგორებიცაა ბავშვთა უფლებების კოდექსი, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კოდექსი და ა.შ.

„პირველ ეტაპზე გამოვყოფდი სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის საკითხს. ჩვენ ხშირად ვაწყდებით პრაქტიკაში საკმაოდ მნიშვნელოვან, საინტერესო, რთულ საქმეებზე მოსამართლეთა მიერ მიღებულ ძალიან დაუსაბუთებულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც არ არის გააზრებული ყველა ის საკითხი, რაც მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილების მიღების დროს. ხშირ შემთხვევაში არის გადაწყვეტილებები ძალიან შაბლონური... ერთი პერიოდი მოსამართლეებმა გადაწყვიტეს კიდევ გამოეყენებინათ ევროპული გადაწყვეტილებები, პრაქტიკა ECHR-ის [ევროპის

ადამიანის უფლებათა სასამართლოს]... თუმცადა, ხშირ შემთხვევაში სრულიად გაუაზრებლად იყენებენ მოსამართლეები ამა თუ იმ ციტირებებს გადაწყვეტილებებიდან და შედეგთან კავშირში არ არის ისინი გამოყენებული“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი). კერძო ადვოკატმა რუსთავიდან დაამატა, რომ გადაწყვეტილებების ხარისხის პრობლემა იმდენად მოსამართლეთა განათლების სიმცირეს კი არ უკავშირდებოდა, არამედ მათი მონდომების ნაკლებობას, რომ „დეტალებში ჩასულიყვნენ“ და საქმე სიღრმისეულად შეესწავლათ.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი ბათუმში შეეხო გამოძიების პროკურატურაზე დამოკიდებულების პრობლემას, რაც საგამომიებო მოქმედებების ობიექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. „ასეა უკვე პრაქტიკაც და კანონითაც ასე ხდება, რომ ყველა ნაბიჯი, ყველა ქმედება, რაც იქნება გადადგმული გამომძიებლის მხრიდან, უნდა იყოს შეთანხმებული პროკურორთან, მის ზემდგომ პროკურორთან... რიგი მოქმედებები, რომლებსაც ჩათვლის აუცილებლად და საჭიროდ ბრალდების მხარე, გამოძიება ატარებს და რომელსაც თავის შეხედულებით, ასე ვთქვათ, არ ჩათვლის საჭიროდ, არ ჩაატარებს იმას და ტოვებს ისე... გამომძიებელი შებოჭილი არის პროკურორის მითითებით. პროკურორის გარეშე დამოუკიდებლად მან რომ მიიღოს გარკვეულ მოქმედებებთან გადაწყვეტილება და თვითონ თავისი ხედვა რომ წარმოაჩინოს, ამის უფლება არა აქვთ, საშუალებაც არა აქვთ“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 9-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებმა თბილისსა და ახალციხეში აღნიშნეს, რომ მართლმსაჯულების სისტემის წინაშე მოსამართლეთა კვალიფიკაციის პრობლემაც იდგა და მნიშვნელოვანი იყო უწყვეტი განათლების შემოღება. კერძო ადვოკატმა თბილისიდან დაამატა, რომ მოსამართლეები ზოგჯერ სასამართლო პროცესებზე (მათ შორის მთავარ სხდომაზე) საქმის გაცნობის გარეშე შედიოდნენ და ადგილზე ცდილობდნენ საქმეში გარკვევას მონაწილე მხარეების მეშვეობით. „ეს ძალიან მარტივი შესატყობია იმ ადვოკატების მიერ, ვინც მეორედ მაინც ესწრება პროცესს. იმიტომ, რომ ატყობ მოსამართლეს, გრძნობ, ის გარკვეულია თუ არა საქმეში... შეიძლება ძალიან კარგი მოსამართლეები არიან, კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ეს სერიოზული პროფესიონალიზმის ნაკლებობაა ან გულგრილობაა საქმის მიმართ“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

„ვიღაცა იქნება ფინანსურად ძლიერი და მსგავს შემთხვევაში შეიძლება იყოს პასუხისგებაში მიცემული სხვა პირი, მსგავსი კვალიფიკაციით, რომელსაც არ ჰქონდეს არაფრის შესაძლებლობა და შედეგად ის ვერ მიიღოს, რასაც, ვთქვათ, ღებულობს ფინანსურად ძლიერი პასუხისგებაში მიცემული ადამიანი. დაარქმევინ საპროცესო შეთანხმებას, გადაახდევინებენ გარკვეულ თანხას და სასურველი შედეგით აქვს შესაძლებლობა, რომ საქმე დაასრულოს. ალკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებითაც იყო შემთხვევა, როდესაც მიდის სასამართლოში და მოსამართლეს ეუბნება პირდაპირ, რომ 50 ათასი ლარი გირაო შემიძლია, გადავიხადო. იყო შემთხვევა, როდესაც 60-70 ათასი ლარი... ისე შეიფუთება ეს ყველაფერი და ისე დაიდება, რომ იქ შეიძლება დარღვევა ვერ აღმოაჩინო.“

(იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 9-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

ადვოკატებმა ბათუმში სასამართლოს განჭვრეტადობის პრობლემას გაუსვეს ხაზი. „შესაძლოა იყოს უმარტივესი საკითხი, მაგრამ იმის მოლოდინი გაქვს, რომ სხვადასხვა მოსამართლე სხვადასხვაგვარად განმარტავს“ (კერძო ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, ბათუმი). ახალციხეში ადვოკატთა ნაწილი დაეთანხმა ამ საკითხს და თქვა, რომ მართლმსაჯულება ინდივიდებზე იყო დამოკიდებული, რადგან „გვყავს მოსამართლეების კატეგორია, რომლებიც არ ცნობენ სამოქალაქო პროცესს და შეიძლება ისე გადაახტნენ მნიშვნელოვან საკითხებს და საპაექრო სიტყვა ისე ამოგლიჯონ პროცესიდან, რაც კანონის უგულვებელყოფაა... კვალიფიკაციის სერიოზული პრობლემა გვაქვს და მიკერძოება გამომდინარეობს აქედან. ხშირად იცით, როგორ არის ხოლმე, მივმხვდარვარ, მოსამართლე მიკერძოებული კი არ არის, უბრალოდ ვერ გაერკვა, აქ რა ხდება... და გამოიყენა ვიღაცა თანამშრომლის, სხვა მოსამართლის პრაქტიკა, რომელმაც ერთი ზედაპირულად გადახედა და თქვა, რომ ეს ესეა“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

სასამართლოებში არსებული გამოწვევების განხილვისას და მოსამართლეების შეფასებისას ადვოკატების ნაწილმა პროკურატურაზეც ისაუბრა, განსაკუთრებით კორუფციის რისკზე, რასაც საპროცესო გარიგების ნაწილში ხედავდნენ. ეს იყო გარიგება, რომლის მოლაპარაკებასაც პროკურატურა ახორციელებდა. „ვიღაცა იქნება ფინანსურად ძლიერი და მსგავს შემთხვევაში შეიძლება იყოს პასუხისგებაში მიცემული სხვა პირი, მსგავსი კვალიფიკაციით, რომელსაც არ ჰქონდეს არაფრის შესაძლებლობა და შედეგად ის ვერ მიიღოს, რასაც, ვთქვათ, ღებულობს ფინანსურად ძლიერი პასუხისგებაში მიცემული ადამიანი. დაარქმევენ საპროცესო შეთანხმებას, გადაახდებენ გარკვეულ თანხას და სასურველი შედეგით აქვს შესაძლებლობა, რომ საქმე დაასრულოს. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებითაც იყო შემთხვევა, როდესაც მიდის სასამართლოში და მოსამართლეს ეუბნება პირდაპირ, რომ ორმოცდაათი ათასი ლარი გირაო შემიძლია, გადავიხადო. იყო შემთხვევა, როდესაც 60-70 ათასი ლარი... ისე შეიფუთება ეს ყველაფერი და ისე დაიდება, რომ იქ შეიძლება დარღვევა ვერ აღმოაჩინო“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 9-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

კერძო ადვოკატმა ახალციხიდან აღწერა შემთხვევები, როცა მოწმეები სხდომას პოლიციის განყოფილებიდან უერთდებოდნენ და აშკარა ზეწოლის ქვეშ იყვნენ პოლიციელების მხრიდან. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო დისტანციური სხდომის დროს, როცა მონაწილეები სასამართლო პროცესში ონლაინ მონაწილეობდნენ. „პრაქტიკულად მქონდა ასეთი რამ, როდესაც პოლიციის განყოფილებაში ჰყავს მიყვანილი და იქიდან დისტანციურად იძლევა ჩვენებას და იქ კარნახობს ის პოლიციის მუშაკი, ამ შემთხვევაში, გამომძიებელი, რა უნდა თქვას იმან პროცესზე. თუკი რაღაცა გაუჭირდება, მომენტალურად გათიშავენ ამ იმას. მერე მოამზადებს ისევ ხელახლა, გავა, ისევ შემოუშვებს და უკვე განაგრძობს“ (კერძო ადვოკატი, კაცი, სისხლის სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების განხილვის შემდეგ ადვოკატებმა მდგომარეობის გაუმჯობესების გზებზეც ისაუბრეს. არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმში აღნიშნა, რომ ყველა დასახელებული პრობლემა სისტემური იყო და არ გამოსწორდებოდა მანამ, სანამ ფუნდამენტური წესები არ შეიცვლებოდა, მაგალითად „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის წესი, მოსამართლეთა დანიშვნის წესი,

სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნის წესი და სასამართლოებში საქმეთა განაწილების წესი“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

რაც შეეხება მოსამართლეთა მოსაზრებებს, სასამართლო სისტემის გამოწვევებზე საუბრისას, გამოკითხულ მოსამართლეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ სისტემაში რეფორმების რამდენიმე ტალღის შედეგად გაუმჯობესება შეინიშნებოდა. ზოგი მოსამართლე სასამართლო სისტემას გამართულად მიიჩნევდა. „მე თუ მკითხავთ, სასამართლო სისტემა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოზე უკეთესად მუშაობს საქართველოში“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 20-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). ზოგმა მოსამართლემ ადვოკატების მიერ ნახსენები პრობლემები დაასახელა, ზოგმაც - მათგან განსხვავებული. მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა მათთვის პრიორიტეტული საკითხი იყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. ამჟამად, რუსთავში სისხლის სამართლის მოსამართლის თქმით, თითოეულ მოსამართლეს იმდენი საქმე ჰქონდა დაწერილი, რომ შეუძლებელი იყო, ყველა მათგანზე თანაბრად კარგად ემუშავა და გადაეწყვიტა. „საქმეთა რაოდენობის გაზრდა ხარისხზე მოქმედებს. ზოგჯერ ხარისხი ზარალდება, ზოგჯერ ვადები და საქმეები დროულად ვერ სრულდება“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი). მოსამართლემ ბათუმიდან ხაზი გაუსვა, რომ მდგომარეობა, დედაქალაქთან შედარებით, გაცილებით რთული იყო რეგიონებში. მისი თქმით, სიტუაციის გამოსწორების სამი გზა არსებობდა: მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარება და მოსამართლეთათვის დავის სპეციფიური კატეგორიების ჩაბარება. „ჩვენი მუშაობის სპეციფიკა და სირთულე ის არის, რომ ყველა კატეგორიის დავებს ვიხილავთ. აი, საქალაქოში ხომ არის, მაგალითად, საბანკო დავები, ვალდებულებითი ცალკეა, სისხლში ... დავები ცალკეა, სხვადასხვა სისხლის საქმეები ცალ-ცალკეა და ანუ ამ სფეროებში უკეთესად ახდენ კონცენტრირებას, ჩამოყალიბებას, პრაქტიკას უკეთესად ეცნობი და უფრო ადვილიც არის გადაწყვეტილებების ესე მიღება, როცა რაღაც ესე ერთი და იგივე საკითხებზე ხარ ჩამოყალიბებული“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

მოსამართლეებმა თბილისსა და რუსთავში აღნიშნეს, რომ სასამართლო სისტემისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოების დაბალი ნდობა და ამის გამოსწორებაზე ნაწილობრივ მოსამართლეებმაც უნდა იზრუნონ. „ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა აისახება ნდობაზე. დაწყებული საქმის შემოსვლიდან, მოქალაქეებთან ურთიერთობით, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევით, შემდეგ გადაწყვეტილების დასაბუთებულობით და აი, ყველა ეტაპით, რომელსაც გადის საქმე, როდესაც სასამართლოში შეაქვს მოქალაქეს სარჩელი საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველა ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქე ხედავდეს, რამდენად გულმოდგინეა მოსამართლე მისი საქმის მიმართ და რამდენად ვითვალისწინებთ იმას, რომ დაცული იყოს თითოეული მოქალაქის უფლება“ (მოსამართლე, ქალი, ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი). რუსთავში სისხლის სამართლის მოსამართლის თქმით, საზოგადოების ნდობას აზარალებს მხარეების, ადვოკატების მიერ გაკეთებული წინასწარი განცხადებები და მედიის მიერ ამის გაშუქება. შესაბამისად, პასუხისმგებლობა გარკვეულწილად ამ აქტორებსაც ეკისრებოდათ.

მოსამართლეები განსხვავებულ საკითხებსაც ჩაულრმავდნენ, მაგალითად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულ შესრულებას მოსამართლეთა დანიშვნის წესთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა იმას, რომ ყველა მოსამართლე, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა დაენიშნა იმისთვის, რომ „მოსამართლეთა დანიშვნის პროცესიდან პოლიტიკური შემადგენელი სრულად გამოირიცხოს“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

კიდევ ერთი საკითხი, რაც მოსამართლეებმა ახსენეს, თავშესაფრის მაძიებელთა და ბინადრობის ნებართვის მთხოვნელთა საქმეებს შორის არსებული სხვაობა იყო. თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებს სააპელაციო სასამართლოს ერთი მოსამართლე განიხილავდა და მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში არ ხდებოდა. ბინადრობის ნებართვის მთხოვნელთა განაცხადი სააპელაციო სასამართლოს სამ მოსამართლეს უნდა განეხილა და მათი გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში საჩივრდებოდა. რესპონდენტი ასეთ საქმეზე სამი მოსამართლის მოცდენას რესურსების არაეფექტურად გამოყენებად აღიქვამდა მაშინ, როცა თავშესაფრის მაძიებელთა საქმეს მხოლოდ ერთი მოსამართლე განიხილავდა.

მოსამართლეთა ნაწილმა ისაუბრა არასაკმარის სოციალურ გარანტიებზე მოსამართლეებისთვის, განსაკუთრებით პენსიაზე გასვლის შემდეგ. მათ ხაზი გაუსვეს მიღწეულ პროგრესს უვადო დანიშვნასთან დაკავშირებით. თუმცა, 60 და 65 წლის შესრულებისა და პენსიის ასაკის მიღწევის შემდგომ ყოფილი მოსამართლეებისთვის სათანადო სოციალური გარანტიები არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ესეც ვენეციის კომისიის და სხვა შესაბამისი ავტორიტეტული ინსტიტუტების მიერ იყო აღიარებული, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის პირველი წინაპირობა მოსამართლის უვადოდ გამწესება იყო და მისი შრომის სათანადო ანაზღაურება და სათანადო სოციალური დაცვა მას შემდეგ, რაც მას სამოსამართლო უფლებამოსილება შეუწყდებოდა. „ზენორმატიული დატვირთვა აქვს მოსამართლეს საქართველოს სინამდვილეში, ბევრი საქმე აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით... როგორც კი 65 წლის ასაკს მიაღწევს მოსამართლე, ფაქტობრივად რჩება ქუჩაში“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

„ზენორმატიული სამუშაო დატვირთვა“ სხვა მოსამართლეებმაც განიხილეს, როგორც ტრენინგებზე დასწრებისა და თვით-განვითარების წინააღმდეგობა. „უმთავრესი პრობლემა პრინციპში მართლმსაჯულებისთვის ისევე არის გადატვირთულობა, საქმეთა მხრივ გადატვირთულობა. ზენორმატიული დატვირთვა. შეიძლება ძალიანაც დიდი სურვილი ჰქონდეს მოსამართლეს, რომ რომელიმე ტრენინგს დაესწროს და, აი, ელემენტარულად ან საქმის განხილვის ვადას დაარღვევს, ან გადაწყვეტილების მომზადების“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი). ამ საკითხის მოგვარება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით მიმდინარე პროცესს წარმოადგენდა და სწრაფი ვერ იქნებოდა, რადგანაც მოსამართლედ გახდომამდე პირებს რთული ეტაპის გავლა უწევდათ: მოსამართლის გამოცდის ჩაბარება, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაბარება და შემდეგ მისი წარმატებით დასრულება (თანაც, იუსტიციის უმაღლეს სკოლას ყოველწლიურად მხოლოდ გარკვეული რაოდენობის მსმენელების მიღება შეეძლო).

პროკურორები მართლმსაჯულების სისტემას უმეტესად დადებითად აფასებდნენ და არ მიიჩნევდნენ, რომ რაიმეს გამოსწორება იყო საჭირო. ამის მიუხედავად, ზოგმა მათგანმა გამოწვევად პროკურატურისა და სასამართლოს ტექნიკური და ორგანიზაციული გაუმჯობესების საჭიროება დაასახელა. პროკურორმა თბილისში აღნიშნა, რომ შემდგომი განვითარებისთვის მართლმსაჯულების ყველა ინსტიტუტს სჭირდებოდა განახლება და რეფორმები. პროკურორმა რუსთავეში დაამატა, რომ გამოძიებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სჭირდებოდა გაუმჯობესება. პროკურორმა ახალციხეში ხაზი გაუსვა იმას, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებში მნიშვნელოვანი იყო პროცესის გაუმჯობესება, რადგანაც მსხვერპლები თითქმის ყოველთვის ცვლიდნენ ჩვენებას. გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად, მოსამართლეების მსგავსად, მასაც ესახებოდა მსხვერპლთა დაკითხვა მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე. პროკურორმა ბათუმში თქვა, რომ მართლმსაჯულების სისტემის ყველაზე დიდი პრობლემა სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის ნაკლებობა იყო.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია

ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მუშაობა უმეტესად დადებითად შეაფასეს. თბილისში ადვოკატების ნაწილმა კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებით მათი გადაწყვეტილებები შეაქო. არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატმა ბათუმში დაამატა, რომ ზოგჯერ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები უფრო კარგად დასაბუთებული იყო, ვიდრე სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები იმავე საკითხზე.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ეთიკის კომისია ჩვეულებრივ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაზე რეაგირებდა, მაგრამ ნაკლებად იყო დაინტერესებული ადვოკატთა ქმედებებით პროცესში მონაწილე სხვა პირების მიმართ. ადვოკატებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეთიკის კომისიას ციფრული ქმედებების, მათ შორის საჯარო „ფეისბუქ“ ინტერაქციების მიმართ საკუთარი მიდგომისთვის უნდა გადაეხედა. „გვაქვს შემთხვევები, როდესაც ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ადვოკატები სიძულვილის ენას იყენებენ სოციალურ ქსელში... თუ, ვთქვათ, მეორე კოლეგა ადვოკატს აყენებს შეურაცხყოფას, ამასთან დაკავშირებით დგება ხოლმე [ეთიკის კომისიის] გადაწყვეტილებები... ადვოკატი, რომელიც არის ადვოკატთა კორპუსის სახე, მათ შორის სოციალურ ქსელში ძალიან ბევრ ადვოკატს მითითებაც კი აქვს საკუთარ პროფილის აღწერაში, რომ ის ადვოკატია და ხალხისთვის აღიქმება, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი... ეთიკის კომისია შემოიფარგლება უკვე დადგენილი ძველი პრაქტიკით, რომელიც არის უამრავი წლის წინ დადგენილი პრაქტიკა, ვთქვათ, იმ პერიოდში საერთოდ არ იყო აქტუალური სოციალური ქსელი... მგონია, რომ ეთიკის კომისიამ ცოტა სხვაგვარად უნდა შეხედოს არსებულ პრობლემებს და არსებულ გამოწვევებს, განსაკუთრებით სოციალურ ქსელთან და ადვოკატების სოციალურ ქსელში პოზიციონირებასთან დაკავშირებით“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 5-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

ეთიკის კომისიის შეფასებასთან ერთად ადვოკატებმა ადვოკატთა ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზეც ისაუბრეს. ადვოკატებმა თბილისსა და რუსთავეში აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ადვოკატთა მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევას

ხშირად არ აწყდებოდნენ. თუმცა, რამდენიმე ასეთი შემთხვევა გაიხსენეს. ადვოკატმა რუსთავიდან ისაუბრა საქმეზე, სადაც რამდენიმე დაცვის მხარე იყო და ადვოკატებს არჩეული ჰქონდათ სასამართლოს გადაწყვეტილების 9-თვიანი ვადის გაშვების სტრატეგია და სხდომებზე არ ცხადდებოდნენ ისევე, როგორც მათი დაცვის ქვეშ მყოფები. ამიტომაც მათ დაენიშნათ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები, რადგანაც სასჯელის ზომად უვადო პატიმრობა ემუქრებოდათ. ერთ-ერთი სხდომის შესვენებისას დაცვის მხარეს მყოფმა ერთ-ერთმა კერძო ადვოკატმა ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი გააკრიტიკა, რომ ის პროცესზე მოუმზადებელი მოსულიყო და საქმის მასალებს არ იცნობდა. „მესმის მაგათი სტრატეგიის კი ბატონო. მეც რო კერძოში ვიყო, შეიძლება, ესეთი გავაკეთო იმიტომ, რომ მე კოდექსში მიწერია, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთო იმიტომ, რომ დავიცვა ბრალდებულის ინტერესები, მაგრამ ეს არ უნდა გასცდეს ეთიკას“ (იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ქალი, სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

ინდიკატორი 4: მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, ფრჩხილებში მოცემულია პასუხების რაოდენობა)

გამოკითხული მოსამართლეები და პროკურორები უფრო ხშირად აფასებენ მართლმსაჯულების ინსტიტუტებს დადებითად, ვიდრე ადვოკატები. ადვოკატები ინსტიტუტებისადმი კრიტიკული შეფასებებით გამოირჩევიან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინსტიტუტი მათთან კავშირშია. ისინი მაღალი ქულებით აფასებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის და არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების სამსახურების საქმიანობას.

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
იუსტიციის სამინისტრო	78% (104)	94% (67)	90% (55)	47% (300)	43% (88)	42% (81)	99% (96)	81% (94)	94% (79)
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	88% (108)	100% (80)	96% (65)	22% (275)	25% (48)	26%* (40)	67% (81)	59%* (56)	83% (64)
იუსტიციის უმაღლესი სკოლა	88% (106)	99% (78)	99% (67)	37%* (232)	35%* (58)	37%* (44)	70%* (76)	65%* (58)	86% (61)
იურიდიული დახმარების სამსახური	74% (96)	91% (70)	95% (55)	64% (270)	66% (130)	75%* (120)	85% (97)	76% (82)	89% (70)
არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების სამსახურები	73%* (85)	90%* (47)	95%* (41)	66% (278)	72% (136)	75%* (118)	65%* (66)	60%* (46)	70%* (38)
საქართველოს სასამართლოები	94% (105)	100% (81)	99% (67)	40% (303)	38% (78)	37% (73)	79% (100)	77% (92)	82% (69)
პროკურატურა	61% (92)	94% (68)	88% (50)	23% (275)	33% (61)	29% (49)	100% (99)	93% (113)	99% (86)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	47% (99)	80% (56)	87% (53)	73% (304)	70% (145)	74% (146)	62% (92)	63% (65)	76% (57)
საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია	83% (104)	99% (80)	97% (65)	39%* (179)	38%* (53)	38%* (21)	69%* (54)	68%* (41)	84%* (43)
მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“	62%* (78)	68%* (15)		36%* (110)	30%* (20)		62%* (39)	64%* (23)	
**** დამოუკიდებელი ინსპექტორი		100% (78)	100% (61)		39%* (41)	49%* (43)		74%* (45)	95%* (52)
**** მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია		99% (78)	100% (62)		26%* (35)	18%* (14)		59%* (29)	86%* (36)
**** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია		70%* (30)	70%* (30)		72% (138)	76% (143)		48%* (30)	71%* (35)

* რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება.

** ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ დანართში 2.

*** ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

**** ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

***** კითხვები არ დასმულა აღნიშნულ წელს.

5. სასამართლო მედიაცია

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული პროფესიის გამოკითხული წარმომადგენლებიდან არცერთს ჰქონდა სასამართლო მედიაციაში მონაწილეობის გამოცდილება.¹⁰ თუმცა, ადვოკატებისა და მოსამართლეების ნაწილს გავლილი ჰქონდა ტრენინგები ამ თემაზე. მოსამართლეებმა ასევე ისაუბრეს მედიაციის პროცესებისთვის სასამართლოში მიმდინარე გარკვეულ ინფრასტრუქტურულ სამზადისზე.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს უმეტესად დადებითი შეხედულებები ჰქონდათ სასამართლო მედიაციის მიმართ. მათი აზრით, ეს იყო დავების ალტერნატიული გადაწყვეტის პერსპექტიული მექანიზმი, რომელსაც შეეძლო სასამართლოების განტვირთვა და პოტენციურად ისეთი გადაწყვეტილებების მიღწევა, სადაც ორივე მხარის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული.
- ადვოკატებმა დავის შემდეგი ტიპები დაასახელეს, რაც, მათი აზრით, შეიძლება, ეფექტურად გადაწყვეტილიყო სასამართლო მედიაციის გზით: შრომითი დავები, სამეზობლო დავები, საოჯახო დავები, განქორწინება და ალიმენტი, სამემკვიდრეო და ქონებრივი დავები, დავები ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს შორის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე და ბანკებსა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების სესხებთან დაკავშირებული დავები.¹¹
- დავების კატეგორიის ნაწილი, რაც, მოსამართლეების თქმით, შეიძლება, სასამართლო მედიაციას გადასცემოდა, დაემთხვა ადვოკატების მიერ ჩამოთვლილ კატეგორიებს (საოჯახო, სამეზობლო დავები, სამემკვიდრეო და ქონებრივი დავები). ზოგმა მოსამართლემ ისიც აღნიშნა, რომ მხარეების შეთანხმების შემთხვევაში ნებისმიერი საქმე შეიძლება, წასულიყო სასამართლო მედიაციაში. მოსამართლეთა მიერ დასახელებული დავების სხვა კატეგორიები მოიცავდა: ფინანსურ დავებს და სახელშეკრულებო დავებს. ადმინისტრაციული მიმართულების მოსამართლეებმა გამოთქვეს იმედი, რომ სამოქალაქო სამართალში მედიაციის განვითარების შემდეგ, მას ადმინისტრაციულ სამართალშიც დანერგავდნენ.
- პროკურორები ამ ინსტიტუტის შესახებ ნაკლებად ინფორმირებულნი იყვნენ, ამიტომაც ამ თემაზე ბევრი არ უსაუბრიათ. ზოგმა მათგანმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატა ამ მექანიზმის მიმართ, რადგან ის გარკვეულ საკითხებზე მხარეთა შეთანხმებას უზრუნველყოფდა. პროკურორმა ახალქალაქიდან განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო მცირე დანაშაულების სასამართლო მედიაციისთვის გადაცემა სავალდებულო წესით.

¹⁰ სასამართლო მედიაციაზე კითხვები მხოლოდ კვლევის თვისებრივ ნაწილში დაისვა. შესაბამისად, იურიდიული პროფესიის გამოკითხულ წარმომადგენლებზე საუბრისას აქ საუბარია ოთხი ფოკუს ჯგუფისა და 16 ინტერვიუს რესპონდენტებზე.

¹¹ ეს შემთხვევები უკვე მიეკუთვნება დავების ისეთ კატეგორიას, რომელიც სასამართლო მედიაციის სავალდებულო წესით ექვემდებარება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1873).

ადვოკატებს ზოგადად სმენოდათ სასამართლო მედიაციის შესახებ და ზოგ მათგანს ტრენინგის ჰქონდა გავლილი ამ საკითხზე. თუმცა, უშუალოდ პროცესში მონაწილეობის გამოცდილება ფოკუს ჯგუფების მონაწილე არცერთ ადვოკატს არ ჰქონდა. თბილისში ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ სასამართლო მედიაცია საზოგადოებაში ნდობით არ სარგებლობდა და, მათი გამოცდილებით, ხალხი ნაკლებად იყო დაინტერესებული ამ მექანიზმის გამოყენებით. „ყველა ვაცნობთ, რომ არსებობს ესეთი შესაძლებლობა, ჩვენს კლიენტებს, მაგრამ ძალიან დაბალია ნდობა. თუ მედიაციის საშუალება არსებობს, ჩვენ თვითონ ვცდილობთ, რომ გამოვწახოთ ჩვენს მოდავე მხარესთან ალტერნატიული გზა დავის მოგვარების და სასამართლო არ გავხადოთ ერთადერთი დავის საშუალებად... მაგრამ სასამართლო მედიაციისადმი ნდობა დღეს საქართველოში ძალიან დაბალია“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი). მიუხედავად ამისა, ადვოკატების ზოგადი დამოკიდებულება სასამართლო მედიაციის მიმართ საკმაოდ დადებითი იყო და მას გადატვირთული სასამართლოების განტვირთვის გზად ხედავდნენ.

ადვოკატებმა ოთხივე ქალაქში განსხვავებული დავის კატეგორიები დაასახელეს, რაც შეიძლება, ეფექტურად გადაწყვეტილიყო სასამართლო მედიაციის გზით. მათ მიერ ჩამოთვლილი დავის კატეგორიებია: შრომითი დავები, სამეზობლო დავები, ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებული დავები, განქორწინებისა და ალიმენტის დავები, სამემკვიდრეო და ქონებრივი დავები, ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს შორის დავები ხელფასის ანაზღაურებაზე და ბანკებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების სესხებთან დაკავშირებული დავები. „შესაძლოა, შრომის დავებს მოუხდეს ძალიან. იმიტომ, რომ აქ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ დროულად მოხდება განხილვა და ორივე მხარის ინტერესების შეჯერება, შეიძლება, ძალიან კარგი საშუალებაც იყოს ორივე მხარისთვის“ (კერძო ადვოკატი, ქალი, საერთო სამართალი, 16-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

გამოკითხული მოსამართლეების უმეტესობას არ ჰქონდა ისეთ საქმეებზე მუშაობის გამოცდილება, რომელიც სასამართლო მედიაციას გადაეცა. თუმცა, ყველა მათგანმა ახსენა ტრენინგები ამ თემაზე და გარკვეული სამზადისი მათ სასამართლოებში მედიაციის სხდომების ოთახების მოსაწყობად.

რაც შეეხება თავად ინსტიტუციას, მოსამართლეებს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ მედიაციის მიმართ. მათი მოლოდინით, სასამართლო მედიაციას ეფექტურად შეეძლო სასამართლოთა გადატვირთულობის განტვირთვა და ასევე მიიჩნევდნენ, რომ მედიაციის გზით შესაძლებელი იყო დავების სწრაფად გადაწყვეტა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. „ესეც მართლმსაჯულების ერთ-ერთი სიკეთეა, ასე ვთქვათ, და მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს“ (მოსამართლე, ქალი, სისხლის სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ახალციხე). მოსამართლეთა თქმით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა სასამართლო მედიაციის პოპულარიზაციის კუთხით და იღებდა კიდევ ზომებს ამასთან დაკავშირებით. „[იუსტიციის უმაღლესი] საბჭო არის პირდაპირ ჩართული ამ პროცესში, როგორც ადვოკატების, ასევე უშუალოდ ფუნქციონირების, ასე ვთქვათ, სამართლებრივი და ორგანიზაციული... თბილისის საქალაქო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში შესაბამისი სივრცე შენობებში მედიაციისთვის და მედიატორთა ასოციაციისთვისაც გამოყოფილია“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული

სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი). მიუხედავად ამისა, მექანიზმი ამ ეტაპზე ეფექტურად არ მუშაობდა.

რაც შეეხება დავის კატეგორიებს, რაც სასამართლო მედიაციას უნდა გადასცემოდა განსახილველად, მოსამართლეთა ნაწილის თქმით, ნებისმიერი დავა შეიძლებოდა, წასულიყო მედიაციაში, თუკი მხარეები ამაზე შეთანხმდებოდნენ. უფრო კონკრეტულად კი კარგი იქნებოდა მედიაციაში შემდეგი დავების განხილვა: ქონებრივი, საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო დავები და ფინანსური დავები. „სანამ შემოვა, ფილტრი, ასე ვთქვათ, სანამ სასამართლომდე მოვა, გაიაროს მედიაციის ფილტრი, სავალდებულო მედიაციის. ქონებრივ დავებზეა საუბარი, თორემ როცა ბავშვთან ურთიერთობის საკითხია და ა.შ., ასეთ დავებს არ ვგულისხმობ. სამოქალაქო დავები, თუ ქონებრივია“ (მოსამართლე, კაცი, ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი). სხვა მოსამართლეებმა დაასახელეს სახელშეკრულებო დავები და აღნიშნეს, რომ სამოქალაქო სამართალში განვითარების შემდეგ კარგი იქნებოდა, სასამართლო მედიაციის ადმინისტრაციულ სამართალში დანერგვა.

პროკურორებს სასამართლო მედიაციის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდათ და ძირითადად ამ საკითხზე საუბრისგან თავს იკავებდნენ. ზოგ მათგანს სმენოდა, რომ სასამართლოებში მედიაციის სხდომის ოთახებს აწყობდნენ და დაგეგმილი იყო დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ამ მექანიზმის გაფართოება. სხვებმა აღნიშნეს, რომ მედიაცია საკმაოდ ეფექტური უნდა ყოფილიყო, რადგან მედიაციის გზით „ორივე მხარე თანხმდებოდა გარკვეულ საკითხზე და კონფლიქტისა და დავის გაგრძელების ნაკლები რისკი არსებობდა“ (პროკურორი, კაცი, 12-წლიანი გამოცდილება, ახალციხე). პროკურორმა ახალქალაქიდან განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო მცირე დანაშაულების სასამართლო მედიაციისთვის გადაცემა სავალდებულო წესით..

დასკვნა

პროექტის ფარგლებში ჩატარებული მესამე და საბოლოო კვლევა მართლმსაჯულების სისტემის ძირითად ასპექტებზე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეხედულებებსა და შეფასებებს წარმოაჩენს.

საერთო ჯამში, მოსამართლეები და პროკურორები, ადვოკატებთან შედარებით, დადებითი შეფასებებით გამოირჩევიან. ადვოკატებს შორის კი ყველაზე კრიტიკულ შეფასებებს არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატები აკეთებენ.

რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, კვლევის წინა ორი ტალღის შედეგების მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ მხარეთა შორის ბალანსი ორივე შემთხვევაში დაცულია, როგორც კანონმდებლობაში, ისე - პრაქტიკაში. რესპონდენტების შეფასებით კი მხარეთა შორის თანასწორობა ყველაზე კარგად დაცული სამოქალაქო სამართალშია. თუმცა, როცა საქმე სისხლის სამართალს ეხება, რესპონდენტთა შეხედულებები განსხვავდება ერთმანეთისგან. მხოლოდ მოსამართლეების, პროკურორებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების უმრავლესობა ამბობს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს პრაქტიკაში. ადვოკატები მხარეთა თანასწორობის პრობლემურობას ხაზს უსვამენ მაშინ, როცა საქმე მაღალ სახელმწიფოებრივ ინტერესს, ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ საქმეებს ეხება.

რაოდენობრივი კვლევა აჩვენებს ტენდენციებს მოქალაქეთა შესაძლებლობის შესახებ, ისარგებლონ მართლმსაჯულების სიტემით, ასევე, მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების მიერ (სასამართლოები, პროკურატურა, იურიდიული დახმარების სამსახური და პოლიცია) მოქალაქეთა მიმართ მოპყრობის შესახებ, ინსტიტუტების ეფექტურობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ. კვლევა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად განსახვავდება ეს შედეგები იმის მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მოქალაქე, უმცირესობისა თუ უმრავლესობის ჯგუფს.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობა უმცირესობისა და მოწყვლადი ჯგუფებისადმი მოპყრობას პრობლემურად არ მიიჩნევს, მცირე გამოწვევის გარდა: არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები მოსამართლეებს აკრიტიკებენ ლგბტ თემისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალების მიმართ ნაკლები მგრძობელობის გამო. ამავდროულად, იურიდიული პროფესიის ბევრი წარმომადგენელი სასამართლოების ფინანსურ ხელმისაწვდომობას მოქალაქეებისთვის პრობლემურ საკითხად მიიჩნევს. ადვოკატებთან შედარებით, მოსამართლეები და პროკურორები უფრო ხშირად ამბობენ, რომ მართლმსაჯულების სისტემა მოქალაქეებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია.

ზოგიერთ საკითხზე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის კონსენსუსია. თითქმის ყველა მათგანი თანხმდება, რომ პრობლემური საკითხია სასამართლოების მიერ საპროცესო ვადების ვერ დაკმაყოფილება, რაც მეტწილად სასამართლოთა გადატვირთულობის გამო ხდება. კიდევ ერთი საკითხი, რასაც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა წარმომადგენლის: მოსამართლეების, ადვოკატებისა და პოლიციელების კვალიფიკაციას

ეხება. გარდა ამისა, მოსამართლეებმა პრობლემურად საზოგადოების დაბალი ნდობა და არასაკმარისი სოციალური გარანტიები დაასახელეს.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ იურიდიული განათლების ხარისხი. 2019 წლის მსგავსად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ სქართველოს უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები კურსდამთავრებულებს საკმარის თეორიულ ცოდნას აძლევს. თუმცა, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ უნივერსიტეტები კურსდამთავრებულებს საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, მათ მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტები მეტ პრაქტიკოს ლექტორს უნდა იწვევდეს, მეტი პრაქტიკული კომპონენტი უნდა ჰქონდეს შეტანილი სწავლებაში და უნდა ცდილობდეს სახელმწიფო ინტიტუტებთან თანამშრომლობას იმისთვის, რომ სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობა შექმნას.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები მართლმსაჯულების ინტიტუტების ძირითადი ნაწილის საქმიანობას იცნობენ, მათი საქმიანობის გამჭვირვალებასა და ორგანიზებულობას კი დადებითად აფასებენ.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს მედიაციასთან დაკავშირებული მცირე გამოცდილება აქვთ, ისინი მექანიზმის შესახებ ტრენინგების საშუალებით არიან ინფორმირებულნი. მოსამართლეები ასევე საუბრობენ სასამართლოებში მედიაციისთვის საჭირო სივრცის ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ძირითადად დადებით დამოკიდებულებებს გამოხატავენ მედიაციის ინსტიტუტის მიმართ და მოლოდინი აქვთ, რომ მედიაცია ეფექტური იქნება სასამართლოს გადატვირთულობის შესამსუბუქებლად და ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღწევად.

დანართები

დანართი 1 – კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის“ (PROLoG) ფარგლებში, 2021 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში CRRC-საქართველომ ჩატარა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევა. ეს იყო 2016 და 2019 წლებში ჩატარებული კვლევის განმეორება და მიზნად ისახავდა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებში მომხდარი ცვლილებების დადგენას. 2021 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კვლევა შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვა (Zoom პლატფორმით ან ტელეფონით ჩატარებული გამოკითხვა ადვოკატებთან და მოსამართლეებთან კომპიუტერით პერსონალური ინტერვიუების მეთოდით (CAPI) და პროკურორების ონლაინ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა), ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან და სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან. PROLoG-ის პროექტის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ქალებისა და ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს, კვლევა ფოკუსირებული იყო თბილისზე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონზე: აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. კვლევა ეხებოდა ხუთ თემას:

- სასამართლოში მხარეთა შორის ეფექტური ბალანსი სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში (მათ შორის ისეთ საქმეებში, სადაც მხარე ადვოკატით წარმოდგენილი არ არის და სადაც ფინანსურად ძლიერი მხარე მონაწილეობს);
- მოქალაქეებისთვის (მათ შორის უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის) მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა;
- სამართლებრივი განათლების ხარისხი (მათ შორის საუნივერსიტეტო განათლება, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების საერთო განათლებისა და კომპეტენციის დონე და განგრძობითი იურიდიული განათლება);
- მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება და
- სასამართლო მედიაცია.

რაოდენობრივი კომპონენტი: იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვა

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვა მოიცავდა სასამართლო პროცესის მონაწილე სამივე მხარეს: ადვოკატებს (კერძო ადვოკატებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს), საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს¹² და მოქმედ პროკურორებს. კოვიდ-19 პანდემიის გამო არსებული შეზღუდვებისა და უსაფრთხოების პროტოკოლის შესაბამისად, ადვოკატებთან და

¹² გამოკითხვაში უზენაესი სასამართლოს ერთი მოსამართლეც მონაწილეობდა.

მოსამართლეებთან ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ, Zoom პლატფორმის გამოყენებით ან, იშვიათ შემთხვევაში, ტელეფონით, CAPI/CATI მეთოდის გამოყენებით (კომპიუტერით პერსონალური/სატელეფონო ინტერვიუების მეთოდი), პროკურორებთან - ონლაინ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა. სამივე შემთხვევაში გამოკითხვა ერთი და იგივე ინსტრუმენტით ჩატარდა.

ადვოკატების გამოკითხვა

ადვოკატების გამოკითხვა 2021 წლის მარტიდან მისამდე პერიოდში ჩატარდა. საერთო ჯამში გამოიკითხა **199 ადვოკატი** (118 კერძო ადვოკატი, 30 არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი და 51 სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი).

კერძო ადვოკატების შემთხვევაში CRRC-საქართველომ შერჩევის რამდენიმე მიდგომა გამოიყენა. პირველ რიგში, ვცადეთ იმავე რესპონდენტების გამოკითხვა, ვინც 2016 და 2019 წლებში ამავე გამოკითხვებში მონაწილეობდნენ და პანელის შედგენა. 2016 წელს კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შევარჩიეთ. გარდა ამისა, CRRC-საქართველომ გამოიყენა ადვოკატთა ასოციაციასთან არსებული ელ. ფოსტის დაგზავნის სერვისი და ადვოკატთა ასოციაციის ყველა ადვოკატს გაუგზავნა ინფორმაცია კვლევის შესახებ, ასევე მისცა შესაძლებლობა, კვლევაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, საკუთარი ინფორმაცია გაეზიარებინათ. ამ გზით მხოლოდ ოთხი რესპონდენტი გამოვიკითხეთ.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების შემთხვევაში, შერჩევის ჩარჩო სამსახურის ყველა ადვოკატი იყო, ვინც იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში მუშაობს. CRRC-საქართველომ დეტალური ინსტრუქცია მიაწოდა იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს და მათ მარტივი შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით საერთო სიიდან ადვოკატთა გარკვეული რაოდენობა შეარჩიეს.

მოსამართლეების გამოკითხვა

მოსამართლეების გამოკითხვა 2021 წლის აპრილიდან ივნისამდე პერიოდში ჩატარდა. საერთო ჯამში, **68 მოსამართლე** გამოიკითხა.

CRRC-საქართველომ თხოვნით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ მოსამართლეთა შერჩევასა და მათთან დაკავშირებაში დახმარებოდა. თავდაპირველად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეტყობინება გაუგზავნა სასამართლოებს, მიაწოდა ინფორმაცია კვლევის შესახებ და ამის შედეგად რამდენიმე მოსამართლე გამოიკითხა. შემდეგომ ეტაპზე PROLoG-ის პროექტმა CRRC-საქართველოს მათი ტრენინგების მონაწილე მოსამართლეთა სია მიაწოდა. ამ ორი მცდელობის შედეგადაც კი ვერ შეგროვდა გამოკითხულ მოსამართლეთა სასურველი რაოდენობა. ამიტომაც, ისევ PROLoG-ის დახმარებით, CRRC-საქართველო კვლავ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაუკავშირდა და საბოლოოდ მათ 54 მოსამართლესთან (ონლაინ) შეხვედრის ორგანიზება გააკეთეს.

პროკურორების ონლაინ გამოკითხვა

პროკურორებთან ონლაინ გამოკითხვა 2021 წლის ივნისში ჩატარდა. საერთო ჯამში, კვლევის ონლაინ კითხვა **87 პროკურორმა** შეავსო.

პროკურატურამ ითანამშრომლა CRRC-საქართველოსთან და, შერჩევის ინსტრუქციის მიხედვით, ალბათური წესით გამოკითხვისთვის შეარჩია პროკურორები საქართველოს ყველა რეგიონიდან. პროკურატურამ შერჩეულ პროკურორებს გაუგზავნა ელექტრონული წერილები, სადაც მოცემული იყო გამოკითხვის შესახებ მოკლე ინფორმაცია და კითხვარის ბმული, ასევე, CRRC-საქართველოში საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია, ვისთვისაც კითხვების შემთხვევაში შეეძლოთ, მიემართათ. თვითადმინისტრირებადი ონლაინ გამოკითხვისთვის CRRC-საქართველომ გამოიყენა CRRC-ის კვლევების დირექტორის მიერ შექმნილი ვებგვერდი esurvey.ge, რომელზეც ონლაინ კითხვარის ფორმა აიტვირთა ODK-ს (ღია მონაცემების ინსტრუმენტი) და Enketo-ს (მომსახურების განაწილების ონლაინ ფორმა) გამოყენებით.

თვისებრივი კომპონენტი: ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან, სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან

კვლევის თვისებრივი კომპონენტი შედგებოდა ფოკუს ჯგუფებისგან ადვოკატებთან (კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები) და სიღრმისეული ინტერვიუებისგან მოსამართლეებთან და პროკურორებთან. თვისებრივი კომპონენტის საველე სამუშაოები 2021 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში განხორციელდა. რესპონდენტების სამივე ჯგუფი ერთსა და იმავე კვლევითი ინსტრუმენტით გამოიკითხა. ისევე, როგორც 2019 წელს, კვლევას თვისებრივ ნაწილში ერთი ახალი თემა დაემატა - სასამართლო მედიაცია. ასევე, ადვოკატებს დამატებით რამდენიმე კითხვა დაუსვეს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის შესახებ.

ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან

თბილისის, რუსთავის, ახალციხისა და ბათუმის ადვოკატებთან ოთხი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა (თითო ჯგუფი თითო ქალაქში). ჯგუფები შედგებოდა კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისგან (საშუალოდ, 6 მონაწილე თითო ჯგუფში). მონაწილეები CRRC-საქართველოს ზედამხედველებმა და რეკრუტერებმა შეაგროვეს შესაბამის რეგიონებში. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დისკუსიაში მონაწილეობისთვის მიიღეს მცირე წამახალისებელი საჩუქარი (შოკოლადის ნაკრები). ფოკუს ჯგუფების ვიდეო და აუდიო ჩანაწერები გაკეთდა და მათ საფუძველზე მომზადდა წერილობითი ტრანსკრიპტები.

სიღრმისეული ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან

კვლევის თვისებრივი კომპონენტი ითვალისწინებდა ორ სიღრმისეულ ინტერვიუს მოსამართლეებთან და პროკურორებთან თბილისში და კვლევისთვის საინტერესო სამ რეგიონში (აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი). რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმი იყო იმ რეგიონში მუშობის გამოცდილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო და პროკურატურა დაეხმარა CRRC-საქართველოს რესპონდენტების შერჩევასა და ინტერვიუების შეთანხმებაში. საერთო ჯამში, რვა სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა მოსამართლეებთან და რვა - პროკურორებთან. ინტერვიუების აუდიო ჩანაწერი გაკეთდა და შემდგომში ამის საფუძველზე წერილობითი ტრანსკრიპტები მომზადდა.

დანართი 2 – იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის საფუძველზე შედგენილი ინდიკატორები

2016, 2019 და 2021 წლებში ჩატარებული კვლევის მონაცემების შესადარებლად, ყველა ინდიკატორისთვის ერთი და იგივე ცვლადები იქნა გამოყენებული.

(1) პროცენტული მაჩვენებელი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც თვლიან, რომ სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსია ამ ინდიკატორისთვის სასამართლოში მხარეთა ეფექტური ბალანსის შეფასებას ცალ-ცალკე ვითვლით სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებისთვის.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეფასებების მაჩვენებლის გამოთვლისას იმკანონების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პრაქტიკაზე, გავაერთიანეთ დადებითი შეფასებები 1-ელ კითხვაზე, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას და მე-3 და მე-4 კითხვებში თანხმობა იმაზე, რომ დაცვის და ბრალდების მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, მოიპოვონ მტკიცებულებები და ასევე თანაბრად მიუწვდებათ ხელი ერთმანეთის მტკიცებულებებზე. ამ სამ კითხვაზე მიღებული დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებლები გასაშუალოებულია.¹³ მაგალითად, მოსამართლეების შემთხვევაში იმ კანონების შეფასების მაჩვენებლის გამოთვლისას, რომლებიც გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პრაქტიკაზე, 91%-მა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა „სრულად“ ან „ძირითადად“ უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას (კ1). მტკიცებულებებთან დაკავშირებით 23%-მა უპასუხა, რომ სისხლის სამართლის საქმეებში ორივე მხარეს მტკიცებულებების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა (კ3), ხოლო 93%-მა უპასუხა, რომ ორივე მხარეს ერთნაირად მიუწვდებოდა ხელი მეორე მხარის მტკიცებულებებზე (კ4), საშუალო დადებითი 58%-იანი მაჩვენებლით. კანონების 91%-იანი და მტკიცებულების მოპოვების უნარის 58%-იანი შეფასების საფუძველზე გამოვიყვანეთ საშუალო შეფასება 75%.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენადაა დაცული მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის პრაქტიკაში, გამოვიყენეთ ზემოთ აღწერილი მიდგომა მე-2 კითხვაზე გაცემული დადებითი პასუხებისა და მე-3 და მე-4 კითხვების განცხადებებზე (რომ მხარეებს მტკიცებულებების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა და თანაბარი წვდომა აქვთ ერთმანეთის მტკიცებულებებზე) თანხმობის საშუალო მაჩვენებლის გამოყვანით.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების წილი, ვინც სისხლის სამართლის სფეროში (კანონმდებლობასა და პრაქტიკაში) მხარეთა თანასწორობის შესახებ დადებით შეფასებებს აკეთებს მოცემულია ქვევით, 1-ელ ცხრილში:

¹³ ამ და ყველა სხვა ინდიკატორის გამოთვლაში ის რესპონდენტები, ვინც კითხვებს უპასუხა „არ ვიცი“ ან უპასუხოდ დატოვა კითხვები, გამოთვლიდან გამოტოვებულია. სპეციალური შენიშვნაა გაკეთებული იმ შემთხვევაში, როცა პასუხის გაუცემლობის მაჩვენებელი 20%-ს აჭარბებს.

ცხრილი 1. მხარეთა თანასწორობის შეფასება სისხლის სამართლის სფეროში (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (65)	89% (60)	80% (50)	46% (126)	47% (91)	51% (80)	86% (87)	84% (103)	91% (79)
მხარეთა თანასწორობა დაცულია პრაქტიკაში + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (64)	89% (62)	80% (48)	46% (123)	49% (90)	47% (73)	85% (86)	83% (102)	90% (78)

ჩვენ ასევე ვითვლით იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეფასებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში მხარეთა თანასწორობის შესახებ როგორც კანონმდებლობის დონეზე, ასევე პრაქტიკაში. სამოქალაქო სამართლის სფეროს შეფასებები ეფუძნება დადებით შეფასებებს მე-5 კითხვაზე (რამდენად უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას) და მე-6 კითხვაზე (რამდენად დაცულია მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე). ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შეფასებები მსგავსად ეფუძნება დადებით შეფასებებს თითო-თითო კითხვაზე კანონმდებლობის მიერ მხარეთა თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფის შესახებ (კ8) და მის დაცვაზე პრაქტიკაში (კ9).

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების წილი 1-ელი ინდიკატორის ამ ნაწილისთვის შეჯამებულია ქვემოთ მე-2 ცხრილში:

ცხრილი 2. მხარეთა თანასწორობის შეფასება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	100% (101)	100% (69)	100% (62)	93% (279)	90% (170)	92% (158)	100%* (53)	98%* (48)	100%* (51)
მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე	100% (101)	100% (71)	100% (62)	92% (270)	90% (166)	89% (150)	100%* (48)	97%* (38)	100%* (46)
ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	97% (94)	100% (69)	100% (57)	78% (277)	79% (151)	66% (114)	96%* (51)	98%* (45)	98%* (49)
მხარეთა თანასწორობა დაცულია ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პროცესებზე	99% (92)	100% (70)	100% (58)	78% (270)	73% (140)	64% (108)	94%* (50)	97%* (38)	98%* (44)

*რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება.

(2) პროცენტული მაჩვენებელი იმ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც თვლიან, რომ მოქალაქეებს აქვთ მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა

ამ ინდიკატორისთვის ჩვენ ვითვლით დადებითი პასუხების წილს რვა სხვადასხვა კითხვაზე: ოთხი კითხვა ეხება უმცირესობათა ჯგუფებისა და არაუმცირესობათა ჯგუფების მიმართ მოპყრობას სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და პოლიციის მხრიდან (კ10, 11, 12, 13); ერთი კითხვა ეხება უმცირესობებისა და მათი შესაბამისი არაუმცირესობების უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას სასამართლოს მიერ (კ14); და ორი კითხვა ეხება კერძო ადვოკატებისა (კ18) და სასამართლო ხარჯების (კ19) ფინანსურ ხელმისაწვდომობას. პასუხები დაჯგუფებულია სამ კომპონენტად: მოპყრობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ხელმისაწვდომობა.

მართლმსაჯულების სისტემით სარგებლობის საერთო მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოვიყვანეთ დადებითი შეფასებების საშუალო კითხვების თითოეული კატეგორიისთვის. საშუალო მაჩვენებელზე ზევით პასუხები ჩაითვალა დადებით შეფასებად. მე-3 ცხრილში შეჯამებულია შედეგები:

ცხრილი 3. მართლმსაჯულების სისტემასთან წვდომის შეფასება (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების საშუალო მაჩვენებელი	82% (107)	93% (75)	90% (60)	56% (304)	61% (123)	63% (122)	79% (99)	82% (96)	90% (75)
თანასწორი მოპყრობა	97% (108)	100% (81)	99% (66)	63% (309)	73% (151)	68% (134)	96% (102)	99% (121)	98% (85)
უდანაშაულობის პრეზუმფცია	98% (105)	100% (81)	100% (67)	80% (295)	90% (177)	90% (170)	97% (102)	100% (119)	100% (86)
ხელმისაწვდომობა	52% (108)	78% (63)	72% (48)	26% (309)	20% (42)	31% (61)	45% (93)	47% (47)	71% (55)

(3) პროცენტული მაჩვენებელი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც იურიდიული განათლების ხარისხს საბაზრო მოთხოვნის შესაბამისად მიიჩნევენ

ამ ინდიკატორის გამოსათვლელად ვიყენებთ სამ კითხვას უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მათი მზადყოფნის შესახებ. ინდიკატორი ცალ-ცალკე ითვლის მაჩვენებელს თეორიული იურიდიული განათლებისა და პრაქტიკული უნარების შესახებ. თეორიული ცოდნის ინდექსის გამოსათვლელად დადებით შეფასებად ჩათვლილია პასუხები, რომლებიც 5-ბალიან სკალაზე მიღებული პასუხების საშუალო წერტილზე ზევითაა. პრაქტიკული ცოდნის შეფასება ხდება ერთი კითხვით (კ20_2). შედეგები შეჯამებულია მე-4 ცხრილში:

ცხრილი 4. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
იურიდიული განათლების შეფასება - თეორიული ცოდნა	29% (31)	56% (45)	48% (30)	25% (76)	24% (48)	29% (55)	58% (56)	52% (62)	62% (51)
იურიდიული განათლების შეფასება - პრაქტიკული უნარები	38% (41)	65% (51)	55% (34)	29% (86)	33% (67)	23% (42)	51% (47)	50% (58)	61% (49)

(4) პროცენტული მაჩვენებელი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა, რომლებიც დადებითად აფასებენ მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების მუშაობას

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების მუშაობა ფასდება ცალ-ცალკე 25-ე კითხვაზე დადებითი შეფასებების („კარგად“ და „ძალიან კარგად“ პასუხების) საფუძველზე. იხილეთ მე-5 ცხრილი:

ცხრილი 5. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

**რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება.*

	მოსამართლეები			ადვოკატები			პროკურორები		
	2016	2019	2021	2016	2019	2021	2016	2019	2021
იუსტიციის სამინისტრო	78% (104)	94% (67)	90% (55)	47% (300)	43% (88)	42% (81)	99% (96)	81% (94)	94% (79)
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	88% (108)	100% (80)	96% (65)	22% (275)	25% (48)	26%* (40)	67% (81)	59%* (56)	83% (64)
იუსტიციის უმაღლესი სკოლა	88% (106)	99% (78)	99% (67)	37%* (232)	35%* (58)	37%* (44)	70%* (76)	65%* (58)	86% (61)
იურიდიული დახმარების სამსახური (LAS)	74% (96)	91% (70)	95% (55)	64% (270)	66% (130)	75%* (120)	85% (97)	76% (82)	89% (70)
არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების სამსახურები	73%* (85)	90%* (47)	95%* (41)	66% (278)	72% (136)	75%* (118)	65%* (66)	60%* (46)	70%* (38)
საქართველოს სასამართლოები	94% (105)	100% (81)	99% (67)	40% (303)	38% (78)	37% (73)	79% (100)	77% (92)	82% (69)
პროკურატურა	61% (92)	94% (68)	88% (50)	23% (275)	33% (61)	29% (49)	100% (99)	93% (113)	99% (86)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	47% (99)	80% (56)	87% (53)	73% (304)	70% (145)	74% (146)	62% (92)	63% (65)	76% (57)
საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია	83% (104)	99% (80)	97% (65)	39%* (179)	38%* (53)	38%* (21)	69%* (54)	68%* (41)	84%* (43)
მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“	62%* (78)	68%* (15)		36%* (110)	30%* (20)		62%* (39)	64%* (23)	
** დამოუკიდებელი ინსპექტორი		100% (78)	100% (61)		39%* (41)	49%* (43)		74%* (45)	95%* (52)
** მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია		99% (78)	100% (62)		26%* (35)	18%* (14)		59%* (29)	86%* (36)
** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია		70%* (30)	70% (30)		72% (138)	76% (143)		48%* (30)	71%* (35)

*** კითხვა არ დასმულა აღნიშნულ წელს*

დანართი 3 – გამოკითხვის სიხშირის ცხრილები

N - რაოდენობა

1. თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას?							
		სრულად უზრუნველყოფს	ძირითადად უზრუნველყოფს	ძირითადად ვერ უზრუნველყოფს	საერთოდ ვერ უზრუნველყოფს	არ ვიცი	სულ
მოსამართლე	N	22	40	1	0	5	68
	%	32.4%	58.8%	1.5%	0.0%	7.4%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	7	48	37	1	25	118
	%	5.9%	40.7%	31.4%	.8%	21.2%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	1	15	6	0	8	30
	%	3.3%	50.0%	20.0%	0.0%	26.7%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	5	34	4	0	8	51
	%	9.8%	66.7%	7.8%	0.0%	15.7%	100.0%
პროკურორი	N	32	54	1	0	0	87
	%	36.8%	62.1%	1.1%	0.0%	0.0%	100.0%
სულ	N	67	191	49	1	46	354
	%	18.9%	54.0%	13.8%	.3%	13.0%	100.0%

2. თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში რამდენად დაცულია ან არ არის დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პროცესებზე?							
		სრულად დაცულია	ძირითადად დაცულია	ძირითადად არ არის დაცული	საერთოდ არ არის დაცული	არ ვიცი	სულ
მოსამართლე	N	34	25	1	0	8	68
	%	50.0%	36.8%	1.5%	0.0%	11.8%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	5	48	37	2	26	118
	%	4.2%	40.7%	31.4%	1.7%	22.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	11	10	0	9	30
	%	0.0%	36.7%	33.3%	0.0%	30.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	5	27	8	0	11	51
	%	9.8%	52.9%	15.7%	0.0%	21.6%	100.0%
პროკურორი	N	31	53	3	0	0	87
	%	35.6%	60.9%	3.4%	0.0%	0.0%	100.0%
სულ	N	75	164	59	2	54	354
	%	21.2%	46.3%	16.7%	.6%	15.3%	100.0%

3. თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე რამდენად თანაბარი შესაძლებლობა აქვთ ბრალდებისა და დაცვის მხარეებს, მოიპოვონ მტკიცებულებები?

		ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს	ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობა აქვს	დაცვის მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს	არ ვიცი	სულ
მოსამართლე	N	37	23	0	8	68
	%	54.4%	33.8%	0.0%	11.8%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	68	24	0	26	118
	%	57.6%	20.3%	0.0%	22.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	21	1	0	8	30
	%	70.0%	3.3%	0.0%	26.7%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	38	4	0	9	51
	%	74.5%	7.8%	0.0%	17.6%	100.0%
პროკურორი	N	15	69	3	0	87
	%	17.2%	79.3%	3.4%	0.0%	100.0%
სულ	N	179	121	3	51	354
	%	50.6%	34.2%	.8%	14.4%	100.0%

4. თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე, რამდენად თანაბრად მიუწვდებათ ხელი ბრალდებისა და დაცვის მხარეებს ერთმანეთის მტკიცებულებებზე?

		ბრალდების მხარეს მეტად მიუწვდება ხელი	ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდება ხელი	დაცვის მხარეს მეტად მიუწვდება ხელი	არ ვიცი	სულ
მოსამართლე	N	7	51	1	9	68
	%	10.3%	75.0%	1.5%	13.2%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	61	31	0	26	118
	%	51.7%	26.3%	0.0%	22.0%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	15	6	0	9	30
	%	50.0%	20.0%	0.0%	30.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	9	32	0	10	51
	%	17.6%	62.7%	0.0%	19.6%	100.0%
პროკურორი	N	4	76	7	0	87
	%	4.6%	87.4%	8.0%	0.0%	100.0%
სულ	N	96	196	8	54	354
	%	27.1%	55.4%	2.3%	15.3%	100.0%

5. თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას?

		სრულად უზრუნველყოფს	ძირითადად უზრუნველყოფს	ძირითადად ვერ უზრუნველყოფს	საერთოდ ვერ უზრუნველყოფს	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	51	11	0	0	6	0	68
	%	75.0%	16.2%	0.0%	0.0%	8.8%	0.0%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	15	78	10	3	10	2	118
	%	12.7%	66.1%	8.5%	2.5%	8.5%	1.7%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	7	19	1	0	3	0	30
	%	23.3%	63.3%	3.3%	0.0%	10.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	18	21	0	0	12	0	51
	%	35.3%	41.2%	0.0%	0.0%	23.5%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	18	33	0	0	30	6	87
	%	20.7%	37.9%	0.0%	0.0%	34.5%	6.9%	100.0%
სულ	N	109	162	11	3	61	8	354
	%	30.8%	45.8%	3.1%	.8%	17.2%	2.3%	100.0%

6. თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში რამდენად დაცულია ან არ არის დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო სამართლის საქმეების სასამართლო პროცესებზე?

		სრულად დაცულია	ძირითადად დაცულია	ძირითადად არ არის დაცული	საერთოდ არ არის დაცული	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	55	8	0	0	5	0	68
	%	80.9%	11.8%	0.0%	0.0%	7.4%	0.0%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	14	77	12	3	10	2	118
	%	11.9%	65.3%	10.2%	2.5%	8.5%	1.7%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	2	20	4	0	4	0	30
	%	6.7%	66.7%	13.3%	0.0%	13.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	11	26	0	0	14	0	51
	%	21.6%	51.0%	0.0%	0.0%	27.5%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	17	29	0	0	34	7	87
	%	19.5%	33.3%	0.0%	0.0%	39.1%	8.0%	100.0%
სულ	N	99	160	16	3	67	9	354
	%	28.0%	45.2%	4.5%	.8%	18.9%	2.5%	100.0%

7. თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში რამდენად დაცულია ან არ არის დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო სამართლის ისეთი საქმეების სასამართლო პროცესებზე, სადაც მხარეს მსხვილი ბიზნესი წარმოადგენს?

		სრულად დაცულია	ძირითადად არ არის დაცული	ძირითადად არ არის დაცული	საერთოდ არ არის დაცული	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	44	12	0	0	12	0	68
	%	64.7%	17.6%	0.0%	0.0%	17.6%	0.0%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	7	50	31	4	23	3	118
	%	5.9%	42.4%	26.3%	3.4%	19.5%	2.5%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	14	7	0	9	0	30
	%	0.0%	46.7%	23.3%	0.0%	30.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	3	14	9	0	25	0	51
	%	5.9%	27.5%	17.6%	0.0%	49.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	14	25	1	0	40	7	87
	%	16.1%	28.7%	1.1%	0.0%	46.0%	8.0%	100.0%
სულ	N	68	115	48	4	109	10	354
	%	19.2%	32.5%	13.6%	1.1%	30.8%	2.8%	100.0%

8. თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას?

		სრულად უზრუნველყოფს	ძირითადად უზრუნველყოფს	ძირითადად ვერ უზრუნველყოფს	საერთოდ ვერ უზრუნველყოფს	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	34	23	0	0	10	1	68
	%	50.0%	33.8%	0.0%	0.0%	14.7%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	7	57	30	11	11	2	118
	%	5.9%	48.3%	25.4%	9.3%	9.3%	1.7%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	1	19	8	1	1	0	30
	%	3.3%	63.3%	26.7%	3.3%	3.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	12	18	9	0	12	0	51
	%	23.5%	35.3%	17.6%	0.0%	23.5%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	15	34	1	0	33	4	87

	%	17.2%	39.1%	1.1%	0.0%	37.9%	4.6%	100.0%
სულ	N	69	151	48	12	67	7	354
	%	19.5%	42.7%	13.6%	3.4%	18.9%	2.0%	100.0%

9. თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში რამდენად დაცულია ან არ არის დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი ადმინისტრაციული სამართლის საქმეების სასამართლო პროცესებზე?

		სრულად დაცულია	ძირითადად არ არის დაცული	ძირითადად არ არის დაცული	საერთოდ არ არის დაცული	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	43	15	0	0	10	0	68
	%	63.2%	22.1%	0.0%	0.0%	14.7%	0.0%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	6	60	28	10	12	2	118
	%	5.1%	50.8%	23.7%	8.5%	10.2%	1.7%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	1	13	12	2	2	0	30
	%	3.3%	43.3%	40.0%	6.7%	6.7%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	9	19	10	0	13	0	51
	%	17.6%	37.3%	19.6%	0.0%	25.5%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	15	29	1	0	38	4	87
	%	17.2%	33.3%	1.1%	0.0%	43.7%	4.6%	100.0%
სულ	N	74	136	51	12	75	6	354
	%	20.9%	38.4%	14.4%	3.4%	21.2%	1.7%	100.0%

10_1. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	62	5	0	0	1	68
	%	91.2%	7.4%	0.0%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	24	78	4	11	1	118
	%	20.3%	66.1%	3.4%	9.3%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	21	8	1	0	30
	%	0.0%	70.0%	26.7%	3.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	21	27	0	3	0	51
	%	41.2%	52.9%	0.0%	5.9%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	53	26	0	7	1	87

	%	60.9%	29.9%	0.0%	8.0%	1.1%	100.0%
სულ	N	160	157	12	22	3	354
	%	45.2%	44.4%	3.4%	6.2%	.8%	100.0%

10_2. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - ეთნიკური ქართველი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	63	4	0	0	1	68
	%	92.6%	5.9%	0.0%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	21	85	5	6	1	118
	%	17.8%	72.0%	4.2%	5.1%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	25	4	1	0	30
	%	0.0%	83.3%	13.3%	3.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	19	31	0	1	0	51
	%	37.3%	60.8%	0.0%	2.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	53	27	0	6	1	87
	%	60.9%	31.0%	0.0%	6.9%	1.1%	100.0%
სულ	N	156	172	9	14	3	354
	%	44.1%	48.6%	2.5%	4.0%	.8%	100.0%

10_3. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) თემის წარმომადგენელი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	56	8	0	3	1	68
	%	82.4%	11.8%	0.0%	4.4%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	19	68	7	23	1	118
	%	16.1%	57.6%	5.9%	19.5%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	11	16	3	0	30
	%	0.0%	36.7%	53.3%	10.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	15	24	1	11	0	51
	%	29.4%	47.1%	2.0%	21.6%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	52	27	0	7	1	87
	%	59.8%	31.0%	0.0%	8.0%	1.1%	100.0%
სულ	N	142	138	24	47	3	354

	%	40.1%	39.0%	6.8%	13.3%	.8%	100.0%
--	---	-------	-------	------	-------	-----	--------

10_4. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - ჰეტეროსექსუალი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	61	5	0	1	1	68
	%	89.7%	7.4%	0.0%	1.5%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	17	79	2	19	1	118
	%	14.4%	66.9%	1.7%	16.1%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	23	5	2	0	30
	%	0.0%	76.7%	16.7%	6.7%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	15	25	1	10	0	51
	%	29.4%	49.0%	2.0%	19.6%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	53	25	1	7	1	87
	%	60.9%	28.7%	1.1%	8.0%	1.1%	100.0%
სულ	N	146	157	9	39	3	354
	%	41.2%	44.4%	2.5%	11.0%	.8%	100.0%

10_5. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - არამართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	60	7	0	0	1	68
	%	88.2%	10.3%	0.0%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	22	79	7	9	1	118
	%	18.6%	66.9%	5.9%	7.6%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	21	8	1	0	30
	%	0.0%	70.0%	26.7%	3.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	19	29	1	2	0	51
	%	37.3%	56.9%	2.0%	3.9%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	54	26	0	6	1	87
	%	62.1%	29.9%	0.0%	6.9%	1.1%	100.0%
სულ	N	155	162	16	18	3	354

	%	43.8%	45.8%	4.5%	5.1%	.8%	100.0%
--	---	-------	-------	------	------	-----	--------

10_6. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - მართლმადიდებელი ქრისტიანი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	62	5	0	0	1	68
	%	91.2%	7.4%	0.0%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	21	87	4	5	1	118
	%	17.8%	73.7%	3.4%	4.2%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	0	25	4	1	0	30
	%	0.0%	83.3%	13.3%	3.3%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	19	31	0	1	0	51
	%	37.3%	60.8%	0.0%	2.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	53	27	0	6	1	87
	%	60.9%	31.0%	0.0%	6.9%	1.1%	100.0%
სულ	N	155	175	8	13	3	354
	%	43.8%	49.4%	2.3%	3.7%	.8%	100.0%

10_7. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	62	4	1	0	1	68
	%	91.2%	5.9%	1.5%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	20	83	6	8	1	118
	%	16.9%	70.3%	5.1%	6.8%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	4	20	6	0	0	30
	%	13.3%	66.7%	20.0%	0.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	27	23	1	0	0	51
	%	52.9%	45.1%	2.0%	0.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	54	26	0	6	1	87
	%	62.1%	29.9%	0.0%	6.9%	1.1%	100.0%
სულ	N	167	156	14	14	3	354
	%	47.2%	44.1%	4.0%	4.0%	.8%	100.0%

10_8. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? - ქალი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	60	7	0	0	1	68
	%	88.2%	10.3%	0.0%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	25	82	5	5	1	118
	%	21.2%	69.5%	4.2%	4.2%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	2	21	7	0	0	30
	%	6.7%	70.0%	23.3%	0.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	20	29	2	0	0	51
	%	39.2%	56.9%	3.9%	0.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	55	25	0	5	2	87
	%	63.2%	28.7%	0.0%	5.7%	2.3%	100.0%
სულ	N	162	164	14	10	4	354
	%	45.8%	46.3%	4.0%	2.8%	1.1%	100.0%

10_9. როცა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სასამართლოს მიმართავენ, რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ ეპყრობა მათ სასამართლო? – კაცი

		სრულიად სამართლიანად	ძირითადად სამართლიანად	ძირითადად უსამართლოდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	62	5	0	0	1	68
	%	91.2%	7.4%	0.0%	0.0%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	18	87	6	6	1	118
	%	15.3%	73.7%	5.1%	5.1%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	2	25	3	0	0	30
	%	6.7%	83.3%	10.0%	0.0%	0.0%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	20	29	2	0	0	51
	%	39.2%	56.9%	3.9%	0.0%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	52	27	1	6	1	87
	%	59.8%	31.0%	1.1%	6.9%	1.1%	100.0%
სულ	N	154	173	12	12	3	354
	%	43.5%	48.9%	3.4%	3.4%	.8%	100.0%

11_1. ზოგადად, რამდენად თანასწორად ან რამდენად უთანასწოროდ ეპყრობა პროკურატურა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლებს, როდესაც მათ საქმეებზე მუშაობს? - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

		სრულიად თანასწორად	ძირითადად თანასწორად	ძირითადად უთანასწოროდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	34	13	0	20	1	68
	%	50.0%	19.1%	0.0%	29.4%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	9	69	15	24	1	118
	%	7.6%	58.5%	12.7%	20.3%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	1	11	11	6	1	30
	%	3.3%	36.7%	36.7%	20.0%	3.3%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	10	23	2	16	0	51
	%	19.6%	45.1%	3.9%	31.4%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	71	16	0	0	0	87
	%	81.6%	18.4%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%
სულ	N	125	132	28	66	3	354
	%	35.3%	37.3%	7.9%	18.6%	.8%	100.0%

11_2. ზოგადად, რამდენად თანასწორად ან რამდენად უთანასწოროდ ეპყრობა პროკურატურა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლებს, როდესაც მათ საქმეებზე მუშაობს? - ეთნიკური ქართველი

		სრულიად თანასწორად	ძირითადად თანასწორად	ძირითადად უთანასწოროდ	სრულიად უთანასწოროდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	34	13	0	0	20	1	68
	%	50.0%	19.1%	0.0%	0.0%	29.4%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	8	75	9	2	23	1	118
	%	6.8%	63.6%	7.6%	1.7%	19.5%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	1	16	6	0	6	1	30
	%	3.3%	53.3%	20.0%	0.0%	20.0%	3.3%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	10	24	1	0	16	0	51
	%	19.6%	47.1%	2.0%	0.0%	31.4%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	69	17	0	1	0	0	87
	%	79.3%	19.5%	0.0%	1.1%	0.0%	0.0%	100.0%
სულ	N	122	145	16	3	65	3	354
	%	34.5%	41.0%	4.5%	.8%	18.4%	.8%	100.0%

11_3. ზოგადად, რამდენად თანასწორად ან რამდენად უთანასწოროდ ეპყრობა პროკურატურა საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლებს, როდესაც მათ საქმეებზე მუშაობს? - ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) თემის წარმომადგენელი

		სრულიად თანასწორად	ძირითადად თანასწორად	ძირითადად უთანასწოროდ	არ ვიცი	უარი პასუხზე	სულ
მოსამართლე	N	33	12	0	22	1	68
	%	48.5%	17.6%	0.0%	32.4%	1.5%	100.0%
კერძო ადვოკატი	N	9	63	17	28	1	118
	%	7.6%	53.4%	14.4%	23.7%	.8%	100.0%
არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი	N	1	6	16	6	1	30
	%	3.3%	20.0%	53.3%	20.0%	3.3%	100.0%
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი	N	9	21	2	19	0	51
	%	17.6%	41.2%	3.9%	37.3%	0.0%	100.0%
პროკურორი	N	69	16	0	2	0	87
	%	79.3%	18.4%	0.0%	2.3%	0.0%	100.0%
სულ	N	121	118	35	77	3	354
	%	34.2%	33.3%	9.9%	21.8%	.8%	100.0%

